პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 65, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 5 ნოემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 252 (1997)

დ ღ ი უ რ ი

— ამხ. სემაშკო მიწვეულია ვიცე-პრეზიდენტად საერთაშორისო სანიტარულ ჰიგიენურ კონგრესზე.
— ავსტრიის სოც.-დემ. პარტიის ახალ ცეკას თავმჯდომარედ არჩეულია ზეიცი.
— 2 ნოემბერს ხელი მოაწერეს საბერძნეთ-სამხრეთ-სლავიის სავაჭრო კონვენციაზე.
— დორიოს, კაშენის მარტის და დიუკლოს განთავისუფლება
— პოლონეთის სენატის სესია გადადებულია 28 ნოემბრისათვის.
— ნიკარაგუაში განახლდა შეტაკება ამერიკის ჯარებსა და ლიბერალების რაზმებს შორის.

„კომუნისტი“
გრძელდება ხელის მოწერა
ნოემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მუშათა დელეგაციები და საერთაშორისო პროლეტარიატის შტრეიკბრეხერები

ოქტომბრის ათი წლის თავზე საბჭოთა კავშირში მოდიან ურიცხვი მუშათა დელეგაციები. მოდიან იმიტომ, რომ პასუხი მიიღონ ერთ მწვავე საჭირბოროტო კითხვაზე, რომელიც ღრღნის ბურჟუაზიული ქვეყნის ყოველ პატიოსან მშრომელს.

მართლდება თუ არა პროლეტარიატის რევოლიუცია ბურჟუაზიის წინააღმდეგ? მიზანშეწონილია ის თუ არა? ნამდვილად ღირს თუ არა სამოქალაქო ომის ვაი-ვაგლახის გადატანა? შეიძლება უკეთესია დაკმაყოფილება რეფორმებით ბურჟუაზიული დემოკრატიის ჩარჩოებში?

მთელი მსოფლიოს ეგრედწოდებული „სოციალისტები“, ყველა ეს ბაუერები, მთელი თავისი ორგანიზაციებითა და „ავტორიტეტით“ აძლევენ მუშებს უარყოფით პასუხს—დღევანდელი კვერცხი სჯობია ხვალინდელ ქათამსო, ბატონისაგან მოწყალებათ მიღებული შაური სჯობია ბრძოლისა და სამოქალაქო ომსო.

მარტო ის, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშები მოდიან ჩვენთან, ნიშნავს, რომ ისინი აღარ უჯერებენ ამ ლაქია სოციალისტებს, ვინაიდან თვით მასების ცხოვრების გამოცდილება და საბჭოთა კავშირის პროლეტარების 10 წლის ბრძოლა არღვევს „ილიუზიებს“ და „დრომოჭმულ შეხედულებებს“, რომლებითაც ბურჟუაზია 10 წლის განმავლობაში ჰკვებდა მუშებს ბურჟუაზიული სკოლის, პრესის, მღვდლების, მწერლების, მასწავლებლების და მოსყიდულ მუშათა არისტოკრატიის საშუალებით.

ბურჟუაზიულ ქვეყნების პროლეტარიატის განთავისუფლება წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიულ ცრუმორწმუნეობიდან სწრაფად მიდის წინ. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სასიხარულოდ და საამაყოდ უნდა ითქვას, რომ აქ დიდ როლს თამაშობს საბჭოთა კავშირის გამოცდილება. საბჭოთა კავშირის პროლეტარებს უფლება აქვთ იამაყონ იმით, რომ ისინი არა მარტო აშენებენ სოციალიზმს, არამედ ეხმარებიან კიდეც დანარჩენ ქვეყნების პროლეტართ კლასობრივ შეგნების დაწმენდაში. ვინაიდან მარტო ეს უკანასკნელიც კი წარმოადგენს უდიდეს ისტორიულ ამოცანას. იმ მომენტში, როდესაც ეს ამოცანა შესრულებული იქნება ბურჟუაზიული ქვეყნების პროლეტარულ მასების მიმართ, ამ ქვეყნების ბურჟუაზიას დაუდგება თავისი აღსასრული.

აი, რატომ აქვს ჭეშმარიტად დიდი მნიშვნელობა მუშების ლტოლვას საბჭოეთის ქვეყნისაკენ. აი, რატომ არის, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარული დიქტატურის ორგანოები ასეთი გულმოდგინეობით აბარებენ ანგარიშს საერთაშორისო პროლეტარიატის წარმომადგენლებს, აბარებენ ანგარიშს იმაში, თუ რა გააკეთა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა და რა აქვს კიდევ გასაკეთებელი. ჩვენ ყველანაირად უნდა დავეხმაროთ უცხო ქვეყნებიდან სტუმრად მოსულ მუშებს, რომ მათ განუმტკიცდეთ რწმენა საკუთარ ძალაში, რომ თავისი საკუთარი თვალით დაინახონ, თუ როგორ უშრეტია და ყოვლის შემძლე პროლეტარიატის. ენერგია, თუ რამდენად გმირული ძალთა დაჭიმვა შეუძლია ძლევამოსილ მუშას და რამდენად თვალუწვდენი პერსპექტივების გადაშლა შეუძლია მას თავის წინაშე.

დღემდე ჩვენს ქვეყანაში ცალკე ქვეყნებიდან მოდიოდენ შედარებით მცირე რიცხოვანი მუშათა დელეგაციები. მაგრამ მათი მნიშვნელობა დიდი აღმოჩნდა. ოქტომბრის 10 წლის თავზე მოსკოვში თავს მოიყრის ბურჟუაზიულ ქვეყნების მშრომელთა 1500-დე წარმომადგენელი მუშათა დელეგატების ასეთი მოზრდილი რიცხვი ჯერ არ ახსოვს საბჭოთა კავშირს. ასე დიდია სურვილი საკუთარი თვალით იმის დანახვისა, რაც კეთდება საბჭოების ქვეყანაში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საკუთარ კრიტიკულ დაკვირვების და დაწვრილებით შემოწმების შემდეგ, მუშათა დელეგატები დაინახავენ, რომ ჩვენი ქვეყანა არის ქვეყანა, სადაც შენდება და იზრდება სოციალიზმი, რომ საბჭოთა კავშირი არის საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ სიმართლეს ისინი გაუზიარებენ თავიანთ მოძმეთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

ამის შეგნებით ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშები საგრძნობლად გაინთავისუფლებენ თავს დემოკრატიულ ყალბ შეხედულებებისაგან.

ყველა ქვეყნების ლენინელი—ბოლშევიკები მით უფრო მოვალენი არიან მეტი ენერგიით შეებრძოლონ საერთაშორისო პროლეტარიატის შტრეიკბრეხერებს, რომლებიც აფერხებენ დემოკრატიულ ილიუზიების ბორკილებიდან მუშების განთავისუფლების საქმეს, აფერხებენ მუშათა კლასის გარევოლიუციონერებას.

ვინ არიან ეს შტრეიკბრეხერები?

ყველა ის, ვინც ცილისწამებითი განგაშით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აფერხებს რეფორმისტების მიმდევარ მუშების კლასობრივ შეგნების დაწმენდას.

ყველა ის, ვინც გესლიანი ჭორით საბჭოთა სახელმწიფოსი და ბოლშევიკური პარტიის „ბურჟუაზიული გადაგვარების“ შესახებ უნერგავს მუშებს უნდობლობას საკუთარ ძალასა და პროლეტარიატის უდიდესი საქმის წარმატებაში. შტრეიკბრეხერია ყველა ის, ვინც ცილისწამებით საბჭოთა კავშირის „ტერმიდორის“ შესახებ ხრწნის საერთაშორისო პროლეტარიატს და უნერგავს რწმენის დაკარგვას მუშათა კლასის შემოქმედებით ძლიერებაში. შტრეიკბრეხერია ყველა ის, ვინც ლეგენდებით საბჭოთა კავშირის პოლიტიკის „აზიურგლეხური შეზღუდულობის“ შესახებ ხელს უწყობს კაპიტალისტებს მშრომელი მასების მოტყუებაში.

ამ სიცრუეს საბჭოთა ქვეყნის „ნაციონალ-რეფორმიზმის“, „ტერმიდორის“, „ბურჟუაზიულ გადაგვარების“, „ბონოპარტიზმის“ და სხ. შესახებ ავრცელებენ (უკვე რამდენი წელია) სოციალ-დემოკრატიის ბელადები, მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელნი, გახრწნილნი და მოსყიდულნი ბურჟუაზიის მიერ, ყველა ეგრედწოდებული „სოციალისტები“ (სოციალისტები სიტყვით, მუშების მოღალატენი— საქმით) და მთელი ყვითელი სოციალისტური „პრესა“.

ესენი არიან საერთაშორისო პროლეტარიატის ნამდვილი შტრეიკბრეხერები.

უკანასკნელ დროს მათ ბანს აძლევენ კომუნიზმის ულტრა-მემარცხენე, ნამდვილად კი ულტრა მემარჯვენე რენეგატები ურბანსები, მასლოვები, სუვარინები, როლანდები და მათი ტიპის ხალხი, რომლებიც თავის თავს „ლენინელებს“ უწოდებენ და, ემყარებიან რა ამას, სოციალ-დემოკრატების მაგალითით, აწარმოებენ თავის ანტისაბჭოთა მუშაობას და საზიზღარ ცილისწამებას ავრცელებენ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის სამშობლოს —საბჭოთა კავშირის შესახებ.

მათი საქციელის საძაგლობა კი არ მცირდება, არამედ, პირიქით, იზრდება, რადგან ისინი ოდესღაც კომუნისტები იყვენ.

ამ ძირმომთხრელ მუშაობას ობიექტიურად ხელს უწყობს საკ. კომ. პარ. (ბ) ოპოზიცია, რომელიც უნაყოფოდ სცდილობს მეორე პარტიის შექმნას ლენინის არსებული და მოქმედი პარტიის წინააღმდეგ. ის თავის სპეციალობად იხდის შტრეიკბრეხერულ სახელის გატეხვას იმ დიადი მშენებლობისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირში სწარმოებს. ის თავის პროფესიად იხდის ბოლშევიკების პარტიის ცილისწამებითი შტრეიკბრეხერულ დასმენას იმპერიალისტებთან (თითქოს განზრახვა აქვთ ხელი აიღონ საგ. ვაჭრობის მონოპოლიაზე, იცნონ ვალები და სხ.) ის ათასნახევრიან მუშათა დელეგაციის თვალწინ, საერთაშორისო პროლეტარიატის თვალწინ გამხრწნელ, დეზორგანიზატორულ მუშაობას აწარმოებს საკ. კომ. პარტიაში (ბ) და ავრცელებს სოციალ-დემოკრატიულ საზიზღრობებს „ტერმიდორის“, „გადაგვარების“, „ნაციონალური განკერძოების“ და სხ. შესახებ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვერც სოციალ-დემოკრატიული პრესის გესლიანი ენა, ვერც ცოფმორეულ წვრილ-ბურჟუისა და კომუნიზმის რენეგატების ღმუილი, ვერც ბანის მიცემა საკ. კომ. პარ. (ბ) ოპოზიციის მხრივ ვერ შეაჩერებს დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატის ურყევ ნებისყოფას—თავი დააღწიოს იმ ცილისწამებათა ატმოსფერას, რომლებსაც ავრცელებენ საბჭოთა კავშირის, მუშათა პირველ სახელმწიფოს, კომუნისტურ პარტიის გარშემო. მუშები დაუჯერებენ არა „ფორკერტს“, ურბანსს, ტროცკის ან ზინოვიევს, არამედ საკუთარ თვალებს.

მუშათა დელეგატებს ჩვენ გადაუშლით ყველა ჩვენს მიღწევებს და ნაკლოვანებებს. ვერავითარი ძალა მსოფლიოში ვერ დაუმალავს პატიოსან პროლეტარებს იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ საბჭოთა კავშირი არის საერთაშორისო პროლეტარიატის ციხე-სიმაგრე და, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტები ხელმძღვანელობენ სოციალიზმის მშენებლობას.

„პრავდა“, 4 ნოემბერი.

საბჭოთა კავშირი და განიარაღების კონფერენცია

საფრანგეთის პრესა ამხ. ჩიჩერინის დეპეშის შესახებ

ჩეხო-სლოვაკიაში მზადდება რკინისგზელთა გაფიცვა.—პოლიციის რეპრესიები

იტალიის პრეტენზიები ტანჟერზე

ავსტრიის პარლამენტმა უარყო წინადადება ივლისის ამბების გამო დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებ

განიარაღების კონფერენციის გარშემო

საფრანგეთის პრესა ჩიჩერინის დეპეშის შესახებ

პარიზი. 3 ნოემბერი. მემარჯვენე პრესა ერთსულოვან შეფასებას აძლევს ჩიჩერინის დეპეშას, რომელშიაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი თანახმაა მიიღოს მონაწილეობა განიარაღების კონფერენციის წინასწარი მოსამზადებელი კომისიის მუშაობაში მემარჯვენე პრესა ამტკიცებს, რომ **საბჭოთა დელეგატები ჟენევაში შეუკავშირდებიან გერმანიის დელეგატებს, მოითხოვენ საყოველთაო იმ პირობებში, როგორშიაც განიარაღებულ იქნა გერმანია ვერსალის ხელშეკრულების ძალით, და ამგვარად შეეცდებიან დაარღვიონ ეხლანდელი მდგომარეობა ევროპაში.**

გარდა ამისა, მემარჯვენე პრესის აზრით, საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ მოსამზადებელ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებით მიეცემა საშუალება უფრო ადვილად იმოქმედოს ინგლისის გავლენის წინააღმდეგ.

მემარცხენე პრესა თანაგრძნობით **შეხვდა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას კომისიაში მონაწილეობის მიღების შესახებ.**

„ლიუმანიტე“ სწერს, რომ აქ **სრულიადაც არ არის ლაპარაკი საბჭოთა კავშირის მიერ ერთა ლიგის ცნობაზე.**

„მთელი მსოფლიოს და ყველა ქვეყნების პროლეტარიატის წინაშე,— ამბობს გაზეთი,—საბჭოთა კავშირის დელეგატები დაამტკიცებენ, რომ მხოლოდ ისინი, როგორც ყოველთვის, მზად არიან წამოაყენონ სანდისიერი, კონკრეტიდებანი განიარაღების დარგში“. (ადს)

რეპრესიები გაფიცვის მოლოდინში

პრაღა, 3 ნოემბერი. პოლიციამ გაჩხრიკა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკას, ეროვნებათაშორისო საერთო პროფესიონალური კავშირის სამდივნოს და მემანქანეთა პროფკავშირის შენობები. ჩხრეკის დროს ვერაფერი აღმოაჩინეს. პოლიტიკური წრეები ფიქრობენ, რომ ჩხრეკა გამოწვეულია რკინისგზელთა გაფიცვის საფრთხის გამო.

კონფლიქტი მთავრობასა და რკინისგზელებს შორის მწვავდება. ხელისუფლება აკავებს რკინისგზელთა პროფკავშირის ორგანოს თითქმის ყოველ ნომერს. კომპარტიის ორგანოს „რუდე პრავო“-ს ცალკე შენიშვნებს რკინისგზაზე მომხდარი კონფლიქტის შესახებ, შლიან. (ადს)

დორიოს, კაშენის, მარტის და დიუკლოს განთავისუფლება

პარიზი, 3 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ თანახმად დეპუტატთა პალატის დადგენილებისა, **განთავისუფლებული არიან კომუნისტ-დეპუტატები დორიო, კაშენი, მარტი და დიუკლო;** რომელთაც სხვადასხვა ვადით ციხე ჰქონდათ მისჯილი „ანტიმილიტარისტული პროპაგანდისა და სამხედრო მოსამსახურეების ურჩობისაკენ წაქეზებისათვის“.

დეპუტატები დააპატიმრეს პარლამენტის სესიის შეწყვეტის შემდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ არ ყოფილა დადგენილება მათთვის დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლების წართმევის შესახებ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სესიის შეწყვეტის დროს დეპუტატები არ სარგებლობენ ხელშეუხებლობის უფლებით. **სესიის განახლების შემდეგ პალატამ უარი განაცხადა წაერთმია დაპატიმრებულ დეპუტატთათვის ხელშეუხებლობის უფლება, რის გამოც პოლიცია იძულებული გახდა გაენთავისუფლებია ისინი.** (ადს)

სანტოს პროცესი

ვენა, 3 ნოემბ. სასამართლოს სხდომაზე ბუდაპეშტში 2 ნოემბერს სამოსამართლო გამოძიება სანტოს და მისი ამხანაგების საქმეზე შეწყვეტილ იქნა. დამცველთა ყოველგვარი შუამდგომლობა საბუთების დამატებისა და კერძოდ საგამომძიებლო მასალის შევსების (რუბინის დეკლარაციით) შესახებ უარყოფილ იქნა. დამცველებმა პროტესტი განაცხადეს მათი შუამდგომლობის უარყოფის წინააღმდეგ.

სამოსამართლო გამოძიების შეწყვეტის შემდეგ პროკურორმა ლინდმეირმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გაილაშქრა საბჭ. კავშ. წინააღმდეგ. **როცა პროკურორი ლაპარაკობდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ბრალდებულნი სასტიკ პროტესტს აცხადებდენ.** პროკურორმა ყველა ბრალდებულთათვის მოითხოვა სასჯელის უმაღლესი ზომა, რაიც გათვალისწინებულია კანონში არსებული წყობილების დამხობის მომზადებისათვის. (ადს)

ჩინეთის ამბები

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 4 ნოემბერი. გაზეთებში, რომელნიც გამოდის ჩინეთში, კერძოდ ნიანცზინის გაზეთ „დატუნდი“-ში გამოქვეყნებულ იქნა ცნობა, რომ ვითომც საბჭოთა კავშირი იაპონელებთან აწარმოებს მოლაპარაკებას იმის შესახებ, რომ გადასცეს მათ თავისი უფლებები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის საქმეებში და სხვ. **საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან რწმუნება აქვს განაცხადოს, რომ ჩინური პრესის ეს ცნობები განზრახ შეთხზული ჭორია.** (ადს)

„ჩაინა ტაიმსი“-ს კორესპონდენტის დაპატიმრება

[illegible], 3 ნოემბერი. გოვინის სააგენტოს ცნობით, პეკინში დაპატიმრებულია შანხაის გაზეთ „ჩაინა ტაიმსი“-ს კორესპონდენტი პენ-შაო-გო. (ადს)

პროკლამაციია კანტონში

შანხაი, 3 ნოემბერი. გონკონგის გაზეთების ცნობით კანტონის პროფკავშირებმა მოითხოვეს იმ მუშების განთავისუფლება, რომელნიც აპრილის გადატრიალების შემდეგ იქნენ დაპატიმრებული. **ქალაქის ქუჩებში, როგორც გაზეთი იუწყება, დადიან კომუნისტები და ჰყრიან პროკლამაციებს, რომლებსაც ხელს აწერს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა და სამოქალაქო მოსახლეობის დეპუტატთა რევოლიუციონური საბჭო. პროკლამაციებში ნათქვამია, რომ რევოლიუციონური საბჭო მიზნად ისახავს ბრძოლას ლი-ტი-სინთან, რომელიც სდევნის კომპარტიას და მემარცხენე გომინდანელებს.** (ადს)

გრაფ ჩერნინის „მისია“

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. ნიუ-იორკში ჩავიდა ავსტრო-ჰუნგრეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, გრაფი ჩერნინი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაში. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ის ამტკიცებდა, რომ ევროპაში ბოლშევიზმის გავრცელების შესაჩერებლად აუცილებელია და შესაძლებელიც ევროპის საერთო ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ხელმძღვანელობით. (ადს)

2 წელი ლოკარნოს შემდეგ

თეირანი, 3 ნოემბერი. გაზეთი „ტუფანი“ აქვეყნებს წერილს სათაურით: „ორი წელი ლოკარნოს შემდეგ“, რომელშიაც ერთა ლიგის მოღვაწეობა დახასიათებულია ამგვარად:

„რამდენიც არ უნდა ვიფიქროთ, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვნახოთ სხვა აზრი ერთა ლიგის შექმნისა და არსებობისათვის, ვიდრე, ის რომ იგი იცავს იმ სახელმწიფოთა ინტერესებს, რომელნიც სცდილობენ კოლონიებისა და პატარა ჩაგრული ერების დაპყრობას“. (ადს)

პალატის ბიუჯეტის გარშემო

ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში

პრაღა, 3 ნოემბერი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ დეპუტატთა პალატის საბიუჯეტო კომისიაში დაიწყო კამათი ბიუჯეტის გარშემო., კომუნისტ დეპუტატებმა **მოლენმა და შტერნმა პროტესტი განაცხადეს ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულობის აღკრძალვის წინააღმდეგ და აგრეთვე პროფესიონალური კავშირებისა და კომუნისტური პარტიის სამდივნოს გაჩხრეკის წინააღმდეგ.** (ადს)

ჰამბურგის მუნიციპალიტეტში

ბერლინი, 3 ნოემბერი. ჰამბურგის მუნიციპალიტეტმა თითქმის ერთხმად ხელმეორედ აირჩია მუნიციპალიტეტის წინანდელი თავმჯდომარე— სოციალ-დემოკრატი. თავმჯდომარის პირველ მოადგილედ კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების ხმებით არჩეულ იქნა კომუნისტი, თავმჯდომარის მეორე მოადგილედ სოციალ-დემოკრატებისა და ნაციონალისტების ხმებით არჩეულ იქნა ნაციონალისტი. (ადს)

ომი ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. ნიკარაგუაში კვლავ განმეორდა შეიარაღებული შეტაკება შეერთებული შტატების ჯარებსა და ლიბერალების რაზმებს შორის. **ლიბერალების მხრივ მოკლულია 60 კაცი.** შეერთებული შტატების ჯარებში დაჭრილია ერთი. (ადს)

ოსმალეთი დღესასწაულობს ქემალის არჩევას

ანგორა, 3 ნოემბერი. ანატოლიის სააგენტო იუწყება: „მთელ ოსმალეთში იმართება ზეიმი და მანიფესტაციები მუსტაფა-ქემალ- ფაშას პრეზიდენტად არჩევის გამო. პრესა ქემალ-ფაშას დიდებას უძღვნის. (ადს)

იტალია და ტანჟერი

პარიზი, 3. ნოემბერი. „პტი პარიზიენის“ რომაელი კორესპონდენტი სწერს, რომ სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იტალიის მთავრობა სდგას იმ თვალსაზრისზე, რომ 1906, 1912 და 1916 წ. ხელმოწერილი საფრანგეთ-იტალიის შეთანხმება ტრიპოლიტანიისა და მაროკოს საქმეებში ურთიერთ ჩაურევლობის შესახებ, არ ვრცელდება ტანჟერზე. **იტალია დაჟინებით მოითხოვს მონაწილეობას პარიზის კონფერენციაზე, რომელიც არჩევს ტანჟერის საკითხს.** ამ თავის მოთხოვნილებას იტალია ასაბუთებს იმით, რომ საფრანგეთ-იტალიის შეთანხმება არ ეხება ტანჟერს. **იტალია უარს აცხადებს როგორც 1923 წლის, ისე ყოველი სხვა შეთანხმების ცნობაზე, რომელიც დაიდება მისი მონაწილეობის გარეშე.** (ადს)

პოლიტის პროცესი

ლონდონი, 3 ნოემბერი. პოლიტის, ბიჩის და სტრედვიკის პროცესზე, რომელთაც ბრალად ედებათ ცილისწამება საბჭოთა კავშირიდან გადასახლებულ სკოტის წინააღმდეგ, მოსამართლემ გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნილების შესახებ, რომ საქმეს საბუთის სახით დართვოდა დოკუმენტები, რომლებიც საბჭოთა კავშირში იყო შედგენილი სკოტის საქმეზე. თავის გადაწყვეტილებაში მოსამართლე ამბობს, რომ ვინაიდან გამოძიება სკოტის საქმეზე საბჭოთა კავშირში მოახდინა არა სასამართლომ, არამედ ადმინისტრატიულმა ხელისუფლებამ, ამიტომ დოკუმენტების ასლი არ შეიძლება საქმეს დაერთოს საბუთის სახით. მოსამართლემ ამასთანავე განაცხადა, რომ დემიანენკოს (სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ნოვოროსიისკში, გამოწვეული მოწმედ) შეეძლო თან ჩამოეტანა დოკუმენტების დედნები თვით სკოტის ხელმოწერით და მაშინ შეიძლებოდა ამ დოკუმენტების ჩართვა საქმეში.

საქმის გარჩევის დროს ბრალდების წარმომადგენლები დაჟინებით მოითხოვდენ, რომ საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ მოწმეებს მისცემოდა მთელი რიგი კითხვები, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ საქმესთან და რომლებიც შედგენილი იყო ანტისაბჭოთა კამპანიის გაჩაღების მიზნით. (ადს)

მასიური დაპატიმრება ბელგრადში

ვენა, 3 ნოემბერი. ბელგრადის ოფიციოზური გაზეთი „ვრემია“ აქვეყნებს სამხრეთ-სლავიის პოლიტიკური პოლიციის განცხადებას წარსულ კვირაში მომხდარი მასიური დაპატიმრებების შესახებ, განცხადება ამტკიცებს, რომ პოლიციამ აღმოაჩინა სამხრეთ-სლავიის ბელგრადის სარაიონო კომიტეტი, რომლის მეთაური ვითომც არის სტუდენტი კოტური. დაპატიმრებულებს თითქოს აღმოაჩნდათ დანაშაულის დამამტკიცებელი მასალა, რომლის ძალითაც მოხდა შემდგომი დაპატიმრებანი, უმთავრესად დამოუკიდებელ პროფკავშირთა მუშაკებს შორის. დაპატიმრებულია დამოუკიდებელ პროფკავშირთა საბჭოს მთავარი მდივანი **სტეპანოვიჩი,** გაზეთ „ნოვოსტი“-ს რედაქტორი **კერსოვანი** და მუშურ -გლეხური ბლოკის გამოჩენილი მოღვაწენი. დაპატიმრებულთა საერთო რიცხვი უდრის 30 კაცს. (ადს)

მთავრობის პოლიტიკა

ლატვიაში

რიგა, 3 ნოემბერი. დემოკრატიული ცენტრის პარტიის ცეკამ შესაძლოდ სცნო კვლავ შევიდეს მთავრობის კოალიციაში, თუ გადადგა გარეშე საქმეთა მინისტრი **ცელენსი** და მიწადმოქმედების მინისტრი **მეტულისი.** ამის გამო მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ „გარეშე საქმეთა სამინისტრო უნდა მოექცეს ისეთი პირის ხელში, რომელიც შესძლებს ლატვიის ინტერესების უზრუნველყოფას ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების განხორციელების დროს“. (ადს)

რა ხდება პოლონეთში

პოლონეთის სენატის სესიის გადადება

ვარშავა, 4 ნოემბერი. სეიმის სესიის გადადების გამო, რესპუბლიკის პრეზიდენტმა 28 ნოემბრამდე გადასდო აგრეთვე სენატის სესიაც. (ადს)

ზალესკის დაბრუნება შვებულებიდან

ვარშავა, 3 ნოემბერი. ზალესკი დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღსრულებას. (ადს)

ამნისტიას არ აცხადებენ

ვენა, 3 ნოემბერი. ავსტრიის პარლამენტმა უარჰყო სოციალ-დემოკრატების მიერ შეტანილი წინადადება ამნისტიის გამოცხადების შესახებ ივლისის ამბებთან დაკავშირებით აღძრულ საქმეების გარშემო. (ადს)

ავსტრიის ს.-დემ. პარტიის ახალი ცეკას თავმჯდომარე

ვენა, 3 ნოემბერი. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალმა ცეკამ თავმჯდომარედ აირჩია **ზეიცი,** თავმჯდომარის ამხანაგებად **ბაუერი და ტომიშკი.** (ადს)

საბერძნეთ-სამხრეთ-სლავიის სავაჭრო კონვენცია

ათინა, 3 ნოემბერი. 2 ოქტომბერს ხელი მოაწერეს საბერძნეთ-სამხრეთ-სლავიის სავაჭრო კონვენციას. (ადს)

მემარჯვენე გზით

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. ამერიკის სოციალისტური პარტიის აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია უკიდურესი მემარჯვენე ფრთის ლიდერი **ვიქტორ ბერგერი. ბერგერის არჩევა ნიშნავს სოციალისტური პარტიის უკიდურესი რეაქციონური ტენდენციების გაძლიერებას.**

მოდიან ოქტომბრის ზეიმზე

ფანოლი მოსკოვში

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. მოსკოვში ლენინგრადიდან ჩამოვიდა ალბანეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე **ფანოლი** (ფანოლის მთავრობა 1925 წელში ჩამოაგდო ალბანეთის ეხლანდელმა რეაქციონურმა მთავრობამ. ფანოლი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო).

პრესის წარმომადგენელთან საუბარში ფანოლიმ განაცხადა, რომ იგი ჩამოვიდა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულზე დასასწრებლად.

„მე აღფრთოვანებული ვარ იმით,— სთქვა მან,—რომ საკუთარი თვალებით შემიძლია დავინახო მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური მთავრობა. ჩემი პირველი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში საუცხოვოა. გლეხთა სახელმწიფოს ცხოველმყოფელობის საუკეთესო დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის ნგრევის შემდეგ ამ ქვეყანამ რამოდენიმე წლის განმავლობაში შესძლო აღდგენა და მეურნეობისა და კულტურის დარგში მან წინ გაუსწრო ომამდე არსებულ დონეს. ეს ამტკიცებს, რომ მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ თვითონ მართონ თავისი სახელმწიფო მძიმე პირობებშიაც კი“. (ადს).

პროფესორი ნეედლი მოსკოვში

მოსკოვი, 4 ნოემბ. მოსკოვში ჩამოვიდა პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩეხო - სლოვაკია - საბჭოთა კავშირის დაახლოვების საზოგადოების თავმჯდომარე **ნეედლი.**

პრესის წარმომადგენელთან საუბარში საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესის მოწვევის შესახებ **ნეედლიმ** განაცხადა:

„ამ კონგრესს დიდი მნიშვნელობა ექნება სხვადასხვა ქვეყნების დაახლოვებისათვის საბჭოთა კავშირთან; ეს კონგრესი დაამყარებს აგრეთვე კავშირს საბჭოთა კავშირთან დაახლოვების საზოგადოებებს შორის, რომელნიც სხვადასხვა ქვეყნებში არსებობენ“ (ადს).

თათბირი 7 საათის სამუშაო დღის შესახებ

მოსკოვი, 4 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭოში შესდგა პროფკავშირთა ცენტრ. კომიტეტების თათბირი შვიდი საათის სამუშაო დღის განხორციელების შესახებ. თათბირზე წარმოდგენილი ცნობების მიხედვით გამოირკვა შემდეგი:

ქიმიკოსთა კავშირის ცეკამ უკვე დაიწყო მოლაპარაკება სამეურნეო ორგანიზაციებთან შვიდი საათის სამუშაო დღის პრაქტიკ. გატარების შესახებ. ფეიქართა კავშირის ცეკამ უკვე დასდო შეთანხმება „გლავტექსტილთან“, რომლის ძალითაც შვიდი საათის სამუშაო დღე მიმდინარე წელში გატარებულ უნდა იქნას ხუთ წარმოებაში. ქაღალდის ფაბრიკების მუშაკთა კავშირის ცეკას ცნობით, ქაღალდის ფაბრიკების გადასვლა შვიდი საათის სამუშაო დღეზე მოითხოვს მუშათა რაოდენობის გადიდებას 14 პროცენტით. მბეჭდავთა კავშირის ცეკამ წამოაყენა, რომ შვიდი საათის სამუშაო დღე, რომელიც მბეჭდავთა შორის ფაქტიურად უკვე არსებობს, უნდა იქნეს დაკანონებული. წყალის ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის ცეკა ფიქრობს, რომ შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღება წყალის ტრანსპორტში მოითხოვს დატვირთვისა და განტვირთვის რაციონალიზაციას, წყალის ტრანსპორტის უკეთესად გამოყენებას და მისი ექსპლოატაციის ტემპის გაძლიერებას. დანარჩენი კავშირების წარმომადგენელნიც ფიქრობენ, რომ არ არსებობს სერიოზული დაბრკოლება სამუშაო დღის შემცირებისათვის.

თათბირმა საბოლოოდ დაამტკიცა მუშაობის პროგრამა შვიდი საათის სამუშაო დღის გასატარებლად. თათბირმა გადასწყვიტა, რომ შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღებასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება უნდა დამთავრდეს 1928 წლის იანვრისათვის. პროფკავშირების ცდა შვიდი საათის სამუშაო დღის გატარების დროს იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ გაიზარდოს მუშათა რაოდენობა, შენარჩუნებულ იქნას სამუშაო ხელფასის არსებული დონე და შეიქმნას წინასწარი პირობები სამუშაო ხელფასის შემდეგომი ზრდისათვის. შვიდი საათის სამუშაო დღის გატარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხები უნდა გადასწყდეს განსაკუთრებულ ავტორიტეტულ კომისიაში, რომელსაც გამოჰყოფს საკავშირო პროფსაბჭო. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ოპოზიციის წინააღმდეგ

მოსკოვი, 4 ნოემბერი. ბულგარეთის კომპარტიის ცეკა 7 ოქტომბრის სხდომაზე გამოტანილ დადგენილებაში უერთდება კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის და ინტერნ. საკონტრ. კომისიის გადაწყვეტილებას კომინტერნის აღმასკომიდან **ტროცკისა** და **ვუიოვიჩის** გამორიცხვის შესახებ.

რეზოლიუციაში ნათქვამია: ბულგარეთის კომპარტიის ცეკამ განიხილა რა კომინტერნის აღმასკომის და ინტერნ. საკონტრ. კომისიის გადაწყვეტილება **ტროცკისა** და **ვუიოვიჩის,** პირველის, როგორც კანდიდატის და მეორის, როგორც ნამდვილი წევრის გამორიცხვა კომინტერნის აღმასკომიდან, ამ გადაწყვეტილებას სცნობს სწორად და სავსებით იწონებს. ცეკა აუცილებლად სცნობს ბრძოლის გაძლიერებას ტროცკისა და კომპანიის დეზორგანიზატორულ მოქმედებასთან და ზომების მიღებას მისი საბოლოო ლიკვიდაციისათვის. (ადს).

ბაქოს პარტკონფერენცია

ბაქო, 4 ნოემბერი. დღეს ბაქოს პარტორგანიზაციაზე მოსმენილ იქნა ამხ. **ალიშაკოვის** და **ეფენდიევის** საბოლოო სიტყვა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ანგარიშის გამო, ამხ. **კოკუშკინისა** და **რზაევის** მოხსენებები ბაქოს საბჭოს ფრაქციის მუშაობის შესახებ, კამათი ამ მოხსენებების და საბოლოო სიტყვები.

დღეს საღამოთი მუშაობენ კომისიები პარტმუშაობის საკითხების გასარჩევად.

ხვალ უკანასკნელი სხდომაა.

რაიონებიდან გრძელდება ცნობების მიღება უპარტიოთა სურვილის შესახებ აზ. კომ. პარ. (ბ) რიგებში მიღებაზე. 4 ნოემბრამდე პარტიაში მიღების მსურველი აღმოჩნდა 1.061 კაცი. (ადს).

მანიფესტის განსახორციელებლად

ბაქო, 4 ნოემბერი. აზერბეიჯანის ცაკის პრეზიდიუმმა საკავშირო ცაკის მანიფესტის მე-9 პუნქტის შესასრულებლად ამოიღო სისხლის სამართლის კოდექსიდან მთელი რიგი მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ უმაღლეს სასჯელს

აზცაკთან შედგენილია სპეციალური კომისია, რომელმაც ცხოვრებაში უნდა გაატაროს მანიფესტის მეათე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის შემსუბუქებას სხვადასხვა ბოროტმოქმედთათვის. (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს—აირესი, 4 ნოემბერი. კაპაბლანკა—ალიოხინის მე-25 პარტია გადადებულ იქნა მე-40 სვლაზე. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მემაღაროეთა ხელფასის გადიდება

მოსკოვი, 4 ნოემბერი. მემაღაროეთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმი და „გლავგოსტოპი“ შეთანხმდენ მემაღაროეთა ხელფასის გადიდებისათვის დანიშნული შვიდმილიონიანი ფონდის განაწილების წესის შესახებ. აზნეფტის მუშების ხელფასის გადადებისათვის გამოყოფილია 2 მილიონი მანეთი. (ადს).

რუსეთ-შვეციის მემაღაროეთა კომიტეტი

მოსკოვი, 4 ნოემბერი. მოსკოვიდან შვეციაში გაემგზავრა შვეციის მემაღაროეთა კავშირის თავმჯდომარე ხანსონი და ჩრდილო კარუნის (შვეცია) მემაღაროეთა კავშირის თავმჯდომარე სტრემბეკი. მოსკოვში ამ დელეგატებმა დასდეს ხელშეკრულება შვეცია-რუსეთის მემაღაროეთა კომიტეტის შექმნის შესახებ. (ადს).

გავანის პროფკავშირთა მისალმება

მოსკოვი, 4 ნოემბერი. პროფინტერნის აღმასბიურომ გავანის პროფკავშირთა ფედერაციის აღმასკომისაგან მიიღო წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენი ფედერაცია განაგრძობს ბრძოლას პროფკავშირთა მთლიანი ინტერნაციონალის შექმნისათვის, რომელიც დამყარებული იქნება კლასობრივი ბრძოლის პრინციპებზე. ჩვენი ფედერაცია მხარს დაუჭერს ყოველგვარ ორგანიზაციას, რომელიც იზიარებს ამ თვალსაზრისს, და ამიტომ იგი გულითად სალამს უძღვნის თქვენს ინტერნაციონალს, რომელიც პროფკავშირთა საერთაშორისო მთლიანობისათვის იბრძვის“. (ადს).

კოოპერატიული დელეგაციების ჩამოსვლა

მოსკოვი, 4 ნოემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატიული დელეგაცია. დელეგაციაში შედის 9 წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ქალაქებიდან. ჩამოვიდა აგრეთვე ლატვიის კოოპერატიული დელეგაცია. (ადს).

ამხ. სემაშკოს გაწვევა

მოსკოვი, 4 ნოემბერი. ამხ. სემაშკო ვიცე-პრეზიდენტად მიიწვიეს საერთაშორისო სანიტარულ-ჰიგიენურ კონგრესზე, რომელიც პარიზში გაიხსნება 1928 წ. ივლისში. (ადს).

მაქსიმ გორკის წერილი

იაროსლავლი, 4 ნოემბერი. ადგილობრივი გაზეთის გლეხკორმა ფომინმა მაქსიმ გორკისაგან მიიღო წერილი. გორკი სწერს: „ისეთმა პირებმა, როგორიც ხართ თქვენ, გლეხკორები, რომელნიც ხალხის ფართო მასებში სცხოვრობთ, კარგად უნდა იცოდეთ, რომ რუსეთში შენდება მართლაც ახალი სახელმწიფო, რომლის მაგვარი ჯერ არავის უნახავს“. (ადს).

ვოლხოვის თევზსაჭერი ქარხანა

ლენინგრადი, 4 ნოემბერი. ვოლხოვში დასრულდა ევროპაში ყველაზე დიდი თევზსაჭერი ქარხნის აგება. (ადს).

შვიდი საათის სამუშაო დღე მემაღაროეთათვის

ხარკოვი, 4 ნოემბერი. „გლავგოსტოპმა“ ტრესტებს გადასცა განსახილველად 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის საკითხი, მიწისქვეშ მომუშავეთათვის იმ ცეხებში, რომელიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული განუწყვეტლივ მომქმედ მაღაროებთან. ამის შესახებ „დონუგოლის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ბილინმა** „რატაუს“ კორესპონდენტს აცნობა, რომ 7 საათის შემოღების საკითხი ეხება „დონუგოლის“ მუშათა დაახლოებით 60 პროც. ვინაიდან 60.000 მუშას (დაახლოებით 40 პროც.) ამჟამად აქვს 6 საათის სამუშაო დღე. (ადს).

ცაკის მანიფესტის შესრულება

ტამბოვი, 4 ნოემბერი. მანიფესტის თანახმად, ღარიბ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებისთვის გუბერნიას მიეცა 100.000 მანეთი. გადასახადისაგან განთავისუფლებულთა რიცხვი 35 პროც.-ზე გაცილებით მეტი იქნება. (ადს).

ყაზანი, 4 ოქტომბერი. თათართა რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც, დამატებით ცაკის მანიფესტისა, დასახულია ზომები თათართა რესპუბლიკის მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. უმუშევრობასთან ბრძოლისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებულია 52.000 მან., ღარიბი გლეხებისათვის კრედიტის მისაცემად გადადებულია 50.000 მან. (ადს).

რუმინელ ჯაშუშების საქმე

ტირასპოლი, 4 ნოემბერი. მთავარ სასამართლოს სესიამ მოლდავიაში დახვრეტა მიუსაჯა **სამ რუმინელ ჯაშუშს ტომენკოს, კრიჩუკს და სამოილოვს, რომელთაც ბრალდებათ საბჭოთა საზღვარზე გადმოსვლა ჯაშუშურ მუშაობისათვის ხალხის შესაგროვებლად.** (ადს).

კულაკები მანიფესტის წინააღმდეგ

ოდესა, 4 ნოემბერი. ოდესჩინის სასოფლო კრებებზე კულაკებმა სასტიკად გაილაშქრეს საკავშირო ცაკის მანიფესტის წინააღმდეგ და ყოველნაირად სცდილობდენ მისი მნიშვნელობის მიჩქმალვას საშუალო გლეხურ მასებში. ღარიბი გლეხობა, პირიქით, ძალიან კმაყოფილია მანიფესტით. ადგილობრივ გლეხურ გაზეთის „ჩერვონნი სტეპ“-ის რედაქციაში მოდის აურაცხელი მისასალმებელი წერილი, სადაც ხელმოკლე გლეხები გამოსთქვამენ უდიდეს მადლობას საბჭოთა ხელისუფლების მიერ მათთვის მინიჭებულ შეღავათებისათვის. (ადს).

დახმარება იტალიის პროფმოძრაობას

მოსკოვი, 4 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭომ იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციას ამას წინად გაუგზავნა 100.000 იტალიური ლირა იტალიის პროფმოძრაობის დასახმარებლად. საკავშირო პროფსაბჭომ ფედერაციისაგან მიიღო მადლობის წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„გთხოვთ საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს გადასცეთ ძმური სალამი იტალიის მუშათა და გლეხთაგან. აცნობეთ საბჭოთა კავშირის მშრომელთ, რომ იტალიის მუშები მუშათა პირველ სახელმწიფოს უყურებენ, როგორც მსოფლიო რევოლიუციის პირველ მებრძოლს, და რომ ისინი ყოველთვის ხელი-ხელ ჩაკიდებული იქნებიან საბჭოთა მუშებთან საბჭოთა კავშირის დასაცავად და სოციალიზმის მთელს მსოფლიოში განხორციელებისათვის“. (ადს).

სიღარიბე და უმუშევრობა ირლანდიაში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

პირველი წარუხოცელი შთაბეჭდილება, რომელსაც კაცი ღებულობს, როცა ირლანდიაში ადგამს ფეხს, არის შთაბეჭდილება შემაძრწუნებელი სიღარიბისა. იგი ეტყობა ადამიანს, გამოსჭყივის შენობებიდან, გამოფენილია ქუჩებში. ადამიანი „გრძნობს“ უფულო ქვეყანას, ჩაგრულ და არაქათ გამოცლილ ხალხს

დუბლინს არ აქვს სატახტო ქალაქის საკადრისი გარემოება,, ქუჩები ტალახიანია, მოუვლელი, დასერილი წარღვნის დროინდელი ტრამვაით, თვით რონოდების კედლები ჩამორეცხილია, ალაგ - ალაგ ჟანგი სჩანს ატრეცილი სალებავის ქვეშ. ზოგიერთ ახალ შენობის მედიდურობას არ ძალუძს მთავარი ქუჩების საბეჩავე დაჰფაროს. სამოქალაქო ომის მიერ დატოვებული ნგრევის ნიშნები დღესაც კიდევ ატყვია ამ ქუჩებს.

ვიწრო ქუჩებში ფუსფუსებს მშიერი ბრბო, რომელიც უმიზეზოთ ტკეპნის ქვაფენილს და სადმე კუთხეში ეცემა არაქათ გამოლეული. შალ მოხვეული, თმა დაუვარცხნელი, სიმშილით და სიღარიბით სახე შეშლილი დედა-კაცები ძონძებში გახვეულ,, ფეხშიშველ ბავშვებს მიათრევენ. ყოველგან ჭუჭყიანი, გულის ამრევი, აღმაშფოთებელი სიღარიბე სჩანს.

მე მინახავს დამშეული ვენა, ინგლისის მაიაოიები გაფიცვის დროს, საბჭოთა კავშირი ბლოკადის ხანაში, ვიცნობ ლონდონის ჯურღმულებს, გლაზგოს „სარდაფებს“ ედინბურგის ბუნაგებს, ამსტერდამის „გეტტოს“, ნეაპოლის შუკებს, მაგრამ არსად სიღარიბე არ აღწევს ირლანდიის დეგრადაციის დონემდე. იაფ - ფასიანი სახელის მოსახვეჭად ერთმა ფრანგმა მწერალმა სთქვა მოსკოვში აღარ იცინიანო. დაე წავიდეს და ირლანდია ნახოს.

ან როგორ შეიძლება აქ გაცინება.

ლარკინთან ერთად დავათვალიერე ზოგიერთი მჭიდროდ დასახლებული უბანი დუბლინის ჩრდილოეთ ნაწილში. მაღალი პირქუში სახლები ორივე მხრივ მისდევენ ქუჩას, სადაც უსაქმოდ დარჩენილი ხალხი ფუსფუსებს, ტალახიან თხრილებში ნახევრად ტიტლიკანა, ფეხშიშველი ბიჭები და გოგოები თამაშობენ. თვითეულ ასეთ ყაზარმაში საშუალოდ 24 ოჯახი სცხოვრობს. ოჯახზე მხოლოდ ერთი ოთახი იმოდის. ოჯახში კი საშუალოდ ათიდან თორმეტ სულამდეა.

რით სცხოვრობს ეს ხალხი? ეს დიდი საიდუმლოებაა. ეს ჯურღმულები უფრო მაღალ ფასებში ქირავდება, ვიდრე თვით ლონდონის მუშათა ბინები. საშუალო ოთახი ათი შილინგი (ხუთი მანეთი) ღირს კვირაში. გასაკვირველი არ არის, რომ უმუშევრები ვერ იხდიან ასეთ დიდ ფასს. და კოსგრავის რეაქციონური მთავრობა მათ შეუბრალებლად ერეკება ბინებიდან. უკანასკნელ კვირაში მხოლოდ ერთ ქუჩაზე 21 ოთახი გამოასახლეს.

საკვები, თვით პურიც კი აკლიათ ამ საბრალოებს. — რას სჭამენ ისინი? ვკითხე ლარკინს. — ვინ იცის, — მიპასუხა მან.

მაგრამ ამ ულმობელი სიღარიბის მიუხედავად ირლანდიელ ხალხს მაინც თანდაყოლილი სიამაყე აქვს შენარჩუნებული; მათხოვრები თითქმის სრულიად არსად სჩანს. ამას გარდა ძლიერ განვითარებულია ერთმანეთის დახმარების გრძნობა.

ირლანდიაში ძლიერ გავრცელებულია ჰაზარტიანი თამაშობა. რეაქციონური მთავრობა კიდევ უფრო აღვივებს ამ ვნებას: შემოსავლის წყაროდ აქვს გადაქცეული. ქუჩებში მრავალია სათამაშო სახლები, სადაც უმუშევრებს, წინსაფარიან დედა - კაცებს, თვით ბავშვებსაც ორიოდე გროში მოაქვთ, რათა ბედისა და თამაშობის ღმერთს შესწირონ.

უმუშევრობა წარმოუდგენელს პროპორციას აღწევს. მარტო დუბლინში 60.000 უმუშევარია, მაგრამ მხოლოდ 16.000 სული თუ ღებულობს ცოტაოდენ დახმარებას. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მთელს ირლანდიაში განსაკუთრებით იმატა უმუშევრობამ. ყველგან ქარხნები იხურება, რკინისგზელებს ასობით ითხოვენ სამსახურიდან. უმუშევარ დოკერების რიცხვი კიდევ უფრო მეტია.

კოსგრავის მთავრობის ყოფილი წევრი, ვალში, სხვათ შორის, სწერდა: „ყოველგან სადაც უნდა წავიდე, გარს მერტყმიან მამაკაცები და დედა-კაცები და მთხოვენ ღვთის გულისათვის ერთი დღის სამუშაო მაინც უშოვო“.

ასეთია რამოდენიმე ხაზში თანამედროვე ირლანდიის სურათი. „მწვანე კუნძული“ უმუშევართა ბანაკს წარმოადგენს.

ქ. დ.—დ.

დუბლინი (ირლანდია)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

პარტიული მასა ლენინიზმის სადარაჯოზე

ლენინგრადი, 4 ნოემბ. 2 ნოემბერს ცეკას თეზისები განხილულ იქნა ლენინგრადის 33 პარტკრებაზე. კრებებზე რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. თეზისების წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ 59 კაცმა, თავი შეიკავა 17 კაცმა. დანარჩენებმა ერთხმად სავსებით მოიწონეს ცეკას თეზისები (ადს).

მინსკი, 4 ნოემბ. ბელორუსიის ცეკასა და ცენტრ. საკ. კომ. პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც მთლიანად იწონებს გაერთიანებულ პლენუმის გადაწყვეტილებას და თეზისებს მე-15-ტე პარტყრილობისათვის.

მოსკოვი, 4 ნოემბ. ზამოსკვორეჩიეს პარტკონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა შვეიცარელი კომუნისტი ქალი ტობლერი. ბაუმანის კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის და ესტონეთის მუშათა დელეგაციების წარმომადგენლებმა. კონფერენცია მხურვალე ტაშით მიესალმა დელეგაციებს. (ადს).

სტალინი, 4 ნოემბ. დამთავრდა რაიონული პარტკონფერენციები სტალინის ოლქის მსხვილ სამრეწველო რაიონებში. კონფერენციები ერთხმად იწონებდენ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიის მუშაობას და ცეკას და ცენტრ. საკ. კომ. გადაწყვეტილებას ცეკას შემადგენლობიდან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ (ადს).

ლუგანსკი, 4 ნოემბ. რაიონულ პარტკონფერენციებზე ოპოზიციის მომხრენი თითქმის არ აღმოჩნდენ. რეზოლიუციები, რომელნიც ცეკას ხაზს იწონებენ, ერთხმად იქნა მიღებული. (ადს).

ოპოზიციონერების მორიგი დამარცხება

ლენინგრადი, 4 ნოემბ. საწერ ქაღალდის დამამზადებელ ფაბრიკის პარტიულ კრებაზე პლენუმის შედეგების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა ოპოზიციონერი გასტროლიორი კარლ რადეკი. კრებამ პირველად გადასწყვიტა ბოლომდე მოესმინა რადეკისთვის, მაგრამ თავი ველარ შეიმაგრა მის ცილისწამებითი თავდასხმის გამო პარტიაზე. ატეხილ ხმაურისა და ყვირილის გამო რადეკი იძულებული გახდა ჩამოსულიყო ტრიბუნიდან. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც იწონებს პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს.

მთავარ სახელოსნოების კოლექტივის პლენუმი უდიდესი აღშფოთებით შეხვდა ევდოკიმოვის გამოსვლას. კრებამ არ ისურვა ევდოკიმოვის მოსმენა. კრებამ თავის რეზოლიუციაში გადაჭრით გაკიცხა ოპოზიცია (ადს).

ფრაქციული მუშაობისათვის

ზაპოროჟიე, 4 ნოემბ. ფრაქციული მუშაობისა და პარტიულ ორგანოთა დადგენილებებისათვის დაუმორჩილებლობის გამო საოლქო საკონტროლო კომისიის მიერ გამორიცხული არიან პარტიიდან: სოზოლი, მოსამსახურე, პარტიის წევრი 1925 წლიდან; ზემბიცკი, მოსამსახურე, პარტიის წევრი 1926 წლიდან; ბერეულიაევი, მუშა, პარტიის წევრი 1920 წლიდან; მიკულინი, პარტიის წევრი 1923 წლიდან.

საკონტროლო კომისიამ დაამტკიცა, რომ მიკულინი ოპოზიციის წევრთა დარაზმვის მიზნით თავის ბინაზე აწყობდა ქეიფს. ყველა გარიცხულთ თავხედურათ ეჭირათ თავი საკონტროლო კომისიაში და განაცხადეს, რომ შემდეგშიც განაგრძობენ ფრაქციულ მუშაობას.

საოლქო კომისიამ ფრაქციული მუშაობისათვის სასტიკი საყვედური გამოუცხადა პეტრუშინს, შმოლცს და გალკინს. აღნიშნული ამხანაგები დაზგის მუშებია. საკონტროლო კომისიის სხდომაზე მათ აღიარეს თავისი შეცდომები და განაცხადეს, რომ ისინი ყოველგვარ კავშირს სწყვეტენ ოპოზიციონერებთან (ადს).

ღირსეული პასუხი ფრაქციონერებს

კოსტრომა, 4 ნოემბ. საფეიქრო ფაბრიკების საამქრო პარტუჯრედების კრებაზე სამი ოპოზიციონერი შეეცადა თავზე მოეხვია კრებისათვის გადაწყვეტილება ცეკაში ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის დაბრუნებისა და აგრეთვე პრესაში ოპოზიციის პლატფორმის გამოქვეყნების შესახებ. მაგრამ მუშებმა ღირსეული პასუხი გასცეს ფრაქციონერებს. კრებამ 900 ხმის უმრავლესობით სამის წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც იწონებს ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვას ცეკას შემადგენლობიდან (ადს).

აჭარისტანის პარტკონფერენცია

ბათომი, 4 ნოემბერი. როგორც უკვე გატყობინებდით, გუშინ, 3 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, გაიხსნა აჭარისტანის კომპარტიის მეათე კონფერენცია. კონფერენცია გახსნა კომიტეტის მდივანმა ჟუჟუნაშვილმა. თავის სიტყვაში მან აღნიშნა ის დამახასიათებელი მომენტები, რომლებშიაც უხდება მუშაობა კონფერენციას.

„ათი წელი საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა—ამბობს ამხ. ჟუჟუნაშვილი—და გრანდიოზული მიღწევანი პოლიტიკურ და ეკონომიურ ფრონტებზე სიმბოლოა სოციალიზმის გამარჯვებისა. ოპოზიცია თავის ანტილენინური მუშაობით საბოლოოდ დაკარგავს ნდობას. ლენინის პარტია კი განაგრძობს წინსვლას ლენინის ანდერძის მიხედვით საბოლოო გამარჯვებამდე" (მქუხარე ტაში).

კონფერენცია ირჩევს საქმიან პრეზიდიუმს ამხ. ფ. მახარაძის, გ. ყურულაშვილის, ა. ჟუჟუნაშვილის, ფანცხავას, სურმანიძის, გოგიბერიძის, ფირცხალავას, ბედიას, ზოიძის და სხვების შემადგენლობით.

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს ამხ. სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, ვოროშილოვი, კალინინი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, კახიანი, ფ. მახარაძე, გ. ყურულაშვილი და გოგიბერიძე.

მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას და სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას

დამტკიცებულია შემდეგი დღის წესრიგი: საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საანგარიშო მოხსენება, აჭარისტანის საოლქო კომიტეტის ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის განვითარების შესახებ, კომიტეტის არჩევნები, საქართველოს პარტყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. მახარაძის მოხსენება. ამხ. მახარაძეს კონფერენცია შეეგება ოვაციით და მქუხარე ტაშით.

ძველი ბოლშევიკები ოპოზიციის შესახებ

მოსკოვი, 8 ნოემბერი. ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრთა საერთო კრებამ, 176 კაცის შემადგენლობით, ხმების დიდი უმრავლესობით ოთხის წინააღმდეგ (სამმა თავი შეიკავა) მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ძველ ბოლშევიკების საზოგადოება დაჟინებულად თვლის ოპოზიციის გადასვლას მენშევიკების ბანაკში. თაოსნობიდან პარტიის ცალკე ხელმძღვანელ წევრებზე, ოპოზიცია მივიდა საკ. კომ. პარ. (ბ) და კომინტერნისათვის სისტემატიურ ჩირქის მოცხებამდე და აგრეთვე პროლეტარიატის დიქტატურისათვის სახელის გატეხამდე, რაც სჩანს იქიდან, რომ ის უარყოფითად ეკიდებოდა და აგიტაციას ,წარმოებდა საკავშირო ცაკის მანიფესტის წინააღმდეგ, კერძოთ 7 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ.

ოპოზიციის მთელი ტაქტიკიდან და მოქმედებიდან ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებას გამოაქვს მხოლოდ ერთი დასკვნა, სახელდობრ, რომ ოპოზიციას აღებული აქვს კურსი მეორე პარტიის შექმნაზე და თავის გარშემო საზღვარგარეთის რენეგატულ და გამთიშველ ელემენტების შემოკრებაზე. მათთან შეთანხმებულად ოპოზიცია ხელყოფს შეარყიოს კომინტერნის ავტორიტეტი და დაბლობს მისი რიგები. ძველი ბოლშევიკთა საზოგადოება სთვლის, რომ ოპოზიციონერებმა თავისი თავი დააყენეს კომინტერნისა და საკ. კომ. პარ. (ბ) რიგებს გარეთ და ამიტომ საჭიროდ მიაჩნია, რომ პარტიის მე-15 ყრილობამ გარიცხოს ისინი პარტიის რიგებიდან. ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება პარტიულ მოვალეობად სთვლის აგრეთვე აღნიშნოს ბუფერული ჯგუფის (შკლოვსკი, კასპაროვი და სხ.) ოპოზიციისაკენ ლტოლვის მავნებლობა, ვინაიდან ამ ჯგუფს მერყეობა შეაქვს პარტიის ნაკლებ შეგნებულ წევრებში". (ადს).

შორდებიან ოპოზიციას

საქ. კომპ. (ბ) ოზურგეთის სამაზრო კომიტეტმა, ქვემოჩამოთვლილი ამხანაგებისაგან მიიღო განცხადებანი იმის შესახებ, რომ ისინი ხსნიან თავის ხელმოწერას "83"-ის განცხადებაზე:

1) ოსეფაშვილი ილია—პარტსტაჟი 1926 წლიდან, 2) მეზარიშვილი ისიდორე—1921 წ., 3) გიორგაძე ვასილ—1921 წ., 4) გიორგაძე დიმიტრი—1921 წ., 5) ვაჩეიშვილი ვასილ—1921 წ., 6) ძნელაძე მოსე—პარტ. ბილ. № 0854136. 7) კვინტრაძე სევერიანე—პარტსტაჟი—1924 წლიდან, 8) კვინტრაძე ეუტიხი—1925 წ. კანდ., 9) ყენია რაფიელ—1926 წ. კანდ., 10) ჭკუასელი ი., 11) სხვიტარიძე ილიკო—პარტსტაჟი 1918 წლიდან, 12) ცხომელიძე ივანე—1926 წ., 13) კორძაძე დიომიდე—1926 წ., 14) სოსელია აბრამ 1921 წ., 15) ნადირაძე ბესარიონ —1917 წ.

ამ ამხანაგების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ხელმოწერა მისცეს იმის გამო, რომ ცალკე ოპოზიციონერებმა შეიყვანეს ისინი შეცდომაში.

საქ. კომპ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომს ქვემოჩამოთვლილმა ამხანაგებმა მიმართეს განცხადებით, რომ ისინი ხსნიან ხელმოწერას „83"-ის განცხადებაზე და იმიჯნებიან ოპოზიციისაგან: 1) ზზიკაძე ვალერიან—მოსამსახ. პარტსტაჟი 1917 წლიდან, 2) ხუნდაძე ვლადიმერ—მუშა, პარტსტაჟი 1919 წ., 3) ახობარდია ნიკოლოზ—მუშა, 1917 წ., 4) ქერხუაშვილი ლადო—გლეხი, 1921 წ. 5) ძირიშვილი გიორგი—მუშა, 1922 წ., 6) კანუსი ტროფიმე—მოსამსახ. 1920 წ., 7) ალექსიშვილი გიორგი—მუშა. 1917 წ., 8) რადიონოვი გრიგოლ—მოსამ., 1925 წ.

ქუთაისის კომიტეტს ასეთივე განცხადებით მიმართა შემდეგ 45 ამხანაგმა:

1) ვაშაყმაძე იოსებ—პარტსტაჟი 1915 წლიდან, 2) ხობუა ალექსანდრე—1913 წ., 3) ბაბტაძე ბიქტორ—1905 წ., 4) ზარაგია სერგო—1903 წ., 5) კალანდაძე კაპიტონ—1912 წ., 6) ქუთათელაძე ალექსანდრე—1905 წ., 7) თოფაძე ალექსანდრე—1905 წ., 8) კაციტაძე ვლადიმერ —1905 წ., 9) არველაძე სევერიანე, 10) შენგელია ამბროსი, 11) კუპავა იასონ, 12) რუხაძე შუშანიკა—1918 წ., 13) კაკაბაძე ლავროსი, 14) ჯანგავაძე ონისიმე—1921 წ., 15) წივწივაძე ალექსი, 16) ალასანია ალიბეკო—1918 წ., 17) სტურუა ილარიონ—1918 წ., 18) ჭაია ერმილე—1919., 19) სტურუა ილია—1917 წ., 20) გეგეშიძე ავქსენტი—1917 წ., 21) ჯვარიშვილი გრიგოლ—1926 წ. კანდ., 22) ქაცარავა აკაკი—1925 წ., 23) ჩიქოვანი ბარნაბა—1921 წ., 24) ფანცულაია ანტონ—1917 წ., 25) ბახტაძე ვლადიმერ 1925 წლიდან 26) ბახტაძე ერმილე — 1925 წელი, 27) ჩხენკელი შალვა — კომკავშირის წევრი 1923 წლიდან, 28) რატიანი გრიგოლ — 1921 წ., 29) ჯიშკარიანი გიორგი — 1926 წ., 30) ოსელიანი ალექსი — 1925 წ., 31) ბულეიშვილი ირაკლი — 1917 წ., 32) კანკავა ვლადიმერ —1918 წ., 33) ბარათაშვილი ბესარიონ — 1917 წ., 34) ბოხუა გიორგი — 1918 წ., 35) კვანჭილაძე გიორგი — 1917 წ., 36) ხურომე გრიგოლ — 1925 წ. კანდ., 37) თათეიშვილი ვასილ —1917 წ., 38) მაღლაკელიძე ალექსანდრე— კომკავშირის წევრი 1921 წ., კანდ. 1926 წ., 39) მაჭავე გიორგი — 1926 წ., 40) შალამბერიძე რუბენ — 1926 წ. კანდ., 41) ხოხაძე ირადიონ 1917 წ., 42) ხუშუა იასონ — 1917 წ., 43) ლოლაძე მელქისედეკ — 1918 წ., 44) ნიკოლაიშვილი ალეკო — 1918 წ., 45) მაღულარია ისიდორე — 1918 წ.

ამ ამხანაგების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებამ და დამუშავებამ ნათლად გვიჩვენა ოპოზიციის ნამდვილი სახე. ოპოზიციის მუშაობის ანტიპარტიულობა, — სწერენ ეს ამხანაგები განცხადებებში, — კიდევ უფრო ცხადი გახდა მას შემდეგ, როდესაც გააძლიერეს ფრაქციული მუშაობა და ოპოზიციის „ბელადებმა" მოითხოვეს არალეგალური მუშაობის წარმოება.

მთელი რიგი ამხანაგები — კაპიტონ ცინცაძე, პარტიის წევრი 1917 წლიდან, ანტონ შენგელაია და ალექსანდრე კუკულავა, პარტიის წევრი 1924 წლიდან, აღშფოთებით აცხადებენ, რომ მათ ხელი არ მოუწერიათ „83"-ის განცხადებაზე და ოპოზიციონერებმა თვითონ მოაწერეს ხელი მათ მაგივრად რითაც აშკარა სიყალბე ჩაიდინეს

პარტიის წევრი ალექსანდრე კუკულავა თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადგილობრივი აქტიური ოპოზიციონერი გოგილაშვილი არა ერთხელ სცდილობდა მის გადაბირებას ოპოზიციის მხარეზე.

„მაგრამ მე,—სწერს ამხ. კუკულავა, — ვებრძოდი და ვიბრძოლებ ოპოზიციის წინააღმდეგ. როცა მე რამოდენიმეჯერ გამოვედი უჯრედის კრებაზე და მკაცრად გავაკრიტიკე ოპოზიციის მუშაობა, ჩემთან კვლავ მოვიდა ოპოზიციონერი გოგილაშვილი და მითხრა, „არგადამეკიდებაა" ოპოზიციის გაკრიტიკება; მან ისევ დამიწყო ლაპარაკი, რომ გავმხდარიყავი ოპოზიციონერი.

როცა მე უარი განუცხადე, ოპოზიციონერები ყოველგვარი საშუალებით სცდილობდენ ჩირქი მოეცხოთ ჩემთვის, და ალბად ჩემს წინააღმდეგ პროვოკაციის მოწყობის მიზნით ჩაიდინეს სიყალბე და მოაწერეს ჩემს მაგივრად ხელი „83"-ის განცხადებაზე.

მუშათა უნივერსიტეტში

თბილისის მუშათა უნივერსიტეტების

საზეიმო გახსნა მოხდება 8 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ კლუბში.

გახსნაზე მოწვეულნი არიან: პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები და აგრეთვე ყველა ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ თბილისის მუშათა უნივერსიტეტებში შესასვლელი განცხადებები.

შესვლა თავისუფალია.

ს.ს.ს.რ. პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა.

როგორ „მუშაობდა" ოპოზიცია

მე, შალვა ჯიჯიეშვილი, კომკავშირელი 1924 წლიდან, 1926 წლიდან ვიყავი ოპოზიციონერი, მაგრამ ოპოზიციასთან არ მქონია კავშირი 1927 წლამდე. 1927 წელში მე ვინახულე ამხ. **პარმენ ცინცაძე** იმ მიზნით, რომ დავკავშირებოდი ოპოზიციას. ამხ. ცინცაძემ გამაცნო სადავო საკითხები და მითხრა, რომ ახლო მომავალში ქობულეთში მოწვეულ იქნება არალეგალური კრება, რომელზედაც დაესწრება **ლადო დუმბაძე, დათიკო ლორთქიფანიძე** და **ბინო კალანდაძე.** და ეს კრება განიხილავს ყველა სადაო საკითხებს. მან წინადადება მომცა დავსწრებოდი ამ კრებას და შემპირდა, რომ მაცნობებდა კრების მოწვევის დღეს. მართლაც, როგორც კი მივიღე ცნობა კრების მოწვევის დღის შესახებ, მე 29 სექტემბერს გავემგზავრე ქობულეთში, სადაც ზემოხსენებულ ამხანაგებთან ერთად იყვენ: **მიხაკო მკურნალი, პ. ცინცაძე, ს. ჭანიშვილი, არტემ ტულუში, დოროთე ჩხაიძე** და სხვა ჩემთვის უცნობი ამხანაგები. კრება გაიხსნა ზღვის ნაპირზე ნაშუადღევის 2 საათზე; ამ კრებაზე გურიის კომიტეტის წევრად არჩეულ იქნენ: **მ. მკურნალი, პ. ცინცაძე, ს. ჭანიშვილი, ალ. მგელაძე** და **მე.** კრებამ მოგვცა დირექტივები და დარიგებანი მუშაობის შესახებ. დავარიგეთ 13 ამხანაგის პლატფორმა და წინადადება მოგვცა გაგვეცნო ეს პლატფორმა პარტიული ამხანაგებისათვის, და აგრეთვე შეგვეგროვებია ხელმოწერები მე-15 პარტყრილობისათვის. მე დამავალეს სუფსის რაიონში მუშაობა. მე ვაწარმოებდი ჯგუფურ და ინდივიდუალურ მუშაობას: ამ მუშაობამ მომცა საშუალება ნათლად შემეგნო, რომ ამ მუშაობას მე მივყევარ პარტიის შექმნისაკენ ლენინის პარტიაში; შემდეგ პ. ცინცაძის ბროშიურამ დამარწმუნა, რომ ოპოზიცია ჩამოშორდა ლენინურ პარტიას. მე ისე გამიტაცა არალეგალური ლიტერატურის კითხვამ, რომ სრულიად არ ვკითხულობდი პარტიის უმრავლესობის დადგენილებებს, რამაც მიმიყვანა ფრაქციულ მუშაობამდე. ყოველივე ამ გულახდილი აღიარების შემდეგ სამაზრო კომიტეტის წინაშე ვაცხადებ, რომ მე დღეიდან ვსწყვეტ ყოველგვარ კავშირს ოპოზიციასთან, რომელიც არაფრად აფასებს იმ მიღწევებს და გამარჯვებებს, რომელმაც მსხვერპლად შეიწირა ლენინური პარტიის წევრები—საუკეთესო მებრძოლი ამხანაგები. ვტოვებ ოპოზიციას, რომელიც დემაგოგიურ ფრაზებით სცდილობს გამოიწვიოს დაშლა ლენინური პარტიის რკინის რიგებში. ვგმობ რა ტროცკისტული ოპოზიციის პლატფორმას, მოუწოდებ ყველა ამხანაგებს გულდასმით გადაიკითხონ პარტიის ყველა დადგენილებანი, რის შემდეგაც მათთვის ყველაფერი ნათელი გახდება. მე კი მთელი ჩემი ძალღონით ვიბრძოლებ პარტიის მთლიანობისათვის ყოველგვარი ფრაქციული მუშაობისა და პარტიაში შექმნილი ჯგუფების წინააღმდეგ.

ოპოზიციის ყველა დოკუმენტები, რომელნიც მე მქონდა, ამის შემდეგ გადავიდა სამაზრო კომიტეტის განკარგულებაში.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!
გაუმარჯოს ლენინურ ცეკას!

შ. ჯიჯიეშვილი.

მესამე რაიონის აქტივის კრება

მე-3 რაიკომის შენობაში, გუშინ, 4 ნოემბერს იყო მოწვეული რაიონული პარტაქტივის კრება, რომელსაც დაესწრო 300 კაცზე მეტი.

დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: საკავშ. კომპარტიის ცეკას პლენუმის შედეგების და ხუთი წლის სამეურნეო გეგმის განხილვა. მოხსენება გააკეთა ამხ. ნაზარეტიანმა, რომელიც ვრცლად შეეხო პლენუმის მუშაობას, მოიყვანა ციფრები ჩვენი მრეწველობის წინსვლის შესახებ და ბოლოს გააცნო კრებას ცეკას მიერ გამოქვეყნებული თეზისები. კრებამ დიდის ყურადღებით მოისმინა ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება.

კამათში ჩაეწერა 30 ამხანაგი. კრებას დაესწრენ სხვა რაიონებიდან მოსული ოპოზიციონერებიც.

კამათში გამოვიდა სულ 14 ორატორი, მათ შორის 4 ოპოზიციონერი.

დაზგის მუშა ამხანაგები **ხაჩატუროვი, ხოდკოვი, გრიგორიანი, კუპატაძე, პაპახჩიანი** და **ალიხანოვი** აღნიშნავდენ, რომ დღევანდელ დღეს, როდესაც ჩვენს წინაშე სდგანან ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა არის ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლად მუშაობა და ომის საფრთხის საკითხი, ოპოზიცია დახმარების მაგივრად, ხელს გვიშლის და არც ერთ პრაქტიკულ ღონისძიებაზე არ მიგვითითებს, რომ გამოვასწოროთ არსებული ნაკლულოვანებანი და ხელი შევუწყოთ ცეკას მუშაობას.

ხაჩატუროვმა განაცხადა, რომ ჩვენ მივდივართ წინ, ვაშენებთ ახალ-ახალ ფაბრიკა-ქარხნებს და მუშების მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებაო. გაკვირვებით კითხულობს ამხ. გრიგორიანი: როგორ მოხდა, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ როდესაც მუშათა კლასმა გადასწყვიტა კიდევ უფრო მჭიდროთ შეკავშირება, გამოდიან ოპოზიციონერები და ანგრევენ ამ მტკიცე ოჯახს.

აქტივს უკვირდა, რომ არც ერთი ოპოზიციონერი მათ შორის იასონ ჯორბენაძე, რომლის სიტყვა კრებას აინტერესებდა არ შეეხო პრაქტიკულ საკითხებს ჩვენი აღმშენებლობისას და დაიწყო ჩვეულებრივი ცილის წამება პარტიის წინააღმდეგ.

ამხ. ავაქოვმა ციფრებით ხელში გააკრიტიკა ოპოზიციის უსაფუძვლო მტკიცება, თითქოს ინდუსტრიალიზაცია მიმდინარეობდეს ნელიტემპით და გამოაშკარავა მათი იდეური სიკოტრე სამეურნეო საკითხებისადმი.

ამხ. **ლადო სუხიშვილმა,** თბილისის კომიტეტის ახალმა მდივანმა, რომელსაც კრება ოვაციებით და ტაშის ცემით შეხვდა, შესაფერი პასუხი გასცა ოპოზიციონერებს. ამხ. **ვანო სტურუა** და **სატურ ტერ-ვართანოვი** შეეხენ ოპოზიციის მოქმედებას და დასძინეს, რომ მუშები მათ არ აჰყვებიან.

მოკლე საბოლოო სიტყვაში ამხ. ნაზარეტიანმა გასცა პასუხი ორატორებს და გამოსთქვა იმედი, რომ პარტია მწყობრი რიგებით წავა მე-15 პარტყრილობაზე.

დასასრულ კრებამ მიიღო ერთხმად რეზოლიუცია ოპოზიციის მუშაობის წინააღმდეგ, რეზოლიუციას წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ ერთმა.

რეზოლიუციები ცეკას თეზისების გამო

გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული

თბილისის დეპოს საორთქლმავლო ბრიგადების უჯრედი სავსებით და მთლიანად იწონებს სახალხო მეურნეობის გეგმისათვის დასახულ თეზისებს.

უჯრედს სწორად მიაჩნია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის უკანასკნელი გაერთიანებული პლენუმის მიერ დასახული გეზი, რასაც მოწმობს სოციალიზმის წარმატებით შენება ამჟამად ჩვენს ქვეყანაში.

უჯრედი ამავე დროს აღნიშნავს, რომ ოპოზიციის გამოსვლის გამო ადგილი აქვს ერთგვარ შეფერხებას სახალხო მეურნეობის განვითარებაში, და პარტყრილობას სთხოვს ფრაქციონერ გამთიშველების წინააღმდეგ მიიღოს გადამჭრელი ზომები, თვით პარტიიდან გამორიცხვამდე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი სახალხო მეურნეობის ნორმალური წინსვლა და განვითარება.

ახალი გამარჯვებისაკენ

მთავარი სახელოსნოების საქონლის ცეხის კომუჯრედის საერთო კრებამ დაამუშავა სადირექტივო თეზისები სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის, რომლებიც მიიღო საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ოქტომბრის პლენუმმა. კრება სავსებით სწორად სთვლის ამ თეზისებს. კრება კატეგორიულად უარჰყოფს ოპოზიციის შეხედულებებს სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ რამდენადაც ეს შეხედულებები იხრებიან მენშევიზმისაკენ.

კრება დარწმუნებულია, რომ პარტიისა და მისი ლენინის ცეკას ნაცადი ხელმძღვანელობით მუშათა კლასი ახალ გამარჯვებებს მოიპოვებს სოციალისტური მშენებლობის გზაზე და მიუხედავად ოპოზიციის უიმედობისა, ააშენებს სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში.

განვახორციელებთ ხუთწლიან გეგმას

მთავარი სახელოსნოების და ლითონის ჩამომსხმელთა ცეხის უჯრედების გაერთიანებული კრება სავსებით და მთლიანად იწონებს პარტიის სამეურნეო გეგმას, კატეგორიულად გმობს ოპოზიციის ეკონომიურ წინადადებებს, რომელთაც არაფერი არ აქვთ საერთო ლენინიზმთან.

კრება გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ხუთწლიანი გეგმის განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მშრომელი მასების კეთილდღეობას და განამტკიცებს სოციალიზმის პოზიციებს.

პარტგანათლება 1927—28 წელს

გასული სამოსწავლო წლის განმავლობაში მთელ საქართველოს პარტგანათლების ქსელში ჩაბმული იყო 14 ათასზე მეტი პარტიული, კომკავშირელი და უპარტიო. მიუხედავად ამ დიდი რიცხვისა, პარტიულ განათლებას მაინც აკლდა დიდი ნაკლი პარტგანათლების ქსელს აკლდა გეგმიანობა, სუსტი იყო ხელმძღვანელობა პარტორგანოების მიერ და მეცადინეობის იდეური შინაარსი, მისი თვისება დაბალი. ჩვენი ძირითადი ქსელის პოლიტცოდნის სკოლების მრავალი ორგანიზაციული საკითხი უკანასკნელ წლამდე გადაუჭრელი იყო. ამიტომ პარტიული განათლების მთელ სისტემას, მის ყოველ საკითხს გადასინჯვა-გადათვალიერება დასჭირდა. ც. კ. საგ. საპროპ. განყოფილებამ შეისწავლა 1926—27 წ. მუშაობის პრაქტიკა, გაარკვია სოფლის პოლიტცოდნის სკოლების ორგანიზაციული მშენებლობის პრინციპები და პროგრამული მეთოდიური საკითხები, გამოიმუშავა პროგრამები, მოაწყო მოძრავ და სტაციონალურ სკოლების ხელმძღვანელთა გადასამზადებელი კურსები და შეიტანა გეგმიანობა პარტგანათლების სისტემაში.

ამას გარდა საკავშირო ცეკას დადგენილების თანახმად თვით პარტგანათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ პარტგანათლებაში ნებაყოფლობითი ელემენტი მეტად შეიჭრა. აქამდე პირველდაწყებითი პოლიტსკოლების გავლა სავალდებულო იყო ყველა პარტ. და კანდიდატებისათვის. სავალდებულო იყო ქალაქის შემოკლებული და ნორმალური პოლიტცოდნის სკოლების კურსის გავლა. სოფლად—მოძრავის და სტაციონარულის. ახალი დადგენილებით. ქალაქის ნორმალური სკოლას ჩამოეცალა ვალდებულობა.

სავალდებულო ქსელში დარჩა ქალაქის შემოკლებული და სოფლის სტაციონარული და მოძრავი სკოლები. მაგრამ აქაც ვალდებულობა არ უნდა იქნას გაგებული ფორმალურად. ის კანდიდატები და პარტიულები, რომლების პოლიტიკური მომზადება აღემატება პირველდაწყებითი პოლიტცოდნის სკოლების პროგრამებს, თავისუფლდებიან ამ სკოლებისაგან. ეს იმიტომ, რომ მათთვის ამ სკოლებში მეცადინეობა ტყვილა დროის დაკარგვა იქნება. ასეთ ამხანაგებისაგან ნებაყოფლობით იქმნება ნორმალური სკოლა, საღამოს პარტსკოლა და თვითგანვითარების წრეები, სადაც ისინი უნდა სწავლობდენ და თავიანთ საზოგადო თეორიტიულ და პოლიტიკურ ცოდნას უნდა ამაღლებდენ. სავალდებულო ქსელიდან შეიძლება განთავისუფლდენ ისინიც, რომლებიც პოლიტიკურ ცოდნას იძენენ საზოგადო განათლების სკოლებში და თვითგანვითარების გზით—პარტიის ხელმძღვანელობით. სრულიად წერა-კითხვის უცოდინარნი პოლიტცოდნის სკოლებში არ მიიღებიან (ნაც. უმცირესობის და ქალთა გამოკლებით) და ისინი იგზავნებიან წ. კ. სალიკვიდაციო სკოლებში.

სავალდებულო პარტგანათლების სასკოლო ქსელის პარალელურად ფართოდ უნდა განვითარდეს პოლიტთვითგანვითარების მუშაობა, რომელსაც ჩვენში ჯერ ძლიერ ნაკლები ყურადღება ექცევა. ნებაყოფლობითი პარტსწავლის მეტი ნაყოფი მოაქვს და ნაკლები ხარჯები სჭირდება. ამიტომ ჩვენი სასკოლო ქსელი ახლო წლებში თანდათანობით შემცირდება და მის ადგილს დაიჭერს ნებაყოფლობითი პარტგანათლების სისტემა. 1927—28 წ. პარტგანათლების ქსელი ასეთია:

ქალაქად

1) შემოკლებული სკოლები.
2) ნორმალური სკოლები (მსურველთათვის).
3) ლენინიზმის წრეები (ხელმძღვანელ აქტივისათვის).
4) თვითგანვითარების წრეები.
5- მიმდინარე პოლიტიკის წრეები, უმთავრესად გაზეთის კითხვის წრეები.

სოფლად

1) კურსი—ყრილობანი—იმ კომუნისტებისათვის, რომლებიც ძლიერ დაფანტული არიან სოფლად.
2) სოფლის მოძრავი პოლიტცოდნის სკოლა —ფასიანი პროპაგანდისტით. ,
3) სტაციონარული სკოლა—ადგილობრივი პროპაგანდისტით.
4. თვითგანვითარების წრეები.
5) მიმდინარე პოლიტიკის წრეები უმთავრესად გაზეთის კითხვის წრეები. „

უწინდელი პარტგანათლების სისტემა ერთფეროვანი იყო, რაც ვერ აკმაყოფილებს პარტიულ მასის თანამედროვე მოთხოვნილებას. ამ წლის სისტემა კი გულისხმობს პარტგანათლების მრავალ ფორმის შემოღებას და ეს იმიტომ, რომ პარტიულებმა თავისუფლად ამოირჩიონ ის ფორმა, რომელიც უკეთესად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებას, ინტერესებს და უფრო შეეფერება მათი მუშაობის პირობებს. ნებაყოფლობითი ელემენტის გაძლიერება არ ნიშნავს იმას, რომ პარტიის წევრებმა თავი გაანებონ თავიანთი თეორეტიულ და პოლიტიკურ კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას. პირიქით, ის პირობები, რომლებშიაც უხდება მუშაობა პარტიას, უყენებს მას და მის წევრებს დიდ მოთხოვნილებებს საზოგადო თეორეტიულ და პოლიტიკურ განვითარების დარგში.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებმა მეტად უნდა ადევნონ თვალყური პარტგანათლ. ქსელს, გაუწიონ მას მეთოდიურ-იდეური ხელმძღვანელობა, გააუმჯობესონ სკოლის მსმენელთა შემადგენლობა პარ. მეტი რიცხვის ჩაბმით, გააუმჯობესონ მეცადინეობის მეთოდებიც და გამოიყენონ ლექტორები და მსმენელები პოლიტიკურ საზოგადოებრივ მუშაობის გამოსაცხოველებლად.

დ. ორაგველიძე.

ახალმა ბიურომ უნდა გამოასწოროს

(ლია, ზუგდიდის მაზრა)

ლიის კომუჯრედის ბიუროს გადარჩევა უკვე ჩატარდა. გამოირკვა ბიუროს მიღწევები და ნაკლი. ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა არ სდგას სათანადო სიმაღლეზე, ღარიბთა კრებები სულ არ მოუწვევიათ ამ საანგარიშო პერიოდში და ბიუროს არც აქვს ღარიბ გლეხთა სია. ბიუროს ხელმძღვანელობა მოისუსტებს თავისუფალ ორგანიზაციებში, როგორიცაა არის ავიახიმის, რემდასის, წერკუმსის და წითელი ჯვარის ორგანიზაციები, რის გამო მათი მუშაობა მოიკოჭლებს. ადგილობრივ დაწესებულებების წარმომადგენელთა მიერ მოხსენებები არ გაკეთებულა უჯრედის გაერთიანებულ კრებებზე. თემში არსებულ ორგანიზაცებზე მიმაგრებულ ამხანაგებისათვის ანგარიში არ მოუთხოვნია ბიუროს, სამაზრო კომიტეტის მიერ გადმოგზავნილი ცირკულიარები განუხილავი ყრია შკაფებში.

ქოხ-სამკითხველოსთან არსებულ კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის უჯრედი არ უწევდა ხელმძღვანელობას. „კამპანიების" ჩატარების დროს უჯრედის ხელმძღვანელობა სუსტია.

მიუხედავად ზემოდ ჩამოთვლილ ნაკლისა უჯრედს მაინც აქვს მიღწევები: კარგია ხელმძღვანელობა კომკავშირზე და ნორჩ პიონერთა კოლექტივებზე. ქალთა შორის მუშაობაც სათანადო სიმაღლეზე სდგას ხშირად იმართებოდა დელეგატ ქალების და არა დელეგატ ქალების კრებები. იმართებოდა ექსკურსიებიც. მათ შორის ვრცელდება ჟურნალ-გაზეთები. ბიუროს მიერ გავრცელებულია პარტიის წევრთა შორის და უპარტიო გლეხობაში „ახალი სოფელი" და „კომუნისტი".

საჭიროა ახლად არჩეულ ბიურომ ყურადღება მიაქციოს ყველა ჩამოთვლილ ნაკლულოვანებებს, რათა მომავალში მათ არ ექნეს ადგილი.

შ. ჭანტურია.

წარსული და მომავალი მუშაობა

(სართიჭალა)

ამას წინად სართიჭალაში შესდგა თემის პარტკონფერენცია, რომელსაც დაესწრო პარტ-წევრების და კანდიდატების 95 პროცენტი. კონფერენციაზე მოსმენილ იქნა თემის პარტკომის მდივნის—ამხ. გოშაძის მოხსენება, რომელმაც აღნიშნა, რომ თემის პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ სდგას ლენინურ პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე და მასში არ ჰქონია ადგილი ოპოზიციონურ გამოსვლას. საანგარიშო ხნის განმავლობაში ორგანიზაციის ზრდა ნორმალურად მიმდინარეობდა. თემის ფარგლებში შემავალი უჯრედები შესაფერის მუშაობას აწარმოებდენ, დახურულ კრებებთან ერთად, ხშირად იწვევდნენ ღია კრებებსაც, რომლებზედაც ესწრებოდა უპარტიო მასა და შუქდებოდა სოფლის საჭირბოროტო საკითხები. უჯრედებმა ავტორიტეტი მოიპოვეს უპარტიო გლეხობაში.

საკანდიდატო ჯგუფების მუშაობა ზაფხულის პერიოდში მოისუსტებდა, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ გლეხობა ამ დროს ჩაბმული იყო სამეურნეო მუშაობაში. უღარიბეს გლეხთა ჯგუფებს თემკომი შესაფერის ხელმძღვანელობას უწევს, რისთვისაც ეს ჯგუფები მჭიდროთ არიან დაკავშირებული პარტიასთან. ამასთანავე თემკომის ხელმძღვანელობა თემ-საბჭოზე დამაკმაყოფილებელია.

თემში არსებობს „რემდას-"ის, „ავიაქიმის", „წითელი ჯვრის" და სხვ. საზოგადოებები; „რემდასის" ორგანიზაცია ძლიერია და მისი მუშაობა თავის მოწოდების სიმაღლეზე სდგას, მიუხედავათ იმისა, რომ ავიაქიმის საზოგადოება ახლადაა თემში ჩამოყალიბებული, მაინც ემჩნევა მას მუშაობაში საგრძნობი წინსვლა, „წითელი ჯვრის" საზოგადოების მუშაობა წარსულში მოისუსტებდა, ხოლო უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაუმჯობესდა. სახ. დაზღვევის, კოოპერაციის და საკრედიტო ამხანაგობის მუშაობა თემში სათანადო სიმაღლეზე სდგას, თემკომი ხელს უწყობდა ადგილობრივ კოოპერაციას საქონელზე ფასების დაკლების კამპანიაში. კოოპერაციის გამგეობაში გაყვანილი არიან წევრებად ზოგიერთი ხმა - ჩამორთმეული პირები, თემკომს არ მიუქცევია სათანადო ყურადღება ამ გარემოებისათვის.

კომუჯრედებს გამოყოფილი ჰყავთ აქტიური პარტამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ კომკავშირის უჯრედებს მუშაობის გაფართოების მიზნით. კომკავშირელების საკმაო რიცხვი ჩაბმულია კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში. კომკ. ორგანიზაცია მხურვალე მონაწილეობას ღებულობს მოსახლეობის გასამხედროების საქმეში, ამასთანავე ქვრივ-ობლებს დახმარებას უწევენ ფიზიკური შრომით. მოჯამაგირეთა 80 პროცენტი ირიცხება წევრად კომკ. ორგანიზაციაში, ხოლო შენიშნულია, რომ მოჯამაგირეთა კრებებზე დღის წესრიგში ისმება ისეთი საკითხები, რომლებიც სრულებით არ აინტერესებთ მათ. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როგორც პარტ-წევრებში, ისე კომკავშირშიც ადგილი აქვს ზოგიერთი წევრების მიერ დისციპლინის დარღვევას. ჩვენ ორგანიზაციაში ამასთანავე სუსტად სდგას პოლიტ-ცოდნის საკითხი, მიღებულია შესაფერი ზომები პოლიტ-სკოლების გასახსნელად. ქალთა შორის მუშაობის შესახებ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თემში გამოყოფილია ქალთა ორგანიზატორი მაგრამ მიუხედავად ამისა თემკომის ხელმძღვანელობა აქაც სჩანს. პიონერთა ორგანიზაციის მუშაობა თემში ნაწილობრივ მოისუსტებს, შესაფერი ხელმძღვანელობის უქონლობის გამო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უპარტიო ინტელიგენციის საკმაო რიცხვი არ არის ჩაბმული თემის კულტურულ განმანათლებელ საქმიანობაში.

კონფერენციამ თემკომის მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად და მომავალში მუშაობის უფრო გაცხოველების მიზნით და სხვა მრავალი პრაქტიკული მითითებანი. დასასრულ კონფერენციის მიერ არჩეულ იქნა თემკომის ახალი შემადგენლობა და დელეგატები თბილისის პარტკონფერენციაზე დასასწრებლად.

შ. ფარე-კახელი.

ბიურო კარგად მუშაობს

(ქუთაისი)

ამას წინად შესდგა ქუთაისის მაზრ-ალმასკომის კომუჯრედის კრება. განსახილველი იყო საკითხი, ბიუროს მუშაობის შესახებ. კომუჯრედის მდივნის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 4 თვის განმავლობაში უჯრედს ბევრი მიღწევები აქვს. მაგალითად, ბავშვთა პიონერ კოლექტივის შექმნა და მაზე სათანადო ხელმძღვანელობა, კედლის გაზეთის გამოცემის მოგვარება, სხვადასხვა კომისიების ჩამოყალიბება და მათზე ხელმძღვანელობის გაწევა, მომჭირნეობასა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის წარმოება და უჯრედის წევრთა პოლიტიკურათ განვითარებაზე ზრუნვა.

ჩვენი უჯრედი აერთიანებს პარტიის 44 წევრს და 42 კანდიდატს.

ბიუროს მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად. არჩეულ იქნა ახალი ბიურო 7 წევრისაგან. კრებამ დაამტკიცა აგრეთვე პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალ მუშაობისათვის.

ბიუროს დაევალა სასტიკი ბრძოლის აწარმოოს პარტიის გამთიშველ ოპოზიციონერების მიმართ.

ც. თალაკვაძე.

რა გაკეთდა და რა უნდა გავაკეთოთ

(კიწიის თემი, სენ. მ.)

თემის კომიტეტი აერთიანებს სამ კომუჯრედს, 40-დე წევრ-კანდიდატით. ორგანიზაციის შემადგენლობა გლეხურია. თემკომის ხელმძღვანელობს ფასიანი მომუშავე, რომელიც აწარმოებს მუშაობას სამკომის დირექტივების მიხედვით.

თემკომის სხდომები ხდება არა ნაკლები ერთისა კვირაში, თემის გაერთიანებული ორგანიზაციის სხდომა ხდება თვეში ერთხელ. ადგილებზე უჯრედების სხდომები იმართება სისტემატიურად თვეში ორჯერ. უჯრედის სხდომებზე ისმება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებიც, როგორიცაა: შარა-გზების შეკეთება, სკოლის შენობების შეკეთება და სხვა. საკითხების გარჩევაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ უჯრედის წევრები.

უჯრედის წევრებში მაინც გადახრებს ადგილი არა აქვს (მაგ. სამთვრალე, უდისციპლინობა, ფრაქციული მუშაობა და სხვა).

თემ-საბჭოში ირიცხება 15-დე წევრი და კანდიდატები.

საბჭოს, კოოპერაციას და გლეხკომს თემის კომიტეტი ხელმძღვანელობს კომფრაქციების საშუალებით.

ა.ლ.კ.კ. ხელმძღვანელობა სათანადო სიმაღლეზე სდგას. პარტიასა და კომკავშირის უჯრედებს შორის წარმომადგენლობა სისტემატიურია. პარტბირთვი კომკავშირში საკმაოა, რაც არის კომკავშირზე სწორი ხელმძღვანელობის შედეგი.

ამ ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად თემკომის საქმიანობას ახლავს შემდეგი დეფექტები: დღემდე სათანადო ყურადღება არ ყოფილა მიქცეული ქალთა შორის მუშაობაზე, დელეგატქალთა ორგანიზაცია არსებობს ფორმალურად.

პოლიტ-განათლების დარგში მუშაობა ძალიან სუსტია, ამხანაგები არ არიან გაცნობილი მიმდინარე საკითხებს საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. უჯრედების მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ უჯრედის ბიუროები არ აწყობენ ღია კრებებს.

რომ გამოსწორებული იქნეს ყველა ეს დეფექტები საჭიროა თემკომმა მიიღოს ზომები. თემში გახსნილი უნდა იქნეს პოლიტსკოლა, რომ პოლიტ-უცოდინარობას პარტიის წევრებში ბოლო მოეღოს. საჭიროა თემკომმა სამკომის დირექტივების მიხედვით აწარმოოს უპარტიო აქტივს შორის მუშაობა, ღია კრებების მოწყობით, უჯრედებში საჭირბოროტო დროული საკითხების გარჩევით.

მომუშავე.

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავისათვის

პროფკავშ. მონაწილეობა დღესასწაულში

პროფესიონალური კავშირების მონაწილეობა ოქტომბრის დღესასწაულში გამოიხატება შემდეგში:

6 ნოემბერს

1. **პროფკავშირებისა და წითელი არმიის შეერთებული სასულე ორკესტრების გამოსვლა.** ყველა სასულე ორკესტრები თავისი ხელმძღვანელებით და სრული შემადგენლობით უნდა შეიკრიბონ დილის ათ საათზე მთავრობის სასახლის წინ, სადაც ისინი შეასრულებენ შესწავლილ პიესებს. ეს გამოსვლა გაგრძელდება დღის 2 საათ.

2. **მომღერალთა შეერთებული გუნდის გამოსვლა.** ყველა გუნდები. თავისი ხელმძღვანელებით და სრული შემადგენლობით უნდა შეიკრიბონ დილის ათ საათზე სახელმწ. საოპერო თეატრის წინ, რომლის აივანზედაც ისინი შეასრულებენ ოქტომბრის სარევოლიუციო რეპერტუარს.

3. **შეერთებული სიმებიანი ორკესტრის გამოსვლა.** ყველა სიმებიანი ორკესტრები თავისი ხელმძღვანელებით და სრული შემადგენლობით უნდა შეიკრიბონ დილის ათ საათზე რუსთაველის აკადემიური თეატრის წინ, რომლის აივანზედაც ისინი შეასრულებენ ოქტომბრის სარევოლიუციო რეპერტუარს.

4. **რადიო.-სტუდიის გამოსვლა.** საღამოს 6-დან 10 საათამდე გამოვლენ შემდეგი წრეები,

ა) მეცხანშრომის კავშირის სიმებიანი ორკესტრი; ბ) რკინის გზელთა კავშირის სიმებიანი ორკესტრი; გ) ხიმიკოსთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის სასიმღერო გუნდი:

5. ლენინის სახ. სტად. გაიხსნება რესპუბლიკური შეჯიბრი მსუბუქ ძალოსნობაში:

6 იმავე დღეს ყველა წრეებმა და კარნ. მონაწილეებმა უნდა მოაწყონ ადგილებზე საკარნავალო მსვლელობის სანიმუშო რეპეტიციები.

წინასწარ და თავის დროზე უნდა იქნეს მომზადებული და მომარაგებული პარიკმახერები, პარიკები და გრიმი.

7 ნოემბერს

მიღებული უნდა იქნეს კოსტიუმები (ტანსაცმლები) ორდერებით. ორდერების მისაღებად წრეების ხელმძღვანელები უნდა გამოცხადდენ ს. პ. კ. ს: კულტგანყოფილებაში 5 ნოემბერს, დილის 11 საათზე:

კარნავალის ყველა მონაწილეები, გადაცმულნი და შესაფერი გრიმით უნდა შეიკრიბონ თავიანთ რაიონებში დილის 8 საათზე და დაიკავონ ადგილი რაიონულ ხელმძღვანელთა ჩვენების მიხედვით. წრეებს თან უნდა ახლდეს ხელმძღვანელები. წრეები ეწყობიან მიცემულ დავალებათა მიხედვით.

დღის 4 საათიდან რადიო სტუდიაში (მუშათა სასახლე, შესავალი ჯ. ორჯონიკიძის ქუჩიდან) გამოვლენ შემდეგი წრეები:

ა) რკინის გზელთა კავშირის სიმფონიური ორკესტრი.

ბ) რკინის გზელთა რუსული გუნდი.

გ) ტრამვაელთა ქართული გუნდი.

7 ნოემბერს, საღამოს მოეწყობა წრეების გამოსვლა მუშათა კლუბებში.

7 ნოემბერს, დილით 8 ნახ. საათზე ფიზკულტურის ყველა წრეები, სასროლო ტაქტიკური წრეები და [illegible] გუნდები უნდა შეიკრიბონ ლენინის სახელობის სტადიონზე ალლუმში მონაწილეობის მისაღებად.

დემონსტრაციის გეგმა არსრაიონში

6 ნოემბერს—ბავშვთა დღესასწაული

1. მოწაფეთ შეკრება ადგილებზე (სკოლებში) 8 ნახ. საათზე.
2. ყველა მოსწავლეთა შეკრება 6 ნოემბერს, დილის 10 საათზე, პლეხანოვის პროსპ.; პროცესიის წინა ნაწილი რაიკომის ახლოს.
3. დემონსტრაციაში მასიურ მონაწილეობას ღებულობენ მოსწავლენი მე-3-დან მე-7 ჯგუფამდე.
4. მარშრუტი—ყორესის ქუჩა არსენალის გორამდე.
5. თავმოყრა მუშ. კოოპისა და წითელი ჯვრის შენობასთან.
6. მსვლელობაში მონაწილეობას იღებენ კარნავალები.
7. ადგილებზე სხვადასხვა თამაშობანი, გამოსვლები და სხ.
8. დღესასწაულთ ჩატარდება ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდე.
9. პრაქტიკულ ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილია კომისია, რომელშიც შედიან შემდეგი ამხანაგები: **კრიშტანოვიჩი, სპირიდონოვი, ნასყიდაშვილი** და სამი სკოლის გამგე.

დემონსტრაცია 7 ნოემბერს

1. წარმოებათა, სკოლათა, დაწესებულებათა და საბჭოთა შეკრება ადგილებზე—დილის 8 საათზე.
2. შეკრების ადგილი. დილის 9 საათზე ყველანი ეწყობიან პლეხანოვის პროსპ. ორივე მხარეს, წინა ნაწილი უნდა იყოს რაიკომის ახლოს.
3. პოლიტ კარნავალი ეწყობა ქსენიევის ქუჩაზე.
4: წყობის წესი შემდეგია:
1) პიონერები—800 კაცი—მარცხენა ნაწილი აპოლოსთან
2) მოსწავლენი მერვე და მეცხრე ჯგუფების —მარცხენა ნაწილი კ. მარქსის მოედანთან.
3) ფიზკულტურელები
4) მუშები—მარჯვენა ნაწილი აპოლოსთან და კ. მარქსის მოედანთან.
ა) კომუნალურ მეურნეობის მუშები, ბ) მელითონენი, ვ) გემო-კვების, გ) ტრანსპორტზე მომუშავეთა, მეცხანშრომის, საბჭოთა-სავ. მუშაკების, შინა მრეწველ., შინა მრეწველ ხელოსანთა, მტვირთავები, მეტყავეთა, მეკურტნეები ტყავზე მომუშავენი.
5. მწკრივში ეწყობა 8 კაცი.
6. სამხედრო ნაწილები შეფობაზე აყვანილ წარმოებებთან. შეკრება დაწესებულებებში.

რაიონული კომისია.

საიუბილეო სამზადისი თბილისში

4 ნოემბრიდან თბილისში გაჩაღდა ოქტომბრის დღესასწაულებისათვის მოსამზადებელი მუშაობა. ყველა დიდი შენობების მოსართავად მოზიდულია ადგილებზე საჭირო მასალები და დაწყებულია მუშაობა.

მორთული იქნება კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შტაბის შენობა, სასახლე, თბილისის ალმასკომის შენობა, ს. მ. უ. ს: შენობა, მუშათა სასახლე, კომისარიატების შენობები და სხვა სადღესასწაულოთ შენობების მოსართავ სამზადისს შეუდგენ აგრეთვე ყველა სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციები და კერძო სახლების მეპატრონეები.

გარდა ამისა, დაწყებულია გამოფენების მოწყობა მუშათა სასახლის დიდ დარბაზში და სასტ. „ორიანტის" ქვედა სართულში გამოფენების მოსართავად მოწვეული არიან ცნობილი მხატვრები და რეჟისორები.

დღესასწაულების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული ქალაქში სინათლის ეფექტების მოწყობას. ამ მიზნით მოხდა თბილისში მყოფ ყველა ელექტრო-მონტიორების მობილიზაცია, რომელნიც იმუშავებენ მთავარი შენობების ელექტრო ქსელით მორთვაზე.

გამოფენა რევ. მუზეუმში

გულმოდგინეობით, საქმის ცოდნით და დაკვირვებით არის მოწყობილი საიუბილეო გამოფენა რევოლიუციის მუზეუმში. მუზეუმის გამგეობას არ დაუზოგავს შრომა, რომ რაც შეიძლება სავსე და ამომწურავი წარმოდგენა მიეცა მნახველისათვის ოქტომბრის რევოლიუციის და მის წინა პერიოდის შესახებ. გამოფენას უჭირავს მუზეუმის 5 ოთახი, რომელიც სავსეა მეთოდიურად დალაგებული ექსპონატებით, პლაკატებით. ჟურნალ - გაზეთებით ფოტოგრაფიებით და მხატვრული სურათებით. გამოფენაზე მოწყობილია ცალცალკე ვიტრინები, რომელნიც წარმოადგენენ რევოლიუციის ცალ-ცალკე, მომენტებს რუსეთის და საქართველოში. მაგ. მოწყობილია ვიტრინა—„ოქტომბრის წინ". ამ ექსპონატების სერიაში შედის ვიტრინა „ბოლშევიკების მიტინგი ალექსანდრეს ბაღში". „ბოლშევიკების საპირველმაისო დემონსტრაცია 1920 წელს თბილისში".

საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი ბოლშევიკური მოძრაობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ამ მოძრაობისადმი მიძღვნილია შემდეგი—ვიტრინები—„დუშეთის აჯანყება", „მენშევიკური დემოკრატიის" მიერ სამხრეთ ოსეთის დარბევა", „ბოლშევიკური აჯანყება აფხაზეთში". ვიტრინებს თან ახლავს ოფიციალური დოკუმენტები, რომელნიც უკომენტაროდ იძლევიან მენშევიკურ სამოთხის ნათელ დახასიათებას: მოყვანილია დიაგრამები, ციფრები, თუ რამდენი მუშა და გლეხი იმსხვერპლა მენშევიკების ბრძოლამ ბოლშევიკური საფრთხის წინააღმდეგ.

ვიტრინა „25 ოქტომბერი" გამოხატავს საზამთრო სასახლის აღებას პეტროგრადში. აქვე მოთავსებულია ვიტრინა „სახალხო კომისართა საბჭო" და „პეტროგრადის დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი".

მუზეუმის ერთი ოთახი მიძღვნილია საქართველოსათვის, სადაც მოთავსებულია მეტად მდიდარი. მასალა—საინტერესო დიაგრამების სახით. აქვე გამოფენილია ვიტრინა საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა", „საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობა". „საქართველოს პირველი რევკომი" და სხვა

ცალკე ოთახში არის გამოფენილი ყველა მხატვრული პლაკატები, რომელიც გამოცემულია საბჭოთა რუსეთისა და ამიერ-კავკასიაში 1917 წლიდან—1921 წლამდე.

ერთი ოთახი მიძღვნილია 26 კომუნარის ხსოვნისათვის. მრავალ სურათებს შორის, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენენ ბაქოს მუშების ბრძოლას 1917—18 წლებში, წარმოდგენილია მხატვარ ა. ლიუბიმოვის ცნობილი მხატვრული სურათი (ორიგინალი) „26 კომუნარის დახვრეტა", რომელიც მეტად ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ფოტოგრაფიულ სურათებს, დიაგრამებს და ოფიციალურ დოკუმენტებს გარდა წარმოდგენილია პლაკატი „ბოლშევიკური პრესა მენშევიკურ სამოთხეში", აქ გამოფენილია თითქმის ყველა ლეგალური და არალეგალური ბოლშევიკური ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც ათასგვარ დევნას და შევიწროვების მიუხედავად მაინც გამოდიოდენ „მენშევიკურ სამოთხეში".

საერთოდ მთელი გამოფენა იშვიათ შთაბეჭდილებას სტოვებს მეტად უხვი და კარგათ დალაგებულ ექსპონანტებით".

გამოფენა „საბჭოთა თბილისი"

ოქტომბრის დღესასწაულისათვის ემზადება თბილისის მუნიციპალური მუზეუმიც, რომელიც თავის შენობაში აწყობს გამოფენას— „საბჭოთა თბილისი", სადაც მოცემული იქნება მშენებლობის საერთო სურათი გასაბჭოების დღიდან, ვიდრე უკანასკნელ დრომდე. მუზეუმის დავალებით სურათები თანამედროვე თბილისის ცხოვრებიდან შეკვეთილი აქვთ (ზოგიერთი უკვე შესრულებულია) მხატვრებს: **ილ. ახვლედიანს, ირ. თოიძეს, ციმაკურიძეს, ზომერს, რიჟენკოს, გველესიანს** და **ფოგელს.**

გარდა ამისა მუზეუმის კედლებზე გაკრული იქნება წერილები თანამედროვე თბილისის შესახებ. წერილები შეკვეთილი აქვთ შემდეგ მწერლებს და ჟურნალისტებს: **ი. გრიშაშვილს, ყ. გაფრინდაშვილს, პ. იაშვილს, გალ. ტაბიძეს, ნ. ვერუბიცკის, ი. რიჟენკოს, პესიმისტს** და სხვ. გამოფენას ექნება ორი მთავარი განყოფილება: თბილისი სურათებსა და მოდელებში და თბილისი დიაგრამებსა და კარტოგრამებსა და ფოტოგრაფებში.

გრანდიოზული კარნავალი

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ხელმძღვანელობით სათეატრო-სამხატვრო წრეებმა დაამთავრეს მუშაობა 7 ნოემბრისათვის მასიური გრანდიოზული კარნავალის მოსაწყობად.

დამზადებულია მრავალი ესკიზები და მაკეტები, ფერადი პლაკატები ქართულ-რუსულ წარწერებით:

კარნავალისათვის მომზადებულია 20 მორ-ერთ მთლიან ერთეულად შეკავშირებული სანახაობა, რომელიც მოგვცემს თვალსაჩინო წარმოდგენას, თუ რა გზით მიდიოდა ოქტომბრის რევოლიუცია. კარნავალში მონაწილეობენ: წითელი არმია, პროფკავშირები, წარმოებები, სტუდენტები, პიონერები.

კარნავალის 2000-მდე მონაწილე იქნება სხვადასხვა ტანსაცმელში გამოწყობილი.

კარნავალისათვის მომზადებულია 20 მორთული ავტომობილი, რომლებზედაც გამოხატულია ოქტომბრის გადატრიალების, სამოქალაქო ომების და მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობის მთავარი ეტაპები.

კარნავალში მონაწილეობს 15 სასულე და სიმებიანი ორკესტრი, ეროვნული საკრავების მუსიკა, ჯაზ-ბანდი კარნავალის მსვლელობა დაიწყება რაიონების მიხედვით.

სტუდენტთა მონაწილეობა დღესასწაულში

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასრ. ბიურომ შეიმუშავა საიუბილეო დღესასწაულების ჩატარების გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებულია შემდეგი:

6 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათიდან სტუდენტობა თავს იყრის უნივერსიტეტის ეზოში, სადაც იმართება სიმღერა-თამაში და სხვა გასართობები. საღამოს 6 საათზე გაიხსნება საზეიმო გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნება მოხსენებები ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობაზე და საბჭოთა ხელისუფლების კულტურულ და ეკონომიურ მიღწევებზე. კრებაზე შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვლენ პროფესურის და სტუდენტობის წარმომადგენლები. ამავე დღეს დანიშნულია საუნივერსიტეტო კლუბის საზეიმო გახსნა და განათლების კომისარიატიდან უნივერსიტეტისათვის გადმოცემული დროშის საზეიმო ჩაბარება.

7 ნოემბერს დილით მთელი სტუდენტობა გამოდის დემონსტრაციაზე. ყველა სტუდენტები ტარდებიან რეგისტრაციაში შესაფერ პროფკომებთან, კომკავშირელი სტუდენტები—კომკავშირის ტექნიკურ მდივანთან და პარტიის წევრები—კომუჯრედის მდივანთან.

მთელი პროფესურა და უნივერსიტეტის მოსამსახურეები დგებიან სტუდენტებთან. ამავე დღეს მოხდება ღარიბ სტუდენტებისათვის საჩუქრის სახით—სახელმძღვანელოების დარიგება, რისთვისაც განათლების კომისარიატმა გადასდო 1.000 მანეთი.

საღამოს საუნივერსიტეტო კლუბში გაიმართება უფასო წარმოდგენა.

საბჭ. ხელისუფლების მიღწევათა გამოფენა

საბჭოთა ხელისუფლების მიღწევათა დიდ საიუბილეო გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი დაწესებულებები: ს. მ. უ. საბჭო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, განათლების კომისარიატი, სახელგამი, თბილისის ალმასკომი, ცენტრ. სტატ. სამმართველო, ჯანსახკომი, რუსთაველის თეატრი, ეროვნული გალლერეა, სამხატვრო აკადემია, ტურისტთა საზოგადოება, სას.-სამ. ბანკი და სხვ.

გამოფენის მომწყობი კომისიის დადგენილებით გამოფენა გაიმართება ორ ადგილას პროფკავშირთა შენობის დიდ დარბაზში და სასტ. „ორიანტის" ქვედა სართულში.

სახელგამში

საქ. სახელმწიფო გამომცემლობა დიდ საიუბილეო ლიტერატურას უშვებს ოქტომბრის ათი წლის თავისათვის. იბეჭდება და 7 ნოემბრისათვის გამოვა ლენინის შემდეგი წიგნები: „ოქტომბრის შეფასება", „ოქტომბერი", „ოქტომბრის ამოცანები" და „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალა-უფლებას", ი. სტალინის—„დიდი ოქტომბერი"; ფ. მახარაძის—„ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში" (რუსულ და ქართულ ენებზე); მ. ორახელაშვილის—„ამ.-კ. ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს"; ნ. ბუხარინის —„ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავი", ა რიკოვის—„საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობა" გარდა ამისა გამოვა სპეციალური ნომერები—„ქართული მწერლობის" „მნათობის", „პროლეტარული მწერლობის" „ახალგაზრდა ბოლშევიკის" და ქართულ-სომხურ-თურქული ყველა საბავშო ჟურნალებისა. ოქტომბრის საზეიმო დღისათვის გამოვა აგრეთვე ალმანახი „ოქტომბერი და ქართული პროლეტარული პოეზია". პროლეტარული ასოციაციის ერთდროული გაზეთი, სომხურ-თურქული ლექსების კრებული ოქტომბერზე. ა. ვართანაანის—პოემა „26 კომუნარზე" და სხვა.

სამხატვრო აკადემიაში

სამხატვრო აკადემიაში არსებულ სპეციალურ კომისიის მიერ შემუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვით 5 ნოემბერს აკადემიის მთელი შემადგენლობა ექსკურსიას აწყობს რევოლიუციის მუზეუმში. 6 ნოემბერს აკადემიაში შესდგება საზეიმო სხდომა. ოქტომბრის [illegible] რევოლიუციაზე მოხსენებით გამოვა [illegible] სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი. მოხსენებით გამოვა აკადემიის დეკანი. შვიდ ნოემბერს გამართულ კარნავალში აკადემია გამოვა ცალკე ჯგუფად. 7 ნოემბერს საღამოს გაიხსნება აკადემიის მსმენელთა ნამუშევრების გამოფენა.

სახკინმრეწვში

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულისათვის საქ. კინო მრეწველობა უშვებს ქრონოლოგიურ-პათეტიურ სურათს „თბილისო ნაბიჯით"! და „ალგენისაკენ". აღნიშნულ სურათების გასაღებად სპეც. ექსპედიციები იყო გაგზავნილი საქართველოს ყველა წარმოებებში. სურათში მოცემულია მთელი ის მიღწევა-წარმატებანი, რომელიც საბჭოთა საქართველოს აქვს სოციალისტურ აღმშენებლობის ფრონტებზე. ეს კინო-სურათები ერთდროულად [illegible] იქნება საქართველოს 10 საუკეთესო კინო-თეატრებში, 7 ნოემბერს, ოქტომბრის ზეიმის დღეს.

კინო უფასოდ

ოქტომბრის 10 წლის თავის ზეიმის დღეებში 7 და 8 ნოემბერს თბილისის ყველა კინო-თეატრებში სურათები ნაჩვენები იქნება უფასოდ. თეატრებში შესვლა შეიძლება სპეციალური ბილეთებით,რომელთაც მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიღებენ საქ. პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებაში.

მოსავლის დღესასწაული ოქტომბრის 10 წლის თავზე

წელს მოსავლის დღესასწაული შეთავსებულია ოქტომბრის 10 წლის თავის ზეიმთან .

ოქტომბრის 10 წლის თავის აღსანიშნავად, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე—სათანადო რაიონებში მოეწყობა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების გამოფენები.

გამოფენებზე საუკეთესო გლეხურ მეურნეობას და კოლექტიურ მეურნეობათ დაურიგდება პრემიები.

დიდი და ძირითადი გამართება შემდეგ ადგილებში; სიღნაღში, სენაკში, ზუგდიდში ,ერწოში, თიანეთში და ახალქალაქში.

თბილისში მოეწყობა გლეხთა ექსკურსიები ორთაჭალის სახ. მამულის მეურნეობათ დასათვალიერებლად. ასეთივე ექსკურსიები ჩატარდება დანარჩენ საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებებში—(მეაბრეშუმეობის სადგურზე, ცხენთა საქარხნოში და სხვ.).

წითელ ჯარში

სამზადისი ოქტომბრის 10 წლის თავისათვის წითელი ჯარის რიგებში დაიწყო ამ სამი თვის წინად. მოსამზადებელი პერიოდის მიზანი იყო წითელარმიელთა მასის გაცნობა იმ დიდ მუშაობასთან, რომელიც იქნა ჩატარებული კომუნისტურ პარტიის და მუშა-გლეხთა მიერ ძალაუფლების დაპყრობისათვის. აგრეთვე წითელ არმიელთა მასა გაეცნო საბჭოთა კავშირის მიღწევებს ათი წლის განმავლობაში. კლუბებში და ლენკუთხეებში სისტემატიურად ტარდებოდა საუბრები ოქტომბრის ირგვლივ; საერთო კრებებზე კეთდებოდა მოხსენებები იმ თემებზე, რომელნიც დაკავშირებული არიან ოქტომბერთან.

ამ მუშაობის გარდა წითელარმიელები თავისი ინიციატივით ამუშავებდენ ჯგუფებში ოქტომბრის რევოლიუციის ცალკე მომენტებს. ამით მიღწეულ იქნა ის, რომ დღეს მთელი წითელარმიელთა მასა ნათლად არის გარკვეული ოქტომბრის რევოლიუციაში.

ყველა ნაწილში შემუშავებულია ზეიმის ჩატარების გეგმა. ყაზარმები მორთული იქნება საზეიმოთ. ნაწილებში მოწვეულ იქნება საზეიმო სხდომები ერთად. საშეფო სოფლებში გაიგზავნებიან დელეგაციები ზეიმზე დასასწრებლად. წითელარმიელები იღებენ მონაწილეობას დემონსტრაციებში.

ყოველ ნაწილში მოეწყობა გამოფენა. სადაც ნაჩვენები იქნება წითელარმიის მიღწევები ათი წლის განმავლობაში.

სამზადისი თბ. მაზრაში

თბილისის პოლიტ-განის მიერ გამომუშავებული გეგმის თანახმად მაზრის ყველა ქოხ-სამკითხველოებთან სდგება განსაკუთრებული სადღესასწაულო კომისიები ქოხ-სამკითხველოსგამგის, პარტორგანიზაციის, თემ-ალმასკომის და აქტიურ გლეხობის წარმომადგენელთა შემადგენლობით. ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან მაზრის ყველა ქოხ-სამკითხველოებსა და წითელ კუთხეებში იმართება მოხსენება-საუბრები საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებზე. ეწყობა მხატვრული საღამოები ლიტერატურული, დრამატიული და მუსიკალური წრეების მონაწილეობით. ყველა ქოხ-სამკითხველოებთან გამოდის სპეციალური ნომერი კედ-გაზეთისა, რომელშიაც მოთავსდება წერილები ადგილობრივ თემის აღმშენებლობაზე ოქტომბრის ათი წლის თავისათვის. ქოხ-სამკითხველოებთან ეწყობა გამოფენები: წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, რომლებიც—კი ეხება ოქტომბრის რევოლიუციას და საბჭოთა აღმშენებლობას. ეწყობა კონკურსები კედლის გაზეთში საუკეთესო წერილის და ლექსების მოთავსებაზე. სდგება ალბომები საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებზე. იმართება ექსკურსიები მახლობელ თემებში. იხსნება ახალი რადიო-სადგურები სოფ. პატარძეულში, გომბორში, ყარაიაზში, კუმისში და სვიმონიანთ ხევში. მაზრაში გაიხსნება ხუთი ახალი ქოხ-სამკითხველო. დღესასწაულს უკავშირდება სალიკვიდაციო სკოლების გახსნა და ჩამოყალიბება სხვადასხვა წრეებისა. მაზრის ათ პუნქტში; საგარეჯოში, მცხეთაში, თიანეთში თელავში, სვიმონიანთ ხევში, მარტყოფში, პატარძეულში, ახბულაში, ყარაიაზში და დილომში—გაიხსნება გამოფენები: „ისტორია საკავშირო კომ-პარტიისა პლაკატებში". მაზრის ხუთ პუნქტში მოეწყობა გამოფენა ანტი-რელიგიურ ხასიათის მუზეუმის: „კულტურის ისტორია"—საგარეჯოში, ახბულაში, ყარაიაზში, სვიმონიანთ ხევში და დილომში.

ყველა ქოხ-სამკითხველოებს დაეგზავნათ: მეთოდიური სახელმძღვანელოები „ოქტომბრის 10 წლის თავი სოფლად", ხუთი კომპლექტი „კულტურის ისტორიის მუზეუმის", ათი კომპლექტი: „ისტორია ს. კ. პ. პლაკატებში", წითელი მატერიები, პლაკატები, დროშები, გირლიანდები, ტანსაცმელი ფიზ-წრეებისათვის და სხვ. მაზრის ერთ-ერთ თემს გაეგზავნება მოძრავი კინო.

ალ. ბედიაშვილი.

რით აღინიშნება 10 წლის თავი

ხის გადასამუშავებელი ქარხნის საძირკვლის ჩაყრა

7 ნოემბერს, თბილისის ალმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ინიციატივით მოხდება ხის გადასამუშავებელი დიდი ქარხნის საძირკვლის ჩაყრა.

ქარხნის საძირკვლის საზეიმო ჩაყრაზე, რომელიც მოხდება დიდუბეში, მოწვეული არიან მთავრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბზიბის სახერხი ქარხანა

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის საბჭომ შეატყობინა ს. მ. უ. ს., რომ 7 ნოემბერს მოხდება ბზიბის სახერხ ქარხნის სამუშაოთა დაწყება. ზეიმს დაესწრებიან აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები და გლეხთა დელეგატები.

ზეიმზე დასასწრებლად მიწვეული არიან ს. მ. უ. ს. წარმომადგენლები.

პოლიგრაფტრესტში

პოლიგრაფტრესტმა დაადგინა 7 ნოემბერს მოაწყოს პოლიგრაფიული სკოლის კურსანტთა საზეიმო გამოშვება.

ახალი საავადმყოფო

7 ნოემბერს დაიწყება ახალი საავადმყოფოს აგება თელავში და ფოთში. ამავე დღეს საძირკველი ჩაეყრება ახალი ამბულატორიების ოზურგეთში, მარილისის ქარხანასთან, ბორჯომში და სხ.

აღნიშნულ ადგილებზე საავადმყოფოების საზეიმო გახსნაზე დასასწრებლად ჯანსახკომი აგზავნის თავის წარმომადგენლებს.

საკონსერვო ქარხანა

ს. მ. უ.ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ცნობით, 7 ნოემბერს საფუძველი ჩაეყრება გორის საკონსერვო ქარხნის შენობას, რომლისთვისაც ყველა საჭირო მანქანები და მოწყობილობანი შეკვეთილი აქვს გერმანულ ფირმას. ქარხანა ყოველწლიურად გადაამუშავებს 180.000 ფუთ ხილს.

იმავე დღეს სენაკში დაიწყება ახალი აგურკრამიტის ქარხნის სამუშაოები. ყოველწლიურად ქარხანა დაამზადებს 3 მილიონ ცალ აგურს და 2 მილიონ ცალ კრამიტს.

საბავშ. სანატორიუმი

ჯანსახკომი 7 ნოემბერს ქუთაისში ხსნის საბავშო სანატორიუმს.

დელეგაცია

4 ნოემბერს მოსკოვში გაემგზავრა საქართველოს მუშათა დელეგაცია [illegible] კაცის შემადგენლობით ზეიმზე [illegible].

[illegible]

[illegible] ავიაქიმის საზ-ბა დღესასწაულებზე გამოუშვებს დიდ პლაკატებს, რომლებზედაც დახატული იქნება მუშების ბრძოლა ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გასამხედროება

ქუთაისი, 3 ნოემბერი. მოსახლეობის გასამხედროების მიზნით, 5, 6 და 7 ნოემბერს ქუთაისში გაიმართება პირველი სალაშქრო-ტაქტიკური მეცადინეობა. (ადს).

ოქტომბრის დღესასწაული

ბორჯომი, 3 ნოემბერი. ოქტომბრის ათი წლის თავზე ბორჯომში გაიხსნება ბალნეოლოგიური ინსტიტუტის ახლად აგებული შენობა. გაიხსნება აგრეთვე ლენინის სანატორიუმი. მოეწყობა ადგილობრივ მიღწევათა გამოფენები საწარმოო და კულტურულ-საგანმანათლებლო დარგში. (ადს).

ოქტომბრის დღესასწაულისათვის

ცხინვალი, 3 ოქტომბერი. ოქტომბრის დღესასწაულის დროს ცხინვალში საძირკველი ჩაეყრება ხე-ტყის დამამუშავებელ კომბინატს. ეს კომბინატი შესდგება სახერხი ქარხნის, გრეხილ-ავეჯეულის სახელოსნოსა, საფხეკოო განყოფილებისა და სხ. (ადს).

ჟურნალი „ფიდიოგი“

ცხინვალი, 3 ნოემბერი. გამოვიდა ოსური ჟურნალი „ფიდიოგი“-ს მეხუთე წიგნი. წიგნი მიძღვნილია ოქტომბრის რევოლუციისადმი (ადს).

წერილები

დავიცვათ ტყეები გაჩეხვისაგან

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ტყეებს ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იშვიათია ისეთი ქვეყანა, რომელიც ასე მდიდარი იყოს მრავალფეროვან ტყეებით.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა სარგებლობა მოაქვს ქვეყნის კეთილდღეობისათვის ტყეს: გარდა პირდაპირი, მატერიალური სარგებლობისა ტყე ამშვენიერებს ჰავას, ხელს უწყობს ნიადაგების შეჩერებას და მრავალი სხვა.

იმ ქვეყნებში, სადაც ტყეები ნაკლებადაა, ცდილობენ მის მოშენებას და ამისათვის დიდძალ შრომასა და ენერგიას ხარჯავენ, ჩვენ კი ამ მხრივ გაცილებით უკეთეს პირობებში ვართ, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ გლეხობის უმრავლესობას კიდევ ვერ აქვს შეგნებული ტყის მოვლა-პატრონობის დიდი მნიშვნელობა და პირად სარგებლიანობისათვის სპობს და ანადგურებს მას.

მართალია, რევოლუციის პირველ წლებთან შედარებით ტყეების მოვლა-პატრონობა გაცილებით უკეთეს პირობებში ჩაყენებულია, მაგრამ სავსებით მოგვარებული ეს საქმე კიდევ არ არის.

ტყეების უთავბოლოდ და უგეგმოდ გაჩეხვას აწარმოებენ აგრეთვე, კერძო მოიჯარადრენი. მოიჯარადრეობა ყველაზედ უფრო გავრცელებული სწორედ ამ დარგშია, რაც სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. კერძო მოიჯარადრეს ასულდგმულებს მხოლოდ ერთი საკითხი, როგორმე მეტი მოსავალი მიიღოს და იმას კი არ დაგიდევს, თუ ამით რა ზარალი მოაქვს სახელმწიფოსათვის.

მიწათმოქმედების კომისარიატმა, რომლის გამგებლობაში იმყოფება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეები მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს სწორედ ამ გარემოებას და თუ მოიჯარადრეობის სავსებით აკრძალვა მოუხერხებელია, იმ შემთხვევაში მოიჯარადრენი მტკიცედ უნდა დაუმორჩილონ განსაზღვრულ ნორმებს.

გარდა ზემოხსენებულ ტყეებისა არის კიდევ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიც, რომლებიც გლეხობის განკარგულებაში იმყოფებიან. გლეხობაც უნდა შეეცადოს თავიანთი ტყეების მოვლა-პატრონობას.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ტყის მოშენებას ისეთ ადგილებში, სადაც მეურნეობის გაძღოლა შეუძლებელია.

ერთი სიტყვით როგორც სამაზრო და სათემო აღმასკომებმა, ისე ტყის დამცველმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები როგორც არსებული ტყეების მოვლა-პატრონობისათვის, ისე ახალი ტყეების გასაშენებლადაც.

გლეხი.

თემსაბჭოს საანგარიშო კამპანია

წერილი საგარეჯოდან

ამას წინედ დამთავრდა საგარეჯოს თემსაბჭოს საანგარიშო კამპანია. თემი დაყოფილი იყო 8 პუნქტად. თემაღმასკომმა კამპანიის ჩასატარებლად გამოჰყო კომისია, მომხსენებლებათ გამოყოფილი იყვნენ საბჭოს წევრები.

მიმდინარე მუშაობა ხასიათდება მთელ რიგ მიღწევებით, ორგ-მუშაობის, საკომშენებლო სამეურნეო, კეთილმოწყობის, ჯანმრთელობის და განათლების დარგში მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმით. პერიოდულად ტარდებოდა საბჭოს სხდომები, გამოცოცხლდა სექციების მუშაობაც.

თემაღმასკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საავადმყოფოს აშენების დაჩქარების საქმეს, ექცეოდა ყურადღება ბოგირების, არხების გაკეთების და საგზაო მშენებლობის საქმეს, თუმცა ამ მხრივ დღესაც ბევრია გასაკეთებელი. ახლო ხანში საძირკველი ჩაეყრება სოფ. გიორგიწმინდის კლუბის შენობას. განზრახულია კლუბის აგება ს. ნინოწმინდაშიც.

სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე აგრონომების მიერ გლეხობაში ტარდებოდა საუბრები. დაარსებული იყო აგრო-წრეებიც, სადაც 200 გლეხი მეცადინეობდა. ტარდებოდა საუბრები ექიმის მიერ სამედიცინო თემებზე, საექიმო პუნქტის მუშაობა დღითი-დღე ფართოვდება; სასკოლო აღმშენებლობის დარგშიც გადადგმულია საკმაო ნაბიჯები. წელს მიღებულ იქმნა მოსწავლეთა გაცილებით მეტი რიცხვი, ვიდრე წარსულ წელში მაგრამ მისაღებიც მრავალი დარჩა, იმიტომ, რომ სკოლა ბინების მხრივ დიდ ნაკლებობას განიცდის, ისე კი მეცადინეობა თითქმის ყველა ოთხწლედიაში და 9 წლედშიც ორწყებად მიმდინარეობს.

გაჯანსაღდა ხელმძღვანელობა ადგ. დაწესებულება-ორგანიზაციებზე.

საერთოდ ამ 5—6 თვის განმავლობაში მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, თვით ის ფაქტი, რომ ყველა პუნქტებში საბჭოს და აღმასკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნეს —ნათლად ამტკიცებს ზემოხსენებულ ნათქვამს.

კრებებზე დამსწრეთა რიცხვი უდრის 1.593-ს, მათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად ეხებოდნენ მიწათ-მოწყობის ჩატარებას, საგზაო მშენებლობას, სავენახე ადგილების უსწორმასწოროთ დანაწილებას, ქოხ-სამკითხველოების გახსნას, კლუბის შენობების აგებას, ნაწილობრივ სასოფლო-სამეურნეო გად. არასწორად გაწერის და არხების და წყლების გაყვანის საკითხებს.

ჩვენი მუშაობის მიმდინარე ამოცანად დასახული უნდა იქნეს ზემოაღნიშნულ საკითხების გადაჭრა-მოგვარება. სამაზრო აღმასკომიც უნდა დაგვეხმაროს, რთულ და სერიოზულ საკითხების მოწესრიგებაში.

გოგა.

ლაშხეთის თემი, ქვემო სვანეთი

ყურადღების ღირსია

ლაშხეთის თემის გლეხობა განიცდის დიდ [illegible]. დადგება თუ არა შემოდგომის მიწურული, მამაკაცები მიემგზავრებიან სხვადასხვა მაზრებში სამუშაოდ, სადაც მუშაობა უხდებათ ძლიერ მცირე ხელფასით. სწავლა-განათლება რომ ხელს უწყობდეს აქაურ გლეხობას, ამიერ წვალებას და სხვაგან ხეტიალს თავიდან აიცილებდა. რა საშუალებით არის ეს შესაძლებელი?

არის ჩვენში ისეთი საძოვრები, სადაც შესაძლებელია საქონლის მოშენება მაგალითად ლაშხეთის მიდამოები, აქ შეიძლება არამც თუ საქონლის მოშენება, არამედ ხვნა-თესვაც, აქ შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა მცენარეულობა: ქერი, კარტოფილი, კანაფი, ჭარხალი, ჩალოლეო სიმინდი და სხვა. მაგრამ ამისათვის საჭიროა ნივთიერი დახმარება ლაშხეთის გლეხობისათვის, რომელთაც უსახსრობის გამო, არა აქვთ საშუალება ფართედ მოკიდონ ხელი მეურნეობას.

კომკავშირელთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეთაგან შესდგება, განიზრახა არტელის შედგენა და საკუთარი ძალით მეურნეობის გაძღოლა, მაგრამ უსახსრობის გამო მიზანი ვერ განახორციელა:

საჭიროა სათანადო ორგანოებმა მისცენ მათ გრძელვადიანი სესხი, რომ შეიძლებოდნენ კოლექტიური მეურნეობის შექმნა, რითაც ვიხსნით ღარიბებს გლეხობას მუდმივ სხვა კუთხეებში ხეტიალისა და ეკონომიური გასაჭირისაგან.

კოლა ონიანი.

წერილებიდან

თიანეთი, დუშეთის მაზრა

შევქმნათ ნამდვილი შრომის სკოლა

ყველა მასწავლებელი, რომელიც იცნობს შრომის სკოლის საფუძვლებს, დამეთანხმება, რომ ძველ და ახალ სკოლას შორის არსებობს დიდი განსხვავება.

ვინც მეგობრად და მონაწილედ სთვლის თავისთავს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, მას თამამად შეუძლია აღიაროს თავი შრომის სკოლის მეგობრადაც.

თიანეთის განათლების მუშაკთა ახლად არჩეულ რაიადგილკომსაც გათვალისწინებული აქვს რა ზემოაღნიშნული, მთელი თავისი ძალღონით სცდილობს ხელი შეუწყოს ახალი სკოლის შექმნას ჩვენს რაიონში, ამ მიზნით მან თავის სამოქმედო გეგმაში შეტანილი აქვს ისეთი მუხლები, რომელიც მიზნად ისახავს მასწავლებელთა შორის მუშაობის გაცხოველებას, როგორც პროფესიონალური ხაზით, ისე კვალიფიკაციის მხრივ. მხოლოდ საჭიროა განათლების მუშაკთა მხრიდან შეგნებული შეხვედრა ადგილკომის გადაწყვეტილებისადმი და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ კოლექტიური მუშაობა მოგვცემს ერთიორად მეტ ნაყოფს, ვინემ გათვალისწინებული აქვს თიანეთის განათლების მუშაკთა ადგილკომს.

ალ. დოლიაშვილი.

ბელიაშელის თემი, რაჭის მაზრა

ნეტავი როდის მივიღებთ?

მიმდინარე წლის იანვარში ბელიაშელის თემის ორ სოფელში, სახელდობრ აგარაში და უწერში გახსნილი იქნა წ. კ. უცოდ. სალიკვიდაციო სკოლა, სადაც წერა-კითხვა შეისწავლა 29 კაცმა. ამ სკოლის მსმენელთა გამოშვება მოხდა 30 მარტს საგამოცდო კომისიის თანდასწრებით. მას შემდეგ 7 თვე გავიდა და აღნიშნული სკოლების მასწავლებლები ხელფასის აღებას ვერ ეღირსნენ.

რაშია საქმე? თუ არ აძლევენ, ბარემ უთხრან. ეგულ რაც ხარჯი გასწიეს ქ. ონში სიარულით 35 ვერსის მანძილზე.

ნუთუ ასეთი დაუდევრობა უნდა ხდებოდეს მუშურ-გლეხური ხელისუფლების დროს?

რაჭის სამაზრო განათლების განყოფილებავ, ასრულეთ კუთვნილი გასამრჯელო მასწავლებლებს.

ხ. აგარელი.

ღანირ-ჯაგანი, ქუთაისის მაზრა

ინერგიულმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო

წელს როგორც სხვაგან, ისე ჩვენს სოფელში პურის დროებით ნაკლებობამ სწრაფად გაადიდა სიმინდის ფასი, რითაც ისარგებლეს ჩარჩ-კულაკებმა და საზღაპრო ფასი დაადეს სიმინდს. მართალია ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ მაინც საგრძნობი გახდა ღარიბთათვის.

სექტემბრის პირველ რიცხვებში სამტრედიის „ეპო“-მ ჩვენ თემში არსებულ თავის განყოფილებას გადმოუგზავნა 400 ფუთი პურის ფქვილი ფუთი 2—30 კაპ. მაშინ, როცა სიმინდი 4—5 მან. ფასობდა და ამით დიდათ შეუწყო ხელი სიმინდის გაიაფებას.

საერთოდ „ეპოს“ გამგეობის და კოოპერატიულ განყოფილების გამგის მუშაობით გლეხობა კმაყოფილია, რასაც ამტკიცებს მოსახლეობის სრული ასი პროცენტით წევრებათ ჩაბმა კოოპერაციაში.

ვლ. გალდავა.

სოფლის ქრონიკა

— **ხიდი.** ბარცხანის ხიდის დასამთავრებლად აჭარისტანის მთავრობამ გადასდო 4.737 მანეთი.

— **სახალხო კვების გამოკვლევა** უკვე დაიწყო მთელ აჭარისტანში.

— **მდ. ტყიბულზე** სვირის თემში გლეხებმა ააგეს ხიდი.

— **სკოლა:** სოფ: მათხოჯში გლეხებმა ააგეს შენობა 7 წლედისათვის.

— **კოოპერატიული წრე:** ხონში დაარსდა კოოპერატიული წრე.

— **ქოხ-სამკითხველო.** ცხოვის თემში (აჭარისტანი) გაიხსნა ქოხ-სამკითხველო.

— **გზა.** დაიწყო ხონსა და მათხოჯს შორის მარა გზის შეკეთება.

— **რადიო:** ქვიშხეთის თეატრში ახლო ხანში მოეწყობა რადიო-მიმღები სადგური.

— **ახალი სკოლა.** სოფ. ზარათში (ქუთ: მაზ.) გაიხსნა 4 წლედი სკოლა.

— **საექიმო პუნქტი:** სოფ: რიონში (ქუთ. მაზ.) მოეწყო საექიმო პუნქტი.

მუშათა ცხოვრება

უყურადღებო სამკითხველო

(განათლ. განყ. საყურადღებოდ)

შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო უყურადღებობით ნადგურდება. წიგნები იკარგება, იფანტება, ვის სიაქვს ან ვინ განაგებს არავინ იცის. გამგის მოადგილე და ტექნიკური თანამშრომელი თავიანთი ცოდნით ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე. ისინი უხეშადაც ეპყრობიან მკითხველ საზოგადოებას. ამის გამო თავისუფლად ვერ შესულა კაცი და წიგნი ვერ მოუთხოვია. სამსახურში, როდესაც ესიამოვნებათ მაშინ მობრძანდებიან. მოსწავლე ახალგაზრდობას არ უწევენ ანგარიშს, არ ეხმარებიან სახელმძღვანელოებით და სხვა. გარდა ამისა სამკითხველო სავსეა სხვადასხვა რომანებით. პოლიტიკურ წიგნებს კი სავსებით ვერ ნახავთ აქ. თუ გაბედა ვინმემ და შეეკითხა რამე სამკითხველოს გამგეს ან მის მოადგილეს ამის შესახებ ისინი უხეშად გიპასუხებენ: „არა გვცალია თქვენთვის და თქვენი პოლიტიკური წიგნებისათვის. თუ გინდათ რაც არის წაიკითხეთ თუ არა და მიბრძანდით“ და სხვა. ასეთი ზრდილობიანი პასუხით უმასპინძლდება ტექნიკური თანამშრომელი და ხანდახან გამგის მოადგილეც.

წესრიგის შესახებ არც კი ღირს ლაპარაკი. აქ თვით გამგე და მისი თანაშემწე მკითხველებს შიგ ცხვირპირში უბოლებენ პაპიროსის ბოლს.

საჭიროა განათლების განყოფილებამ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და მიიღოს ზომები სამკითხველოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დ. დიდებული.

სისხლის სამართლის დამნაშავე კვლავ სამსახურში

სასამართლოს დადგენილებით თბილისის საქონლის სადგურის მწონავი მოქ. ა. ზამბახიძე, რომელსაც გაჩხრეკის დროს ბინაზე აღმოაჩნდა საწყობიდან წამოღებული სხვადასხვა საქონელი ცნობილ იქნა სისხლის სამართლის დამნაშავედ, რისთვისაც მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ორ წელიწადი გაატარა კიდეც საპატიმროში, მაგრამ განთავისუფლების შემდეგ (ალბად „ნათლიმამების“ წყალობით) ისევ განაგრძობს იმავე თანამდებობაზე მუშაობას, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ადმინისტრაციის ცნობით ვითომდა მოქ. ზამბახიძე დროებით არის მიწვეული სამუშაოზე, მაგრამ საეჭვოა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ის ისევ შტატში არ გადარიცხონ. ესეც არ იყოს სისხლის სამართლის დამნაშავე, იმავე სამსახურში, იმავე თანამდებობაზე დაშვება დანაშაულობაა.

საკვირველია რკ. გზის გამგეობამ რისთვის დაუშვა მოქ. ზამბახიძე სამუშაოზე იმ დროს, როდესაც სასამართლოს მიერ სავსებით გამართლებული თანამშრომლები უმუშევრად დაიარებიან? ჩვენის აზრით აქ „ნათლიმამების“ ხელი უნდა ტრიალებდეს, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს რკინისგზელთა პროფკავშირმა.

შიო.

ვისია ეს სახლი

საინჟინრო ქუჩაზე № 7 გაშენებულია ერთი ძალიანძველისდროინდელი სახლი, რომელშიც ცხოვრობს 15 ოჯახი. აღნიშნული სახლი ეკუთვნოდა ვინმე ვართანოვს, რომელსაც საქართველოს გასაბჭოებამდე მიყიდა მოქ. ბალდახაროვს და ლოლაძეს. შემდეგ სახლს გამოუჩნდა რამოდენიმე მემკვიდრე, რომლებმაც გაასაჩივრეს აღნიშნული სახლის ვითომც და უკანონო გაყიდვა. ამგვარად ეს საქმე დასეირნობს სხვადასხვა ორგანოებს შორის უკვე ექვსი წელიწადია, ხოლო თვით სახლის შეკეთებაზე კი არ ზრუნავს არც ძველი და არც ახალი პატრონი. ექვს წელიწადზე მეტია, რაც სახლი ინგრევა და ამჟამად მასში ცხოვრება უკვე საშიშია.

საჭიროა ამ სახლს ყურადღება მიაქციოს ქალაქის აღმასკომში და დანიშნოს კომისია სახლის დახრევის საშიშროების დასადასტურებლად, თორემ უბრალო მიწისძვრა, ან დიდი ქარიშხალი, რომ ამოვარდეს 15 ოჯახი მსხვერპლი გახდება ამ სახლის.

ვისია ეს სახლი, ვინ უნდა უპატრონოს მას?

—ტო.

რა მოგვცა ოქტომბრის რევოლუციამ

მოგონებათა საღამო

(წერილი ქუთაისიდან)

29 ოქტომბერს, ქუთაისის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების სამაზრო პროფკავშირის კლუბში, შესდგა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის აღსანიშნავი საღამო. ამ დროისათვის მოწვეული იყო ქუთაისის სამაზრო საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის წევრთა საზოგადო კრება, სადაც ამხ. ქ. გიორგაძემ გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „თებერვლიდან ოქტომბრამდე“. მომხსენებელმა ვრცლად გააცნო კრებას თებერვლისა და ოქტომბრის ამბები და მოუწოდა ყველას ჩაებან საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში. ამის შემდეგ კლუბთან არსებული დრამწრის მიერ პატე ლოლაძის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნა რევოპიესა „ოქტომბერი ლენინგრადში“. პიესის შინაარსი გადმოგვცემს ლენინგრადის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას ოქტომბრის რევოლუციის დღეებში.

ბოლოს კლუბთან არსებულმა მომღერალთა ქალ-ვაჟთა გუნდმა დავით კავსაძის ხელმძღვანელობით შეასრულა რევოლუციონური სიმღერები. ამით დამთავრდა პირველი მოსაგონებელი საღამო ქუთაისის საბჭოთა და სავაჭრო პროფკავშირების კლუბში.

ივანე ბუხაიძე.

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი“

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ოქტომბრის რევოლუციის წყალობით, თბილისში დაარსდა კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი“. წინად ეს ქარხანა დაფანტული იყო 13 კუსტარულ სახელოსნოებად, სადაც მეკოლოფე მუშებს 14—16 საათს უხდებოდათ ნესტიან სარდაფებში მუშაობა.

ასეთი მდგომარეობა იყო მენშევიკების ბატონობის დროსაც.

მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის ტალღებმა 1921 წ. საქართველოსაც გადმოჰკრა, რითაც, ამავე წელს მიეცათ მეკოლოფე მუშებს საშუალება 13 დაფანტული კერძო სახელოსნო შეერთებინათ ერთ მთლიან ქარხნად და თავიანთი მდგომარეობაც გაეუმჯობესებინათ. აქედან ჩაეყარა საფუძველი საკარტონაჟო მრეწველობას საქართველოში.

ქარხანა გადავიდა თამბაქოს ტრესტის გამგებლობაში, რადგან ქარხანა ამზადებს პაპიროსის კოლოფებს თამბაქოს ოთხივე ქარხნისათვის. ამჟამად ქარხანაში მუშაობს 366 მუშა-მოსამსახურე, მათში 40 მოზარდია. მუშებში ქალები უფრო სჭარბობენ. მუშების შრომის საშუალო ხელფასი 1926—27 წელს უდრიდა 39 მან. და 94 კაპ. თვეში; 25—26 წელს კი იგი უდრიდა 35 მან. და 27 კაპ. ისე, რომ ერთი წლის განმავლობაში მუშების ხელფასმა საგრძნობლად იმატა. მასალის დამზადების მხრივ ერთ კაცზე 25—26 წელს შრომის ერთეულში უდრიდა 596,3. დღეს კი, იგი გაიზარდა 688,7-მდე. შრომის ნაყოფიერებაც თავის საუკეთესო ღირსებით საგრძნობლად გაიზარდა.

პაპიროსის კოლოფების გარდა 1924 წლიდან ქარხანა ღებულობს კერძო შეკვეთებსაც, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებიდან და კოოპერატივებიდან, ისე კერძო საკანდიტროებისაგანაც.

რაც შეეხება ქარხნის მდგომარეობას, მის სანიტარულ და ტექნიკურ პირობებს, ამ მხრივაც დიდი მიღწევები გვაქვს.

ორი წლის განმავლობაში ქარხანა კაპიტალურად შეკეთდა; მექანიზაციით იგი უზრუნველყოფილია. მანქანები მოძრაობენ „ზაჰესის“ ენერგიით. სანიტარული პირობები ქარხანაში უნდა ითქვას, რომ [illegible] დაცულია.

ქარხანას განაგებენ დაწინაურებული მუშები, რომლებიც მუყაითად და ერთგულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. უნდა აღინიშნოს, რომ, მანქანების „ზაჰესის“ ენერგიაზე გადასვლამ, ქარხნის რაციონალიზაციამ, ზედმეტი ხარჯების და ადმინისტრატიულ პერსონალის შემცირებამ ქარხანას დიდი მოგება მისცა. ამასთან დაკავშირებით მუშების კულტურული და ეკონომიური მდგომარეობაც თანდათან იზრდება. ქარხანაში მოწყობილია სასადილო, რომელიც იტევს 300 კაცს.

ყველაფერი ეს არის ოქტომბრის რევოლუციის შედეგი, რომლის არსებობის ათი წლის თავს მუშები აღფრთოვანებით ხვდებიან.

ვ. მთვრალაშვილი.

არც ჩვენ ჩამოვრჩებით

(ტყავ-ტრესტის ქარხნები)

ტყავეულობის, ფეხსაცმელების, ნაბდის და საპნისა და ზეთის სახელ ქარხნების შეერთებულმა აგიტკომისიამ, სამხედრო ნაწილთან ერთად გამოჰყო ოქტომბრის ზეიმის ჩასატარებელი კომისია, რომელსაც დავალებული აქვს საიუბილეო საღამოს მოწყობა. კომისიის მიერ შედგენილ გეგმის მიხედვით მოწვეული იქნება მუშა-ქალთა საერთო კრება, სადაც წაკითხული იქნება მოხსენება მუშა-ქალის მონაწილეობის შესახებ ოქტომბრის რევოლუციაში.

ჩატარებული იქნება აგრეთვე ტყავტრესტის ზეთის სახელ, საპნის და სამხედრო ნაწილებს თანამშრომელთა და წითელარმიელთა გაერთიანებული კრება, რომელიც მოისმენს მოხსენებას ჩვენი მიღწევების შესახებ ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე. შემდეგ მოეწყობა ტყავტრესტის მუშათა კლუბის კულტურული ძალის გამოფენა, გამოვა აგრეთვე კედლის გაზეთის საიუბილეო ნომერი. კლუბთან დაარსებული იქნება ოქტომბრის რევოლუციის ისტორიის შესასწავლი წრე და სხვ.

7 ნოემბერს კლუბში მოეწყობა მასიური თამაშობა, ჭადრაკის, დომინოს და ლოტოს საჩუქრებით და ხმა-მაღლა კითხვა.

მუშა ი. ლონდაძე.

ვიზრდებით კულტურულად

(სად. გურჯაანი)

დიდმა ოქტომბერმა ფართოდ გაუღო კარები მუშებს კულტურისაკენ და მისცა მათ საშუალება შეექმნათ ყველა ის ცოდნა, რომელსაც მრავალ საუკუნეების განმავლობაში მოკლებული იყო მუშათა კლასი. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სად. გურჯაანის ამხ. სიმა ობოლაძის სახელობის რკინისგზის მუშათა კლუბი.

კლუბი მოთავსებულია საუკეთესო შენობაში, და მოწყობილია ჩინებულად: სათეატრო დარბაზი ლამაზი სცენით, საკუთარი კინო, სამხედრო კუთხე, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სასპორტო მოედანი და სხვა. ყველაფერი აქვს კლუბს.

კლუბთან ჩამოყალიბებულია: სასროლო, საჭადრაკო, მუშკორთა, სალიტერატურო, მუსიკალური, დრამატიული და მომღერალთა წრები. არსებობს აგრეთვე ჭრა-კერვის სკოლა ქალებისათვის.

ყოველკვირეულად კლუბში იმართება საღამო-წარმოდგენები, რომლებსაც ათასობით მუშები და გლეხები ესწრებიან. კინო მიდის კვირაში 2 3-ჯერ. სამკითხველოში არის ყველა ქართულ და რუსულ გაზეთები, მკითხველთა რიცხვი საკმაოა.

სამხედრო კუთხე თავისი მხრივ აწარმოებს სათანადო მუშაობას მუშების გასამხედროების დარგში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გურჯაანის მუშათა კლუბი საუკეთესოდ ასრულებს თავის დანიშნულებას და წარმოადგენს კულტურის ნამდვილ კერას.

ე—ზ.

ათი წელი

მშრომელი ხალხი ათი წლის წინედ,
რკინის უღელქვეშ იზნიქებოდა
ტანჯვა ვაება დღენა-წამება.
სამართალს მთქმელებს არ სცილდებოდა

დღეს კი, ჩვენ ვიხდით ათი წლის ზეიმს.
დღეს, გამარჯვების ათი წელია.
ერთ ხელში თოფი, ხმალი გვიპყრია,
მეორეში კი ნამგალ ცელით.

—

მშრომელი ხალხი იცავს ქვეყანას,
რომელსაც ჰქვია თვით ეს-ეს-ერი,
სადაც თავის ბედს, თავიანთ საქმეს
თვითვე განაგებს ყოველი ერი...

—

ხალხი მებრძოლი, ფხიზელი, გმირი...
ღარაჯათ უდგას ახალ ცხოვრებას
პიონერები, მხნე კომკავშირი
ამხორციელებს ლენინის მცნებას.

ხით ხიდისთაველი.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

როგორ მიმდინარეობს ხელის მოწერა

თბილისში

ქუდის დამამზადებელ ქარხანაში

ქუდის დამამზადებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა 100 პროცენტით მოაწერეს ხელი ინდუსტრიალიზაციის სესხზე. სულ შეძენილია 1 295 მანეთის ობლიგაცია.

ფეხსაცმელების ქარხანაში

ფეხსაცმელების ქარხნის მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანიას. ბევრია ისეთი მუშა, რომელმაც ხელი მოაწერა 150 მანეთამდე. სულ გავრცელდა 3025 მანეთის ობლიგაცია.

ტყავ-ტრესტის კანტორაში

ტყავ-ტრესტის კანტორის მოსამსახურეებმა რიცხვით 30 კაცმა ხელი მოაწერეს 885 მანეთის ობლიგაციაზე.

მაკარონის ქარხანაში

ჩატარდა ინდუსტრიალიზაციის სესხზე რეალიზაციისათვის დაწყებული კამპანია. არც ერთი მუშა არ დარჩენილა ობლიგაციაზე ხელმოუწერელი. 76 კაცმა ხელი მოაწერა 1560 მანეთის ობლიგაციაზე.

ბამბის ქარხანაში

ბამბის ქარხნის მუშები დიდი აღტაცებით შეხვდნენ ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანიას. სესხზე ხელის მოწერა ჩატარდა 100 პროცენტით. 147 კაცმა ხელი მოაწერა 2010 მანეთის ობლიგაციაზე.

შინა-მრეწველ ქალთა სახელოსნოში

შინა-მრეწველ ქალთა სახელოსნოს სკოლაში უკვე დაიწყო ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია.

უ. ხ.

„სოფლის კავშირი“

„სოფლის კავშირის“ 44 თანამშრომელმა ხელი მოაწერა 653 მანეთის სესხის ობლიგაციას. ხელის მოწერა გრძელდება.

წითელ ჯარში

№ ქართულ მსრ. ლეგიონში

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია ლეგიონში წარმატებით მიმდინარეობს. ლეგიონის საერთო კრებაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება სესხის მნიშვნელობაზე. მეთაურთა და კომპოლიტშემადგენლობამ 100 პროცენტით მოაწერა ხელი სესხზე. ამჟამად შეძენილია 1.452 მანეთის ობლიგაციები. წითელარმიელები აწარმოებენ კოლექტიურ ხელისმოწერას სესხზე. წითელარმიელების მიერ გაგზავნილ იქნა წერილები მშობლებისა და ნათესავებისადმი, სადაც განმარტებულია ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა. ამ მხრივ გაგრძელდება მუშაობა მომავალშიაც სპეციალური კომისიის ხელმძღვანელობით. შეგვიძლია თამამათ ვსთქვათ, რომ ლეგიონის მთელ შემადგენლობას გარკვეული აქვს სესხის მიზანი. დღეს ყველა სამხედრო მსახურმა იცის, რომ სესხის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის მეურნეობის აღორძინებაა.

ლ.

ადგილებზე

ფოთში

ფოთი, 2 ნოემბერი. ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. სახელმწიფო ბანკის მიერ 1 ნოემბრისათვის გასაღებულია 30.865 მან. ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები.

ოზურგეთში

ოზურგეთი, 2 ნოემბერი. წარსული კვირის განმავლობაში 29 ოქტომბრამდე ხელი მოაწერეს 3.862 მან. ინდუსტრიალიზაციის სესხზე. სულ 29 ოქტომბრამდე გასაღდა 22.732 მან. ობლიგაციები. (ადს).

სამეურნეო განვითარების შედეგები ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკ. სოც. ფედ. ხალხ. რესპ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. სმირნოვმა ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგების შესახებ განაცხადა შემდეგი:

„სახოფლო მეურნეობაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ მებამბეობის და სხვა ძვირფასი კულტურის განვითარებაზე.

ბამბის ნათესის სივრცე ამიერ-კავკასიაში ომამდე უდრიდა 129.900 დეს., ხოლო პროდუქცია 6.500.000 ფუთს. იმპერიალისტური და სამოქალაქო წლებში ეს კულტურა ამ.-კავკასიაში თითქმის მოისპო და 1921 წ., როცა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ამიერ-კავკასიაში, ბამბის ნათესის სივრცე უდრიდა 3.000 დეს. მებამბეობის განვითარება შემდეგში ასეთი ტემპით მიდიოდა: 1924—25 წ. ბამბის ნათესის სივრცემ მიაღწია 100.400 დეს-მდე, ხოლო 1925—26 წ. —119.500 დეს., 1926—27 წ. მცირეოდნად შემცირდა და შეადგენდა 117.800 დესეტინას. ეს შემცირება აიხსნება მთელი რიგი მიზეზებით, რომელთა შორის უმთავრესია: მებამბეებს თავის დროზე ვერ მიაწოდეს პური. ბამბის მაგივრად დათესილ იქნა სხვა ძვირფასი კულტურები.

1932 წელში ბამბის ნათესის სივრცე მიაღწევს 208.000 დეს-მდე.

თამბაქოს ნათესის სივრცემ მიაღწია ომამდე არსებულ დონეს (13.700 დეს.), ხოლო 1932 წელში გადიდებულ იქნება 23.000 დეს-მდე.

ჩაის პლანტაციებს ომამდე სულ ეჭირა 800 დეს., ეხლა უჭირავს 1.300 დეს., ხოლო 1932 წელში მიაღწევს 20.000 დეს.-მდე.

მარცვლეულ კულტურების სივრცემ მიაღწია 1.734.000 დეს-მდე, ანუ ომამდე არსებული სივრცის 99,9 პროც-მდე. 1932 წელში მარცვლეული კულტურების სივრცე გადიდებულ იქნება 1.963.000 დეს-მდე.

1926 — 27 წელში სახოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია შეადგენდა 158.232.000 მან. (ომამდე არსებულ მან.), ე. ი. ომამდე არსებული პროდუქციის 88,8 პროც-ს. 1932 წელში სახოფლო მეურნეობის პროდუქცია მიაღწევს 242.075.000 მან-მდე.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის ხნის განმავლობაში დიდი ყურადღება მიაქცია ირიგაციის განვითარებას. აშენებულ იქნა მთელი რიგი მოწყობილობანი და ამჟამად უდიდესი მასშტაბით სწარმოებს საირიგაციო მუშაობა, რომელიც ძალიან გაადიდებს სახოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგ სივრცეს.

ომამდე ყველა ელექტრო სადგურების ძალა ამიერ კავკასიაში შეადგენდა 100.000 კილოვატს. 1926 წელში მიაღწია 105.000 კილოვატამდე, 1927 წელში — 132.000 კილო., ხოლო 1932 წელში მიაღწევს 250.000 კილოვატამდე.

მარგანეცის ამოღების დარგში ჩვენ უახლოვდებით ომამდე არსებულ დონეს: 1927—28 წელში ამოღებულ იქნება 900.000 ტონა მარგანეცი, (1921 წელში ამოღებულ იქნა მხოლოდ 120.000 ტონა).

ქვანახშირის ამოღება ომამდე შეადგენდა 73.000 ტონას, შარშან ამოღებულ იქნა 98.000 ტონა, ხოლო 1932 წელში ამოღებულ იქნება 189.000 ტონა.

მოეწყო და ეწყობა მთელი რიგი ახალი ფაბრიკები, რომელნიც ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობენ.

პატიმართა გამოსწორების საქმე გამ.-სახლებში

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა შედეგებს იძლევა პატიმართა გამოსწორების საქმეში ის ღონისძიებები, რომლებიც ტარდება ჩვენს გამასწორებელ სახლებში, რესპუბლიკის საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ი. იაშვილმა უპასუხა:

ის პოლიტიკა, რომელიც ეხლა ტარდება ჩვენს გამსახლებში, დადებით შედეგებს გვაძლევს. ჩვენი გამსახლები დიდათ განსხვავდებიან ძველი ციხეებისაგან. დღეს ის გაძლიერებული დარაჯობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველად, აღარ არსებობს და პატიმრები სრულ თავისუფლებას გრძნობენ.

გამასწორებელი სახლები პატიმრებისათვის ერთგვარ სკოლასაც კი წარმოადგენენ. გამსახლებში მოწყობილია: კლუბები, ბიბლიოთეკები, თეატრები, გამოდის კედლის გაზეთი და რეგულიარულად, თვით პატიმართა ძალებით, იმართება წარმოდგენები.

ხშირია მაგალითები, რომ წერა-კითხვის არ მცოდნე პატიმარი განთავისუფლების შემდეგ შინ ბრუნდება გათვითცნობიერებული ყოველ მხრივ და ეწევა პატიოსან შრომას.

იმის დასამტკიცებლად, რომ თვით პატიმართა უმრავლესობას შეგნებული აქვს ის ჰუმანიური პოლიტიკა, რომელიც დღეს გამსახლებში ტარდება, შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი პატიმრების გაგზავნიდან საზოგადო სამუშაოებზე.

იყო შემთხვევა, როცა პატიმარმა დანიშნულ დროს გადააცილა რამოდენიმე წუთით. ამის გამო ამხანაგებმა მას სასტიკი საყვედური გამოუცხადეს და ამხანაგურ სასამართლოში გაარჩიეს მისი საქმე.

დაარსებულია სასოფლო-სამეურნეო შრომის კოლონია მუშა და გლეხ პატიმრებისათვის. ამ კოლონიისათვის აღებულია ყოფ. ძახთაშვილის მამული, ხავთლულში, სივრცით 87 დესეტინა. აქ არის გაშენებული ბაღი, ბოსტანი, ვაზი და სხვა, რომელთა დამუშავებასაც აწარმოებენ პატიმრები აგრონომების ზედამხედველობით, რომლებიც მათ ასწავლიან სასოფლო-მეურნეობას.

მუშა-გლეხ პატიმრებს კვირაობით ეძლევა შვებულება. შვებულება ეძლევათ აგრეთვე ყოველ ორი თვის განმავლობაში (ერთი კვირის ვადით). თუ ადგილობრივ ხელისუფლების მიერ დადასტურებულ იქნება გლეხ-პატიმრის განთავისუფლების საჭიროება ოჯახური მდგომარეობის გამო, ასეთ შემთხვევაში პატიმარს ეძლევა შვებულება სამ თვემდე.

ხანგრძლივი სასჯელის მოხდის შემდეგ ვადამდე თავისუფლდებიან ის პატიმრები, რომლებიც კარგი ყოფა-ქცევით გამოირჩევიან.

გამასწორებელ შრომის კოდექსის თანახმად, გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმარს წელიწადში ეძლევა ორი კვირის შვებულება.

დაარსებულია ე. წ. „გარდამავალი სახლი“, სადაც გადაჰყავთ გასწორების გზაზე დამდგარი პატიმრები, საიდანაც ისინი იგზავნებიან სამუშაოზე მოთხოვნილებისამებრ. ეს სახლი ჩვეულებრივ სახლიდან არაფრით არ განსხვავდება.

უშიშროების ბიუროების დაარსება წარმოებებთან

ს. მ. უ. ს. შრომის ეკონომიკის განყოფილებასთან შესდგა თათბირი სხვადასხვა წარმოებებში და ქარხნებში უბედურ შემთხვევებთან მებრძოლი ბიუროების დაარსების შესახებ. აღნიშნულ ბიუროებს ეწოდებათ აგრეთვე „ტექნიკური უშიშროების ბიუროები“ და ისინი მოწყობილი უნდა იქნენ ყველა წარმოებასთან.

თათბირზე განიხილეს აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებში ე. წ. სამრეწველო სანიტარიის შემოღების საკითხი. უშიშროების ბიუროებს, თათბირის დადგენილებით, უნდა დაევალოს აგრეთვე თვალყურის დევნება იმისათვის, რომ სხვადასხვა ნედლი მასალის გადამუშავების დროს (თამბაქო, მატყლი, ქიმიური საღებავები და სხ.) სანიტარული პირობები დაიცვას, რათა წარმოებებში ადგილი აღარ ექნეს მოწამვლას და მუშაკების დაზიანებას.

ტრესტებს და ყველა ცალკე წარმოებებს დაევალათ დაჩქარებით შეუდგენ ბიუროების მოწყობას და ამასთან დაკავშირებული საორგანიზაციო სამუშაოები ჩაატარონ 9 ნოემბრამდე. იმ წარმოებაში, სადაც მუშათა რიცხვი მცირეა, გამოყოფილ უნდა იქნეს ერთი პირი, რომელსაც დაევალება თვალყური ადევნოს, როგორც ტექნიკური უშიშროების, ისე სამრეწველო სანიტარიის დაცვის საქმეს.

ქუთაისი

ბინებისა და სავაჭრო შენობათა ახალი ტარიფი

ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა შეიმუშავა ბინებისა და სავაჭრო შენობათა ახალი ტარიფი, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდება სავალდებულო დადგენილების სახით. ახალი ტარიფი ძველთან შედარებით გადიდებულია.

მზადება

ქუთაისში დიდი მზადებაა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის დღესასწაულის ღირსეულად ჩასატარებლად: სასწრაფოდ აკეთებენ ქუჩებს და ფილაქნებს; ამთავრებენ შენობებსა და ახალ წამოწყებებს; ქუჩებში დგამენ თაღებს, ამზადებენ ახალ დროშებსა და პლაკატებს; დაწესებულებათა აივნების მოსაწყობად იძენენ ქანდაკებებს, მატერიებს, ფერად ელექტრონის სანთურებსა და სხ.

ელექტრონის ენერგიის ანგარიში

სამაზრო აღმასკომმა ცირკულიარული წინადადება დაუგზავნა ქუთაისში არსებულ დაწესებულებებს, რომ ელექტრო-სადგურის ნებადაურთველად არავინ ისარგებლოს ელექტრონის ენერგიით ოქტომბრის დღესასწაულზე დაწესებულებათა გასაჩირაღდნებლად.

შუამდგომლობის დაკმაყოფილება

ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დააკმაყოფილა ქუთაისის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა სვირის ელსადგურის ასაგებად ბ. თხელიძისაგან 550 კვ. საჟ. ადგილის ჩამორთმევის შესახებ.

დებულებათა დამტკიცება

ქუთაისში აღმასკომმა დაამტკიცა კომუნალური მეურნეობის განყოფილებისა, მისი ქვეგანყოფილებისა და საწარმოო დარგთა დებულებანი.

გრანიტის ქარხანა კურსებში

თბილისისა და ქუთაისის აღმასკომებმა ხსნიან სოფ. კურსებში მარცვლოვანის (გრანიტის) ქარხანას, რომლის მოწყობა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია 240.000 მანეთად. ქუთაისის აღმასკომი შეიტანს ამ საქმისათვის 50.000 მანეთს. მუშაობა ამ მოკლე ხანში დაიწყება.

დონ-მალიანი.

შეშა

ა. კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს გამოკვლევით მომავალ ზამთრისათვის შეშის მოთხოვნილება ასეთია: ა.-კ. რკინის-გზებისთვის—1.000 კვ. საჟენი, არმიისათვის—8.000 კვ. საჟენი და დანარჩენ დაწესებულებებისა და კერძო მომხმარებლებისათვის—32.000 კვ. საჟენი. შეშის მოთხოვნილება სულ უდრის 50.000 კვ. საჟენს.

თბილისსა და სხვა ქალაქებში გლეხებს შემოაქვთ 17000 კვ. საჟენი.

სატყეო მრეწველობის ტრესტი მიმდინარე წელში ამზადებს 31.500 კვ. საჟენს, დანარჩენ რაოდენობას კი დააკმაყოფილებს კერძო ვაჭრობა.

სასამართლო

განაჩენი „ვატმან“ ოგანეზოვის საქმეზე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ხიზანავას თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი „ვატმან“ ოგანეზოვის საქმეზე.

ოგანეზოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ მას შეეძლო თავიდან აეცდინა კატასტროფა, მაგრამ ეს არ ჩაიდინა დაუდევრობით.

ოგანეზოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მსჯავრდადებულისათვის ეს დანაშაული პირველია და რომ ის ძველი, გამოცდილი მუშაა. ყოველივე ამის გათვალისწინებით მსჯავრდადებულს სასჯელი შეუმცირდა ათ თვემდე.

სასამართლომ დაადგინა სამოქალაქო ძიების დაკმაყოფილება დაევალოს ოგანეზოვს, ხოლო თანხის რაოდენობის გამორკვევა მიენდოს სამოქალაქო სასამართლოს.

გამფლანგველები ფოსტა-ტელეგრაფში

(პროცესის მეოთხე დღე)

სასამართლოს წინაშე გაიარა მოწმეების მთელმა რიგმა. მათი უმრავლესობა ფარდას ხდის მთელ იმ უმსგავსებას, რომელიც გამეფებული იყო ფოსტა - ტელეგრაფის მუშაკთა კავშირში კუჭუაშვილის კომპანიის ბატონობის დროს.

მოწმე დავით ჭყონია, რომელიც კუჭუაშვილის გადაყენების შემდეგ იქნა არჩეული კავშირის თავმჯდომარედ, აცხადებს, რომ კუჭუაშვილის გადაყენება მოხდა იმიტომ, რომ ის თანხების შემოტანას აგვიანებდა, რაც უკმაყოფილებას იწვევდა მუშებში. მოხდენილმა რევიზიამ გამოარკვია, რომ სამივე ბრალდებული: კუჭუაშვილი, კოლელიშვილი და ფურცელაძე ერთმანეთის შეთანხმებულად ფლანგავდენ ფულებს. დადიოდა ხმები, რომ არანორმალურ გარყვნილ ცხოვრებასაც ეწეოდენ ბრალდებულები,—აცხადებს მოწმე.

მოწმე ივანე კომახიძე (ამჟამად კავშირის პასუხისმგებელი მდივანი) ლაპარაკობს, რომ კავშირში სრული უწესრიგობა იყო. სპეციალურად დანიშნულმა კომისიამ აღმოაჩინა, რომ კოლელიშვილს ჰქონდა დანაკლისი. შედგა ოქმი და კოლელიშვილი დათხოვნილ იქნა. ჩვენ აღმოვაჩინეთ ბევრი ყალბი ანგარიშები. შეკითხვაზე, თუ შეიძლებოდა არ სცოდნოდა კუჭუაშვილს და ყალბი საბუთებით სხვას გამოეტანა ფული, მოწმე უპასუხებს, რომ ყველა ანგარიშებს თავმჯდომარის ხელში უნდა გაევლო და არ შეიძლებოდა მას არ შეეტყო ანგარიშის სიყალბე.

ასეთსავე გარემოებას ადასტურებს მოწმე ბარლაშოვი (ტექნიკური განყოფილების უფროსი).

მოწმეების დაკითხვის შემდეგ შეკითხვებს აძლევენ ბრალდებულებს, რომლებიც ერთმანეთს აბრალებენ ყველაფერს, თვითეულ მათგანს „მამა აბრამის ბატკნად“ მოაქვს თავი.

სასამართლოს ძიებაზე დაგროვილი მასალები აშკარავებენ არანორმალურ სქესობრივ კავშირს ბრალდებულებს შორის, რის გამო სასამართლოს დადგენილებით გამოწვეულ იქნა ექსპერტები.

შთაბეჭდილება რჩება ისეთი, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირი საბრალდებლო სკამზე მჯდომთ გარყვნილების ბუდეთ გადაუქცევიათ.

გაუპატიურება და დაღრჩობა

წელს 13 აპრილს დილით თბილისის ჰაეროდრომის მახლობლად შემთხვევითი გამვლელები წააწყდნენ ასეთ საშინელ სურათს: ახალგაზრდა ქალის გვამი გდია ნახევრად გაშიშვლებული. ყელში გადაჭერილი აქვს ახლად ნაყიდი ქსოვილის ჩამონახევი, პირში ჩაჩრილი აქვს აბრეშუმის ყელსახვევი. ქალის თეთრეული დაფხრეწილი, ნაფლეთებათაა ქცეული და მიმოფანტული გვამის გარშემო.

შეიკრიბა ხალხი. კაცი აფრინეს ადმინისტრაციასთან. დაიწყეს ვინაობის გამორკვევა. გვამი გამოიცნეს. დაღრჩობილი აღმოჩნდა ჰაეროდრომის ყოფილი მოსამსახურე პროსკოფია პოლოტაევა.

ხალხი აღშფოთებულია, არ იშლება შემთხვევის ადგილიდან. სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებიც გამოჩნდნენ. გამოჩნდა მაძებარი ძაღლებიც. ძაღლის დასახელის ერთი მოქალაქე გაძვრა, ჩუმ-ჩუმად გაიპარა. ის გახლდათ აკოფოვი. მოქალაქე წაიდია შორს, შედგა გოროხზე და ბინოკლით დაიწყო ყურება.

მალე გაიგო ეს ამბავი პროსკოფიას ქმარმაც. შეშლილივით მოვარდა შემთხვევის ადგილას და დაიწყო გულსაკლავი ტირილი. მას გამოჰკითხეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე. გამოირკვა შემდეგი გარემოება:

12 აპრილს პოლოტაევას ქალი დილით წამოსულა ქალაქში კავშირიდან დახმარების მისაღებად, როგორც უმუშევარი. მას გამოედევნება მოქალაქე აკოფოვი, რომელსაც ტკბილი მასლაათით შეუქცევია ქალი და ქალაქში ჩამოსვლისას შეუყვანია სადილოში დასანაყრებლად.

უკან დაბრუნებისას აკოფოვს გაუტყუებია ქალი ჰაეროდრომის მოშორებით და მოუნდომებია მისი გაუპატიურება ძალით. ქალს გაუწევია სასტიკი წინააღმდეგობა და დაუწყია ყვირილი. გამხეცებულმა აკოფოვმა აბრეშუმის ყელსახვევის პირში ჩაჩრით ჩაახშო ქალი, დაიკავა მასთან სქესობრივი კავშირი, რის შემდეგ მატერიის ყელში წაჭერით დაახრჩო და დასტოვა ის.

ეს საქმე გუშინ გაარჩია აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით. მოქ. აკოფოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, სასტიკი იზოლაციით.

სახკომსაბჭოში

შორაპნის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა

განმწესრიგებელმა სხდომამ დააკმაყოფილა შორაპნის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა მოლითის რაიონში არსებული კირის წარმოების და მაზრაში არსებული ქვა-სატეხების მისთვის გადაცემის შესახებ.

ამხ: სალარიძის განთავისუფლება საქმეთა მმართველობის თანამდებობიდან

ამხ. ალ: სალარიძე, თანახმად მისი განცხადებისა, განთავისუფლებულია სსსრ სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს საქმეთა მმართველობის თანამდებობისაგან.

ხსენებულ მოვალეობის აღსრულება დაეკისრა ამხ. სტეფანოვს:

სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის აღდგენა

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო ეთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს აღძრას ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურ ორგანოების წინაშე საკითხი სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის საჭირო 293.800 მან. გაღების შესახებ საკავშირო ბიუჯეტიდან.

საქართველოს აბრეშუმი

3 ნოემბერს „საქართველოს აბრეშუმი“-ს წარმოებები დაათვალიერა „შოლკო ტრესტი“-ს კომერციულ განყოფილების გამგემ ვ. ტურკინმა, რომელსაც დავალებული აქვს საბჭოთა კავშირის მეაბრეშუმეობის რაიონების გამოკვლევა.

„შოლკტრესტი“, განაცხადა ვ. ტურკინმა,—კმაყოფილია „საქართველოს აბრეშუმი“-ს, როგორც ხელშეკრულობის შესრულებისათვის პირნათლად, აგრეთვე ნაწარმოების ხარისხითაც.

საქართველოში დიდი ღონისძიებებია მიღებული, მეაბრეშუმეობის გასაფართოებლად. ამასთან დაკავშირებით დროულათ და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს „საქართველოს აბრეშუმის“ მიერ დაწყებული აბრეშუმის ქარხნების გაშლა-გაფართოება.

საქართველოდან ვ. ტურკინი გაემგზავრება კასპიის იქითა მხარის მეაბრეშუმეობის გამოსაკვლევად.

ხარჯები ადგილობრივ მრეწველობაზე

დახმარება წარმოებებს

ს.მ.უ.ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ შეაგროვა ცნობები გასულ 192 27 საბიუჯეტო წლის განმავლობაში ადგილობრივი მრეწველობის ასაღორძინებლად გაწეულ ხარჯებისა და გადადებულ თანხების რაოდენობის შესახებ.

უკვე ამუშავებულ სამრეწველო ერთეულების საჭიროებისათვის წლის განმავლობაში გაცემულია: ბორჩალოს მაზრაში „ორთამუშის“ ფერმის შესაძენათ—40.000 მან.; რაჭის მაზრაში ორი სახერხი ქარხნის მოწყობილობათა გასაუმჯობესებლად—20.860 მან.; აგურის ქარხნისათვის—11.192 მან.; კრამიტის ქარხნისათვის—2.000 მან.; კირის ქარხნის მოწყობილობათა გასაუმჯობესებლათ—2.000 მან. და გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნისათვის—21.000 მან. დახმარება მიეცა აგრეთვე ქუთაისის სახერხ ქარხანას, სამტრედიის აგურის ქარხანას და გორის, აჭარისტანის და სენაკის მაზრის წარმოებებს. სულ მომქმედ სამრეწველო ერთეულების გასაუმჯობესებლათ წლის განმავლობაში დახარჯულა 404.052 მან.

კურსები

პირველ ნოემბრიდან დაიწყო მეცადინეობა თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სამალარიო დისპანსერთან არსებულმა პროფილაქტიკურ მედიცინის კურსებმა—შრომის სკოლების მასწავლებელთა და სანიტარულ მილიციელთათვის.

კურსები თითო თვიანია.

შრომის სკოლების მასწავლებლებისათვის გახსნილ კურსებზე ლექტორებათ მოწვეული არიან: პროფ. ალადაშვილი, პროფ. ამირაჯიბი, პროფ. ასათიანი, პრივატ დოცენტი აბაკელია, ექ. გოლიცკაია, ექ. გედევანიშვილი, ინჟ. დიასამიძე, უნივერსიტეტის ლექტორი ექ. ელიავა, უნივ. ლექ. ექ. ელიაშვილი, ექ. კანდელაკი, ექ. მამულია, უნივ. ლექ. ექ. მუსხელიშვილი, ექ. ნოაძე, უნივ. ლექ. ექ. უგრელიძე, ექ. ურუშაძე, ინჟ. ქურდიანი, მედ. დოქტორი ღულაძე, პრივატ დოც. ყიფშიძე, ექ. წერეთელი, მედ. დოქტ. ცეცხლაძე და ექ. ცხაკაია.

სანიტარულ მილიციელთა კურსებზე ლექტორებათ მოწვეული არიან: ინჟ. დიასამიძე, ექ. ხელდუკელი, ექ. იანქოშვილი, ექ. კანდელაკი, ექ. მამულია, ექ. ხატისოვი, მედ. დოქ. ღულაძე, ექ. ყარიბოვი, ექ. წერეთელი, ქიმიკოსი ციციშვილი და მედ. დოქ. ცეცხლაძე.

სანიტარულ კანონმდებლობაში ორთავე კურსებზე ლექტორათ მოწვეულია ს. ყორღანიანი.

ტყავეულობის დამზადება

ს. მ. უ. ს. ტყავეულობის ტრესტმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის წინაშე ნება დართოს მისთვის აზერბეიჯანში გადაუმუშავებელი ტყავების დამზადებაზე. ვინაიდან ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატში თავი მოიყარა ცნობებმა, რომ ნედლი ტყავეულობის მოთხოვნილება ამიერ-კავკასიაში დიდია, ხოლო ამასთანავე ამიერ-კავკასიიდან გადაუმუშავებელი ტყავი გააქვთ სხვა რესპუბლიკებში, ამის გამო ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატმა შემდეგი შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე.

აიკრძალოს ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან ნედლი ტყავეულობის გატანა მანამ, სანამ დაკმაყოფილებული არ იქნება ა.-კ. რესპუბლიკების მრეწველობის მოთხოვნილება ტყავზე და მოხდეს სწორი აღრიცხვა, იმისა თუ რა რაოდენობის ნედლი ტყავეულობის დამზადება შეიძლება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

ათი წლის წინად

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

5 ნოემბერი

(23 ოქტომბერი)

პეტრ. სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტში

— სამხ. რევ. კომიტეტმა გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება.

„პეტროგრადის მოსახლეობას.

პეტროგრადის მუშებს, ჯარის კაცებს და ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ ვაცხადებთ:

რევოლიუციისა და მის მონაპოვართა დასაცავად კონტრ-რევოლიუციის შემოტევისაგან, დანიშნულია კომისრები სამხედრო ნაწილებში და ქალაქისა და მისი მიდამოების განსაკუთრებით მნიშვნელოვან პუნქტებში. ბრძანებები და განკარგულებები, რომლებიც ამ პუნქტებზე ვრცელდება, შესრულებულ უნდა იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებენ კომიტეტის კომისრები. კომისრები, როგორც საბჭოს წარმომადგენლები, ხელუხლებლობით სარგებლობენ. წინააღმდეგობის გაწევა კომისრებისათვის, ნიშნავს წინააღმდეგობის გაწევას პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსათვის. საბჭოს მიღებული აქვს ყველა ზომები რევოლიუციონური წესრიგის დასაცავად კონტრ-რევოლიუციონურ და პოგრომულ იერიშებისაგან. ყველა მოქალაქეებს მოუწოდებთ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ჩვენს კომისრებს. უწესობათა წარმოშობის დროს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ სამხედრო - რევოლიუციონური კომიტეტის კომისრებს და ახლობელ სამხედრო ნაწილს“.

— სამხედრო ოლქის შტაბმა გადასწყვიტა წასულიყო დათმობაზე: მიეღო სამხ.-რევ. კომიტეტის კომისრები და შეესრულებია პეტროგრადის საბჭოს სხვა მოთხოვნილებები. სამხ.-რევ. კომიტეტის წარმომადგენლებმა, რომლებიც მოლაპარაკების მიზნით იყვნენ მიწვეული შტაბში, უარი განაცხადეს მოლაპარაკებაზე.

— სამხ.-რევოლიუციონურმა კომიტეტმა სმოლნში მოიწვია პეტროგრადის გარნიზონის წარმომადგენლების და ფრონტიდან საბჭოთა ყრილობაზე დასასწრებლად ჩამოსულ დელეგატების თათბირი. ამხ. კამენევმა გააკეთა მოხსენება „პეტროგრადის საბჭოს დღის“ ჩატარების შესახებ და აღნიშნა ის ერთსულოვნება რომელიც პეტროგრადის პროლეტარიატმა და გარნიზონმა გამოიჩინა ამ დღეს საბჭოთა და სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის მიმართ.

გარნიზონის წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენებები ნაწილების განწყობილების შესახებ. ჯარისკაცები ნაწილებში ჩატარებულ კრებებზე ერთხმად აცხადებენ, რომ ისინი ემორჩილებიან მხოლოდ სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტს, შეასრულებენ მხოლოდ მის ბრძანებებს და გადაჭრით მოითხოვენ მთელი ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის.

პეტროგრადის საბჭოში

პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე ანტონოვ-ოვსეენკომ გააკეთა მოხსენება სამხედრო - რევოლიუციონური კომიტეტის მოქმედების შესახებ.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ფრაქციების წარმომადგენლები: ასტროვმა მენშევიკ-ინტერნაციონალისტების სახელით სამხ. რევ. კომიტეტის მოქმედებას „პოლიტიკური ავანტიურა“ უწოდა და „გააფრთხილა“ პეტროგრადის პროლეტარიატი „მოსალოდნელი შედეგებისაგან“. კამაროვმა „ნოვაია ჟიზნის“ ჯგუფის სახელით განაცხადა, რომ მისი ფრაქცია, თუმცა არ იზიარებს ბოლშევიკების ლოზუნგს—„მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, მაგრამ სცნობს, რომ პეტროგრადის პროლეტარიატს აქვს უფლება შეკავშირდეს და ვერავინ ვერ წაართმევს მას ამ უფლებას. ბროიდომ—მენშევიკების სახელით სამხ.-რევ. კომიტეტის მოქმედებას უწოდა „დეზორგანიზატორული“.

კამათის შემდეგ ხმების დიდი უმრავლესობით პეტროგრადის საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც სავსებით იწონებს სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის მუშაობას.

წითელი გვარდია

შესდგება პეტროგრადის წითელი გვარდიის წარმომადგენლების პირველი საქალაქო კონფერენცია. მიღებულია გვარდიის წესდება და არჩეულია ხელმძღვანელი ცენტრი.

მთავრობა და სამხ.-რევ. კომიტეტი

— პეტროგრადში კერენსკისთან სათათბიროდ ჩამოვიდა ფრონტიდან გამოწვეული გენ. ჩერემისოვი.

— კერენსკის წინადადებით, პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსმა პოლკოვნიკმა პოლკოვნიკოვმა პეტროგრადის საბჭოს გაუგზავნა ტელეფონოგრამა—ულტიმატუმი, რომ საბჭომ დაუყოვნებლივ გააუქმოს პეტროგრადის გარნიზონისადმი მიცემული ბრძანება სამხედრო შტაბისათვის არ დამორჩილების შესახებ.

— დროებითი მთავრობის ღამის სხდომაზე გადაწყდა რეპრესიული ზომების მიღება სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის მიმართ. იუსტიციის მინისტრს წინადადება მისცა აღძრას სამხ.-რევ. კომიტეტის წევრების წინააღმდეგ სასამართლო ძიება და ისევ დააპატიმროს ყველა ის ბოლშევიკები, „3—5 ივლისის ამბების“ მონაწილენი, რომლებიც განთავისუფლების შემდეგ შენიშნულ იქნენ რაიმე „ანტისახელმწიფოებრივ“ გამოსვლებში.

მთავრობამ დაადგინა აგრეთვე აჯანყებისაკენ მოწოდებისათვის დახუროს გაზეთები „რაბოჩი პუტ“ და „სოლდატ“.

ვერხოვსკის გადაყენება

დრ. მთავრობამ დაადგინა გადააყენოს თანამდებობიდან სამხედრო მინისტრი გენ. ვერხოვსკი,—ვითომდა მისი ავადმყოფობის გამო (ვერხოვსკის გადაყენების ნამდვილი მიზეზი კი იყო მის წინააღმდეგ მემარჯვენეთა მიერ დაწყებული კამპანია).

მზადება აჯანყებისათვის მოსკოვში

— რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშ:) მოსკოვის კომიტეტთან შესდგა სამხედრო ბიუროს სხდომა რაიონების და სამხ. ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად. ჯარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გარნიზონის უმრავლესობა აჯანყების მომხრეა. აჯანყების გეგმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ გარნიზონი ცუდათ არის შეიარაღებული, ვინაიდან სარდლობამ სხვადასხვა საშუალებებით თითქმის განაიარაღა ჯარისკაცები.

სამხ.-რევ. კომიტეტი ლუგაში

ლუგაში შესდგა სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი.

ქრონიკა

მისალმება საქ. ცაკს და სახკომსაბჭოს

საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორთა საბჭომ საქართველოს ცაკს და სახალხო კომისართა საბჭოს გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორთა საბჭო და სტუდენტობა ესალმება საქართველოს მშრომელ ხალხს თქვენი სახით. სახვითი ხელოვნების უმაღლესი განათლების წყარო—საქართველოს სამხატვრო აკადემია, პირმშო შვილია საბჭოთა ხელისუფლების; მრავალ-ფეროვან მიღწევათა დამახასიათებელია აკადემიის არსებობაც. ამიტომ ის თავის მოვალეობათ სთვლის იდგეს საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად დიად სოციალისტურ მშენებლობაში; გილოცავთ და თქვენთან ერთად აღფრთოვანებით ვდღესასწაულობთ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს

სამეცნიერო კავშირი სომხეთთან და აზერბაიჯანთან

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა ახლო ხანში მიავლინოს სპეციალური სამეცნიერო დელეგაცია სომხეთში და აზერბაიჯანში იქაურ სახელმწიფო უნივერსიტეტებთან მუდმივი სამეცნიერო კავშირის დამყარების მიზნით.

დელეგაცია, რომელშიაც შევლენ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. თ. ღლონტი და პრორექტორები პროფ. შ. ნუცუბიძე და პროფ. კ. კეკელიძე, პირველად ესტუმრება ერევანს, დაათვალიერებს ადგილობრივ სამეცნიერო დაწესებულებებს და დაესწრება სომხეთის სამეცნიერო ძალთა კრებას, რომელზედაც განხილული იქნება ა.-კ. რესპუბლიკების სამეცნიერო ორგანიზაციათა შორის მუდმივი კავშირის დამყარების საკითხი.

შემდეგ აღნიშნული დელეგაცია ჩავა ბაქოში ამავე მიზნით.

ტყავის დამზადება

იმის გამო, რომ ამიერ-კავკასიის ტყავის მრეწველობა ნედლი მასალის ნაკლებობას განიცდის, საქართველოს ტყავის ტრესტმა შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა ნება მიეცეს მას დაამზადოს ტყავეულობა აზერბეიჯანში.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ამ საკითხის სიმწვავის გამო თავის მხრივ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა დამტკიცებული იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

აკრძალული იქნეს ნედლი ტყავის გატანა ამიერ-კავკასიის ფარგლებიდან იმ დრომდი, სანამ ამიერ-კავკ. ტყავის მრეწველობა უზრუნველყოფილი არ იქნება სათანადო ნედლი მასალით.

ჟურნალის გამოცემა

1-ლი ნოემბრიდან რუსეთის სავაჭრო ბანკი ინგლისში სცემს ყოველთვიურ ჟურნალს ინგლისურ ენაზე; ჟურნალის მიზანია საბჭოთა კავშირის ეკონომიური ცხოვრების გაშუქება.

ჟურნალის გამოცემის გამო ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ლონდონელმა წარმომადგენელმა აცნობა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, რომ გაიგზავნოს ლონდონში ინფორმაციული მასალა ჟურნალში მოსათავსებლად.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

კვირას, 6 ნოემბერს, დილის ათ საათზე, ბებელის სახ. მოედანზე თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების ერთი უჯრედთაგანი მოაწყობს ქიმიურ ბრძოლის იმიტაციას. ქიმიურ გრანატების ტყორცნას, ცარიელ ვაზნების სროლას თოფებიდან და სხ.

თბილისის აღმასკომში

◆ **დახმარება.** კულტურულ და სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად თბილისის აღმასკომმა გადასდო 15.000 მანეთი.

◆ **ბავშვთა მეგობართა საზოგადოებას** თბილისის აღმასკომმა დახმარების სახით გადასცა 4872 მან.

◆ **ჭლექის დისპანსერი.** კლარა ცეტკინის ქუჩაზე არსებული ტუბდისპანსერი თბილისის აღმასკომის დადგენილებით გადატანილი იქნება უფრო თავისუფალ და განცალკევებულ ადგილას. ახალ ადგილას დისპანსერთან მოეწყობა ბაღი.

◆ **ტრამვაის ძველი ვაგონები.** მოსკოვიდან ყველა ახალი ვაგონების მიღების შემდეგ გადაეცემა ბათომის აღმასკომს ბათომში ტრამვაის მიმოსვლის მოსაწყობად.

◆ **კლუბის შეკეთება** ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობის მუშათა კლუბის შესაკეთებლად, თბილისის აღმასკომმა გადასდო 2500 მან.

◆ **კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას** წინადადება მიეცა აღმასკომის სასტუმროებიდან გამოასახლოს კერძო პირები.

◆ **საგადასახადო კომისიები.** სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ირგვლივ აღძრულ საჩივრების განსახილველად თბილისის აღმასკომის დადგენილებით ყოველ თემში არსდება საგადასახადო კომისიები თბილისის საბჭოს წევრების თავმჯდომარეობით.

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში** შაბათს, 5 ნოემ. საღ. 7 საათ. მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად მოხსენების შემდეგ კინო.

სხვადასხვა

◆ **ახალი მბეჭდავები.** დღეს მბეჭდავთა და საბჭოთა მუშაკების კლუბში მოხდება პოლიგრაფსკოლის მოწაფეთა გამოშვება.

— **„საამშენებლო ხელოვნება“.** იბეჭდება და ამ დღეებში სახელგამი გამოსცემს ინჟ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის მიერ უნივერსიტეტისა და ტექნიკუმებისათვის შედგენილ სახელმძღვანელოს—„საამშენებლო ხელოვნება“.

ამ დღეებში გამოვა წიგნის პირველი ნაწილი, ხოლო იანვრისათვის—მეორე ნაწილი.

ხელოვნების ქრონიკა

— **პლეხანოვის სახელობის სამუსიკო ტექნიკუმის** გამგეთ დაინიშნა ახალგაზრდა მუსიკოსი გრიგოლ ჩხიკვაძე.

◆ **აკადემიური დრამის სეზონი.** გაიხსნება დღეს. წარმოდგენილ იქნება „კარმენსიტა“. დადგმა ა. ახმეტელის, დეკორაციები იაკულოვის.

◆ **ოპერის თეატრში** დღეს მიდის ოპერა „ურიის ქალი“. ხვალ წარმოდგენილ იქნება „დემონი“.

◆ **მუშათა თეატრის ქართული დრამის სეზონი** გაიხსნება 8 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება „ყველას, ყველას“. დადგმა დ. ანთაძის;

◆ **საოჯახო საღამო.** მბეჭდავთა და საბჭოთა მუშაკების კლუბში დღეს გაიმართება საოჯახო საღამო.

◆ **ქართველ მხატვართა საზოგადოება** 7 ნოემბერს გამართავს დიდ გამოფენას ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად.

◆ **„თანასწორთა შეთქმულება“.** წითელ არმიელთა და ფლოტის კლუბში დღეს მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილ იქნება „თანასწორთა შეთქმულება“

◆ **„ჰამბურგი“.** კინო „მინიონსა“ და „სოლეიში“ დაიწყო ახალი სურათი „ჰამბურგის“ ჩვენება.

— **სახელგამმა მიიღო დასაბეჭდად** ამხ. სერ. ამაღლობელის წიგნი, „თეატრისა და კინოს პრობლემები“ (ესთეტიურ-სოციალური ნარკვევი).

დღეს კინოებში

— აპოლოში—„ალიმ“.
— არტისტოში—„ლეონ კუტიური“.
— სოლეიში—„აღდგენისაკენ“.
— დარბაზში—„[illegible] ნავთსადგური“.
— მინიონში—„ჰამბურგი“.
— პალასში—„თბილისი, ბაზრით“!
— დეონში—„ჯავშნოსანი პოტიომკინი“.

შემთხვევები

6 ბავშვის დაკარგვა

30 ოქტომბერს სახლიდან წავიდა და დღემდე არ დაბრუნებულა დავით ნიკოლოზისძე კუპატაძე, 11 წლის, მცხოვრები ბრიგადირის ქ. № 20.

29 ოქტომბერს უგზოუკვლოდ დაიკარგა ალექსანდრე ბესარიონისძე რატიანოვი, 14 წლის, მცხოვ. დავითაშვილის ქ. № 14.

2 ნოემბერს სახლიდან გაიპარა 12 წლის ბავშვი სერიოჟა გიორგისძე ჯოიევი და უკან აღარ დაბრუნებულა. (მცხოვ. ანტონოვის ქ. № 36)

მიმდინარე წლის 4 ივლის უკვალოდ დაიკარგა სიმონ ისესძე ყავაშვილი 14 წლის, მცხოვრები პლეხანოვის პრ. 26.

1 ნოემბერს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ელენე სოლომონის ასული ტერ მარტიროსოვი, მცხოვრები ვაკეში.

3 ნოემბერს 13 წლის ბავშვი კონსტანტინე პეტროსისძე დავითიანცი (მცხოვ. სემიონოვის ქუჩა № 18) გაიპარა სახლიდან და დღემდე არ დაბრუნებულა.

ფულის პოვნა

ჟორესის ქუჩაზე რონოდაში ჩაჯდომის დროს ამხ. უნივერს. სტუდენტს გ. ქოთელიას დაეკარგა „საკვოიაჟი“, რომელშიც ჰქონდა მოწმობები, გასაღებები და 90 მანეთი ფული. იმავე დღესვე საღამოს 8 საათზე აღნიშნული „საკვოიაჟი“ ნივთებით და ფულით ბინაზე მიუტანა მას სრულიად უცნობმა მოქალაქემ გიორგი გუბელიძემ.

მცირეწლოვანი ქურდები

3 ნოემბერს შეიპყრეს მცირეწლოვანი კონსტანტინე დავითისძე ნოზაძე, ნიკოლოზ ტომასისძე კასტოჩენკო და ნიკოლოზ დიმიტრისძე მარდაჩენკო, რომლებსაც ბრალდებათ ანდრიევის ქუჩაზე მდებარე ნატალია დავიდოვის სავაჭროს ქურდობა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით პასტეროვის ქუჩა № 3 გაქურდეს ივანე ფალავას ბინა, წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

◆ **„გრუზგოსტორგის“** მეოთხე მაღაზიაში ქურდობისათვის შეიპყრეს შალვა ბეკარიას ძე დონგუზოვი.

◆ **ავტომობილის დაჯახება.** ციციშვილის დაღმართზე 3 ნოემბერს მოქ. ტიტიკო ანდრიაძეს დაეჯახა საბარგო ავტომობილი და დააშავა. ავტომობილი მიიმალა.

◆ **ბოქლომის გატეხვის** საშუალებით 3 ნოემბერს მთაწმინდის ქუჩა № 8 გაქურდეს ევგრაფი კვირიკაშვილის ბინა.

◆ **ამავე დღეს** ტატიანოვის ქუჩა № 16 ელიზა ფრანკელის ბინიდან მოიპარეს 600 მანეთის ღირებულება.

◆ **შეპყრობა.** 3 ნოემბერს ქურდობისათვის შეიპყრეს მეზეილ ასასი.

◆ **ტრამვაის რონოდაში.** მოქ. დავით დადვადოვისათვის ფულის ამოცლის გამო შეიპყრეს გაბრიელ იაკობისძე მეგრელიშვილი.

ბიბლიოგრაფია

„ПРОБЛЕМЫ СОВРЕМЕННОГО ИСКУССТВА". Р. ПЕЛЬШЕ.

გამოც. 1927 წ. გვ. 116. ფ. 1 მ. 50 კ.

ამხ. რ: პელშეს შრომა წარმოადგენს წერილების კრებულს. ავტორის აზრით აღნიშნულ წერილების გამოცემა გამართლებულია ორი მოსაზრებით: პირველი, რომ მის მიერ აღძრული საკითხები გადაჭრილი არ არის; მეორე,—რომ მეტად მცირეა მარქსისტული ლიტერატურა სამხატვრო დარგში,

ეს ორი მოსაზრება სამართლიანია, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ წიგნი არ წარმოადგენს მთლიან შრომას, თანამედროვე ხელოვნების პრობლემათა სისტემატიურ გარჩევას. ამდენადვე წიგნი ვერ ამართლებს სათაურს. სათაურით ჩვენ ვფიქრობთ, რომ მივიღებთ თანამედროვე ხელოვნების პრობლემების გარჩევას, ყოველ შემთხვევაში უმთავრესი პრობლემების გარჩევას მაინც, მაგრამ არსებითად ჩვენ გვაწოდებენ ცალ-ცალკე საკითხების შესახებ წერილებს, რომლებიც არ იხილავენ თანამედროვე ხელოვნების ძირითად პრობლემებს.

წიგნი შესდგება ოთხი განყოფილებიდან. პირველში გაერთიანებულია წერილები, რომლებიც ეხებიან სამხატვრო პოლიტიკის საფუძვლებს. მეორეში — თეატრს, დრამატურგიას და კრიტიკას, მესამეში—„ლეფისტებს". მეოთხეში—„დროსა და ხალხს".

საკითხავია, რატომ გახდა თეატრი და „ლეფისტობა" „თანამედროვე ხელოვნები პრობლემების" ავტორის ერთად ერთი კვლევის საგნათ? სად არის ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა, ქანდაკება, ხუროთმოძღვრება, კინო? ნუ თუ არც ერთ ამ დარგში თანამედროვე ხელოვნება არც ერთ პრობლემას არ აყენებს?

ავტორი ამ ნაკლის შევსებას დიდი პრეტენზიის კილოთი ცდილობს. ის გვარწმუნებს, რომ სამხატვრო უვიცობა ახასიათებს, არა მარტო ხელოვნების „გარეშე" მდგარ ხალხს, არამედ ხელოვნების თეორეტიკოსებსაც. ამიტომ ის ცდილობს მთელი თანამედროვე ხელოვნების პრობლემათა გარჩევას. მარქსისტულ-დიალექტიური მეთოდით. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ის ამ პრობლემებს არ არჩევს.

რაც შეეხება სხვადასხვა საკითხების გარჩევას, ავტორის ახასიათებს მარქსისტული სოციოლოგიის მეთოდი ლიტერატურულ-მხატვრულ ფაქტთა გარჩევაში. ცალკე საკითხების გარჩ[illegible] ინტერეს მოკლებული არ არის. განსაკუთრებით საინტერესოა „ლენინი ხელოვნების შესახებ", სადაც გათვალისწინებულია ყველა ფაქტები ლენინის დამოკიდებულების სხვადასხვა მხატვრულ მიმართულებებთან თუ ნაწარმოებთან, საინტერესოა „თანამედროვე თეატრის გზები", რომელშიაც მოცემულია რუსული თეატრის უკანასკნელი პერიოდის ანალიზი. ავტორი ფიქრობს, რომ თეატრი მიდის პირობით—რეალისტურ მიმართულების გზით. ამის საფუძვლებს ის ეძებს პროლეტარიატის ფსიქოლოგიაში. საკითხი რთულია და სადაო. მისი განხილვა სარეცენზიო წერილში ვერ მოთავსდება.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სცენაზე ადამიანები გაქრენ, მისი ადგილი მის - მექანიკამ დაიჭირა. კომუნისტის ტიპი სცენაზე დადის, ჟესტებს აკეთებს, ლაპარაკობს, მაგრამ ის ადამიანური ბუნების არ არის. ის მოათავსეს რაღაც ბიო-მექანიკურ სქემაში, გაძარცვეს ადამიანური სულისა და ხასიათისაგან.

ავტორი „ლეფისტების" გარჩევის დროს ამხილებს „მემარცხენე ფრაზას და რეაქციონურ აზრს", რომლებიც ზოგჯერ საკმაოდ გვხვდება „ლეფისტურ" ლიტერატურაში.

საერთოდ წიგნი სასარგებლოა. სამხატვრო კრიტიკის საფუძვლებთა გაცნობისათვის ის გამოსადეგია.

ს. ამაღლობელი.

რკინისგზეზე

ნავთის გადაზიდვა

მიმდინარე თვის პირველ ნახევარში ნავთის სინდიკატს განზრახული აქვს 400.000 ფუთი საექსპორტო ნავთის გადაზიდვა ბათომში ამ.-კავკ. რკინის გზით.

კოლომენსკის ქარხნის დიზელები

ამ.-კავკ. რკინის გზის ნავთსადენისათვის კოლომენსკის მანქანების სააღმშენებლო ქარხანამ დაამზადა დიზელის სისტემის ექვსი მოტორი.

დიზელებს ქარხანა ამ დღეებში გამოგზავნის ა.-კ. რკ. გზებზე.

სანაინის ელექტროფიკაცია

სადგურ სანაინში დაწყებულია მუშაობა ელექტრო-სადგურის მოსაწყობად. ამჟამად სადგურზე იდგმება „ბოლიარ-დიზელი"-ს სისტემის ძრავი.

მალე გასაფუჭებელი ტვირთების გადაზიდვა

ამ.-კავკ. რკ. გზებზე მოსალოდნელია მალე გასაფუჭებელ ტვირთების გადაზიდვის გაძლიერება. გზა უკვე ემზადება ამ გადაზიდვებისათვის. უმეტესად მოსალოდნელია თევზეულის გადაზიდვა ბაქოდან და მანდარინების ბათომიდან. ყველა ეს ტვირთები გაიგზავნებიან ჩრდილოეთისაკენ.

ფიზკულტურა

თბილისი—სოხუმი

მესამე შეჯიბრი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში თბილისისა და სოხუმის გუნდებს შორის დამთავრდა 3:0 თბილისის სასარგებლოდ.

სასროლო წრეების შეჯიბრი

კვირას, 6 ნოემბერს, დილის 9 ნახევარ საათზე ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზოში გაიმართება უმაღლესი სასწავლებლების და მუშების სასროლო გუნდების შეჯიბრი. თვითეული გუნდი შესდგება 10 სტუდენტისა და 2 საასპარეზო მსროლელისაგან. გუნდებს თან უნდა ახლდენ პასუხისმგებელი წარმომადგენლები.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 5 ნოემბერი

დღეს საღ. 6 საათიდან იწყება მოგონებათა საღამოები, რომლებიც მიძღვნილი იქნება ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის.

საღამოზე გამოვლენ ოქტომბრის რევოლიუციის მონაწილენი ქართულ, რუსულ, სომხურ, თურქულ და სხვა ენებზე. წაკითხული იქნება ნაწყვეტი ჯონ რიდის წიგნიდან მეორე ყრილობის შესახებ.

მხატვრული პროგრამა შესდგება რევოლიუციონურ და გმირულ მუსიკისაგან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 5 ნოემბერს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციური მუშათა პირველი სექცია: ქსენია ზაპოვსკაია, თამარა წითლაძე, არაიდა პეტროსოვა, იოსებ ილიევი, მარიამ მჭედლიძე, სოვა არხიმანდრიტოვა, ანანა სარქისოვა, ანნა ხატიევა, ვარდენ ტატიანც, ანნა ცხოვრებაძე, ზოია ანტონიანც.

მეცნიერება და ტეხნიკა

ლაპარაკობენ, თუ არა მაიმუნები

როგორც ვიცით, მაიმუნების ზოგიერთი ჯიშები (ორანგ-უტანგები, შიმპანზე და გორილები) თავისი აგებულობით ძლიერ წააგავან ადამიანს. ეს მსგავსება ვრცელდება აგრეთვე ხმის წარმომშობ ორგანოებზეც. მიუთითებდნენ რა ამაზე, დარვინიზმის მოწინააღმდეგენი ხშირათ აყენებდნენ კითხვას—რატომ არის, რომ მაიმუნები არ ლაპარაკობენო? სხვა მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ მაიმუნები, ეჭვს გარეშეა, ლაპარაკობენ ურთიერთ შორის განსაკუთრებულ ენაზე, რომელიც დღემდი უცნობი და გაუგებარი არის მეცნიერებისათვის.

რომ დაემტკიცებია ეს აზრი, ერთი ახალგაზრდა ამერიკელი ზოოლოგი, მაიმუნების ენის შესწავლის მიზნით, გაემგზავრა აფრიკის ტყეებში. არაჩვეულებრივი მოთმინებითა და თანამიმდევრობით მან რამდენიმე წელიწადი გაატარა მაიმუნების მეზობლად და ათასგვარ ხრიკებს მიმართავდა ამ ცხოველების ენისა და ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. მისი აფრიკაში მოგზაურობის შედეგი იყო ვრცელი შრომა სახელწოდებით: „მაიმუნების ენის ლექსიკონი". ამერიკელი მეცნიერი გადაჭრით ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ჯიშის მაიმუნებს შემუშავებული აქვთ გარკვეული ენა, რომლის საშუალებით ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავის პრიმიტიულ გრძნობებს.

აღნიშნულ „ლექსიკონის" გაცნობის შემდეგ მრავალი მეცნიერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამერიკელი ზოოლოგი მართალია. ამ დასკვნამდე მივიდენ ინგლისელი ბუნებისმეტყველებიც, რომელთა უკანასკნელ კონგრესზე მაიმუნების ენის საკითხი გაცხოველებული მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. თუმცა ეს საკითხი არ იყო დასმული კონგრესის დღის წესრიგში, მაგრამ ზოგიერთი მომხსენებლებმა მაინც შეეხენ მას. კონგრესის მონაწილეთა კერძო საუბრების დროს კი, ეს საკითხი ყურადღების ცენტრში იყო. მეცნიერები მსჯელობდენ არა იმაზე—შეუძლიათ, თუ არა საერთოდ ლაპარაკი მაიმუნებს (ეს საკითხი მათ, როგორც ჩანს უდაოთ მიაჩნდათ), არამედ იმის შესახებ—შეუძლიათ, თუ არა მაიმუნებს ადამიანის ენის შესწავლა.

გამოირკვა, რომ მთელ რიგ ქვეყნების სხვადასხვა სპეციალობის ბუნებისმეტყველები—ზოოლოგები, ფსიქოლოგები და სხ.—დამოუკიდებლად აწარმოებენ ცდებს იმის გამოსარკვევათ, შეუძლიათ, თუ არა მაიმუნებს ადამიანის ენის შესწავლა. როგორც ჩანს, მეცნიერები ეთანხმებიან არა მარტო ამერიკელი ზოოლოგის აზრს, არამედ დარწმუნებული არიან, რომ მაიმუნს შეუძლია კაცსავით ლაპარაკი და რომ ისინი, მაიმუნები, თუთიყუშებივით კი არ იმეორებენ სიტყვებს, არამედ ესმით მათი მნიშვნელობა.

ელექტრონის „მასწავლებელი"

შეერთებულ შტატებში უკანასკნელ ხანებში წარმატებით სარგებლობენ ელექტრონის მოწყობილობით როიალზე დაკვრის შესასწავლათ მსურველებისათვის. ეს მოწყობილობა შემდეგში მდგომარეობს: როიალი, რომელზედაც უკრავს მასწავლებელი არის შეერთებული იმ როიალებთან, რომლებზედაც ელექტრონის მავთულებელი დააჭერს ხელს რომელიმე კლავიშს, მაშინათვე, მოწაფეთა როიალზე, ან კლავიშის პირდაპირ ენთება ელექტრონის ლამპა. ამ წესით, მოწაფეთა მონაწილეობით, ასრულებენ ურთულეს პიესებს.

იურიდიული დახმარება

პენსიის მოთხოვნის წესების შესახებ კავშირის წევრს (წიგ. № 12605) ს. ჩიგოგიძეს

თქვენ გვეკითხებით, თუ რა წესები არსებობს პენსიის მიღების შესახებ და რა ხნის განმავლობაში შესაძლებელია პენსიის მოთხოვნა.

გიპასუხებთ

თანახმად, ამის შესახებ არსებული ინსტრუქციის 1926 წ. 10 ივლისიდან (იხ. კანონთა კრებ. 1926 წ. № 36), № 1451—625, მოთხოვნა პენსიის დანიშვნის შესახებ დაზღვეული გარდაცვალებულის ოჯახის წევრებმა უნდა წარადგინონ სათანადო ორგანოებში არა უგვიანეს სამი წლისა დაზღვეულის გარდაცვალების დღიდან, თუ კი ამ უკანასკნელის გარდაცვალება მოხდა დასახიჩრებით ან და პროფესიონალური ავადმყოფობით (როგორიცაა მაგ. ჭლექი, ტრავმატიზმი და სხ.) და არა უგვიანეს ორი წლისა, თუ დაზღვეული გარდაიცვალა რაიმე სხვა (არა ზევით მოხსენებული) მიზეზებისა გამო. ვინც აღნიშნულ ვადებს გამოუშვებს, იგი ჰკარგავს პენსიის მიღების უფლებას.

კავშირის წევრს დომენტი მ—იას. (წიგ. № 15206)

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ ითვლებით თქვენივე სოფლის მასწავლებლად; გაქვთ „პატარა" მეურნეობა; გაგაწერეს სასოფლო - სამეურნეო გადასახადი. ამ უკანასკნელის გამოანგარიშების დროს საგადასახადო კომისიას მხედველობაში მიუღია თქვენი ჯამაგირიც, რაც თქვენ „კანონიერად" არ მიგაჩნიათ და ამის გამო გვეკითხებით, კანონიერია, თუ არა საგადასახადო კომისიის მოქმედება და გადაგხდებათ თუ არ. თქვენ, ამას გარდა, საშემოსავლო სახელმწიფო გადასახადი.

პასუხი

საგადასახადო კომისიის მოქმედება ხავსებით კანონიერია, რადგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განსაზღვრის დროს აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული შრომის ხელფასიც. რაც შეეხება სახელმწიფო-საშემოსავლო გადასახადს, ასეთს თქვენ აღარ გადაიხდით, რადგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობის განსაზღვრის დროს საგადასახადო კომისიას საშემოსავლო წყაროებში შეუტანია თქვენი შრომის ხელფასიც. (იხ. დებულება სასოფლო - სამეურნეო გადასახ. შესახებ—მუხ. 1 და 2 და იმავე დებულების მუხ. 9).

სოფ. თერჯოლას (შორაპნის მაზრა) მცხ. ანნა მხეიძეს

თქვენ გვწერთ, რომ თქვენი გადაცვალებული ქმრის საკუთარი სახლი თქვენმა მაზლებმა თქვენდადაუკითხავად გაყიდეს. ასეთი მოქმედება თქვენ არ მიგაჩნიათ კანონიერად და ჩვენ გვეკითხებით, თუ თქვენ როგორ უნდა მოიქცეთ ან ვის უნდა მიმართოთ ამის შესახებ.

გიპასუხებთ

თუ მართლაც აღნიშნული სახლი შეადგენდა თქვენი მეუღლის საკუთრებას, მისი გაყიდვის უფლება არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდათ თქვენს მაზლებს და თქვენდა ნებადაურთველად. გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ სახალხო სასამართლოს, თუ სახლის ღირებულება არ აღემატება ათას მანეთს. თუ კი სახლის ღირებულება აღემატება ათას მანეთს, მაშინ თქვენ უნდა მიმართოთ განცხადებით ოლქის სასამართლოს.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 16

საქართველოს ს. ს. რ. შრომისა და შინაგან სახალხო კომისარიატებისა

1927 წ. ნოემბრის 4

7 და 8 ნოემბერს სავაჭრო წარმოებებში მუშაობის და ვაჭრობის წესის შესახებ

საქ. ს. ს. რ. შრომისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები ადგენს.

1) 7 ნოემბერს აღკრძალულ იქნეს ვაჭრობა ყველა სავაჭროებში, გარდა რძისა და რძის ნაწარმოებისა, რომლებსაც ატარებენ ქუჩებში.

2, 8 ნოემბერს ვაჭრობის წარმოება დაშვებულ იქნება იმ კოოპერატიულ ორგანიზაციებში, საცაც სურსათ-სანოვაგის და გასტრონომიულ ნაწარმოებების ვაჭრობა ხდება კვირა-უქმე დღეებში არსებულ წესით.

შენიშვნა: იმ ადგილებში, სადაც კოოპერატიული ორგანიზაციები სურსათ-სანოვაგით სავსებით ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას ვაჭრობა დაშვებულ იქნება კერძო სავაჭროებში.

საქ. შრომსახკომის მოადგილე **ჭილიძე.**

საქ. ს. ს. რ. შინაგან საქმ. სახ: კომისარის მაგ. **ბერაძე.**

საქ. შრომსახკომის შრომ. დაც. განყ. გამგე **ელბაქიანი.**

შეთანხმებული ს. პ. კ. ს. **მაჩაიძე.**

საქართველოს ყველა წარმოება-დაწესებულებებს

ინჟინერ-ტეხნიკოსთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა აღრიცხვის შესახებ

გაზ. „კომუნისტ"-ში 1927 წ. 12 ივლისის თარიღით № 156 (1901 საქშრომსახკომს მიერ გამოქვეყნებული იყო ინსტრუქცია № 4—ინჟინერ-ტეხნიკოსთა და სოფლის მეურნეების სპეციალისტთა აღრიცხვის შესახებ ფ. „დ" სარეგისტრაციო ბლანკებით. ამ ინსტრუქციის თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე წარმოება-დაწესებულებანი ვალდებულნი იყვნენ წარმოედგინათ შრომსახკომის ადგილობრივ ორგანოებში მათთან მომუშავე სპეციალისტებზე შევსებული ბლანკები, რაც ამ დრომდე უმრავლეს ორგანიზაციებს არ შეუსრულებიათ.

ამიტომ შრომსახკომი, მოგაგონებთ, რა აღნიშნულ აღრიცხვის ჩატარების აუცილებლობას, გავალებთ მიიღოთ სასწრაფო ზომები, რათა თქვენს ორგანიზაციაში მომუშავე ყველა სპეციალისტებზე შევსებულ იქნეს ბლანკი ფ. „დ"

სარეგისტრაციო ბლანკები ფ. „დ" შეიძინება: თბილისში და მაზრებში—შრომის ინსპექტორების კამერებში, ხოლო აჭარისტანში და აფხაზეთში—შრომსახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

წარმოება-დაწესებულებანი და აგრეთვე დაქირავებით არ მომუშავე სპეციალისტები შევსებულ ბლანკებს ადგენენ უშუალოდ შრომსახკომის ორგანოებში, უმუშევარი სპეციალისტები კი აღრიცხვაზე ტარდებიან შრომის ბირჟაში მორიგ გამოცხადების დროს.

შრომსახკომი მოგაგონებთ, რომ იმ წარმოება-დაწესებულებ. ხელმძღვანელნი, რომლებიც დაარღვევენ აღრიცხვის წესებს და აგრეთვე ის სპეციალისტები, რომლებიც არ აღირიცხებიან ან მისცემენ არა სწორ ცნობებს მიეცემიან სისხ. სამ. პ-გებაში თანახმად ს. ს. რ. მომქმედ კანონმდებლობისა.

საქ. ს. ს. რ. შრომსახკომის მოადგილი

8 ნოემბერი **ჭილიძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილ. კომ. საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. თარხანოვთან, (ოთახი № 54).

ლეონტი ნიკოლოზისძე ლიტვინოვი, ტიხონ სიოსძე მამალაძე, სარქის სტეფანესძე აზოიანცი, გიორგი დუნდუა, არტემ ერემოვი, სერგო ოგანეზოვი, ვლადიმერ სულთანიშვილი, პეტრე გაბრიელისძე ჩომახიძე, ანდრო ვლადიმერისძე ანთაძე, მარკოზ გიორგისძე ხუბულაშვილი, იაკობ ვასილისძე არდოევი, ე. ნ. კოჩინი ალექსანდრე ვლადიმერისძე პოლიაკოვი, ანდრო არკადისძე ბოგდანოვი.

ზემოხსენებულ ამხანაგებს მათი თბილისში არ ყოფნის შემთხვევაში ვთხოვთ შეატყობინონ სათანადო პარტორგანიზაციების სამსახურის ან ბინის მისამართი.

საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. შალვა გოგებაშვილს 5 ან 9 ნოემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში, (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 13).

სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო ამით აცხადებს რომ დღეს, შაბათს 5 ნოემბერს, 7 საათზე მოწვეულია კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებული კრება.

პარტიის ყველა წევრის, კანდიდატის და კომკავშირელების დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედთა ბიურო-კოლექტივის სხდომა შესდგება დღეს 5 ნოემბერს დღის სრულ ათ საათზე წევრებისა და კანდიდატების დასწრება დაუგვიანებლად აუცილებელია. ამასთანავე უნდა გამოცხადდენ ჯანჯღავა ნიკოლოზ. ზამთარაძე ალექსანდრე. ჯაია სევერიანე, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში გადასარიცხავად.

ცეკას აგიტ-პროპგანყოფილებაში დღეს, 1 საათზე დანიშნულია სხდომა, რომელზედაც მოწვეულნი არიან ამხ. ამხ. ხაჭაპურიძე, მთვარელიძე, შუდილევი, ჩხარტიშვილი, პონარენკო, სნეგირევი და ადამაძე".

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ანა თომას ასული ხარაძისა, შვილები: ეკატერინე, ნინო, ზინაიდა, სიძე იოსებ ბეთანოვი და შვილიშვილი აჩიკო, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 6 ნოემბერს, დღით კვირას, 12 საათზე ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ერთი წლის თავზე მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარის

ნოშრევან ბეჟანის ძე
ხარაძის

348

სამუდამოთ გულდათუთქული დედა და მამა, ძმები: შალიკო და არჩილი და ქსენია, პაპა ზაალი ჯალიაშვილი. ბიძები: მოსე, ვანო, გიორგი და თეიმანი ჯალიაშვილები თავისი ოლიშვილით, მაიდა მარიამი ფაშალიშვილისა, დეიდები: ანა, ნინო და ოლღა, დეიდაშვილები თავის მეუღლეებით, ელო და გიგა ბოსტოლანაშვილები, პელაგია და აბროსი კაჭაძეები ამით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ა. წ. ნოემბრის 2-ს დღის 3 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ულმობელმა სიკვდილმა უდროვოთ გამოსტაცა ხელიდან ძათთვის უძვირფასესი, დაუვიწყარი და სიამაყე

ზეინაბი (ზინა) რაჟდენის ასული
ჯალიაშვილი

დაკრძალვა მოხდება დღეს 5 ნოემბერს, შუადღის 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. (გამოსვენება კირპიჩნის შესახ. № 4). 357

ზოტიკა ხელაშვილი, თამარა და ვასილი კახიძეები შვილებით: გოგი და ლია აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ა | წ. 2 ნოემბერს, დღის 3 საათზე უდროვოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი დეიდა-შვილი ხათესავი

ზეინაბი (ზიზო) რაჟდენის ასული
ჯალიაშვილი

დაკრძალვა მოხდება დღეს 5 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. (გამოსვენება აგურის შესახვევი № 4). 357

მეგობრები: თამარა ნაცვლიშვილი, ნატალია ცაგარელი, ლიდა კვანჭახაძე, სარდიონ ჯალიაშვილი, ნანიკო ლაზრიშვილი, სერა გაბუნია, ვალოდია მენთეშაშვილი, ნინო მაისურაძე ცხარე ცრემლით დასტირიან უდროოდ დაკარგულ

ზეინაბ (ზინა) ჯალიაშვილს

რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს ნაშუადღევის 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება კირპიჩის შესახვევი № 4. 1—1 შ.

უნუგეშო და დატანჯული დედა მაკრინე, სამუდამოთ დაჩაგრული და დაობლებული შვილი ელო და დები: მარია, ენო, შურა, ძმები—კოლა, შალვა, რძალი—ოლა, სიძეები: შაქრო ბიჭაშვილი, კოტე კასრაძე და გაბო თავართქილაძე გულმოკლულნი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს მათთვის მარად დაუვიწყარის და უძვირფასესი

ნინო გიორგის ასული
ჩაგუნავა-გელაშვილის

გარდაცვალებას, ა | წ. 4 ნოემბერს, დილის 6 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე (მესამე ვეძინის გასავალი № 5). გამოსვენება საკუთარ ბინიდან, დაკრძალვა მოხდება კვირას 12 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 356

უნუგეშო და დატანჯული დედა ნატალია, სამუდამოთ დაჩაგრული და დაობლებული დები კატო, ქსენია და ანიჩკა, ძმები ილიკო, ვალიკო, კირილე და აკაკი, რძლები საშა, ნინა, ლიდა და ვერა და ძმისწულები ბორია, დუდიკი, იურა, ალიოშა, ეთერი, თამარა და ლეილა კაკაბაძეები გულმოკლულნი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს მათთვის მარად დაუვიწყარის და უძვირფასესი

მარო (ბუთია) კაკაბაძის

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას ამა წლის 1 ნოემბერს, დილის 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, (აკაკის ქ. № 9, ყოფ. განოვის). გამოსვენება მოხდება შაბათს ა | წ. 5 ნოემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე.

3—3 323

ნინო, ლიუსია, ნადია, მარო, ქსენია, მეთოდე და ვასო კაკაბაძეები უაღრესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს ძვირფასი მეგობრის და იშვიათი ადამიანის

მარო (ბუთია) კაკაბაძის

უდროოთ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება ა | წ. 5 ნოემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე; გამოსვენება 3 საათზე საკუთარ ბინიდან (აკაკის ქ. № 9, ყოფილი განოვის) 352

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი ბაბა დათიკო და დედა თინა კოპალაძეები აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავთ და ნაცნობებს, რომ მათთვის უსაზღვროთ საყვარელი და სამარადისოდ დაუვიწყარი პაწია

კუკურის

გარდაცვალებიდან სამი თვის შესრულების თავზე კუკიის სასაფლაოზე, კვირას 6 ნოემბერს, დილის 11 ნახ. საათზე შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი.

3—2 340

ღრმად დამწუხრებული ბებია ბაბინე, მამიდები: ნასტა—შვილებით, ვერიჩკა—ქმრით დავით ჯაშით, ალექსანდრა, კესარია და თამარა კოპლატაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 6 ნოემბერს დილის 11½ საათზე კუკიის სასაფლაოზე მათთვის დაუვიწყარი პატარა

კუკური კოპლატაძის

გარდაცვალებიდან 3 თვის შესრულების თავზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. ნ. 158

განუსაზღვრელად და წუხრებული ბებია ფ დოსი, ბიძები: საშა, ცოლით ნინა, ვალოდია და საბა, დეიდა თამარა თორაძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, 6 ნოემბერს, დილის 11½ საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია მათი საყვარელი პატარა

კუკური დავითის-ძე კოპლატაძის

გარდაცვალებიდან სამი თვის შესრულების გამო სამოქალაქო პანაშვიდი ნ. 158

ბიძა პროკოფი, ბიცოლა ოლია შვილით, პატარა ძელიკოთი,ატყობინებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობრებს, რომ მათთვის უძვირფასესი პაწია

კუკური კოპლატაძის

გარდაცვალებიდან სამი თვის შესრულების თავზე, კვირას 6 ნოემბერს, დილის 11½ საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. ნ. 158

გულითადი მწუხარებით ნათლია თამარ ირაკლის ასული ჭავჭავაძე, ბიცოლა მარიამ ირაკლის ასული ჭავჭავაძე-თორაძისა და ბიძა გრიგოლ სევერიანეს-ძე თორაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 6 ნოემბერს, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათი უსაყვარლესი

კუკური კოპლატაძის

დღიდან გარდაცვალებისა სამი თვის შესრულების გამო. ნ. 158

ლოლა ბიბინეიშვილი, სესტილი გოგიბერიძისა და ლეილა ლომაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, ნოემბრის 6-ს დილის 11½ საათზე, კუკიის სასაფლაოზე შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი, მათთვის უსაყვარლესი და უდროოდ დაკარგული პაწია

კუკური კოპლატაძის

მოსაგონებლად. ნ. 158

გულდამწვარი შვილები ანნა გოგელიასი შვილებით: თინა, ქეთო და ილიათი; ელენე ქმრით ალექსანდრე დავითის ძე კვიტაშვილით და შვილებით იოსები, ალექსანდრე და ნათელათი, გაზრდილი ნინა კახიძის ასული აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 2 ნოემბერს უეცრად გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ქეთევან (თაფლო) ამაშუყელის ასული
კახიძისა

დაკრძალვა ქუთაისში. საფიჩხიის სასაფლაოზე, კვირას, ა | წ. 6 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება ბინიდან ურიცკის ქუჩა № 25. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე. 162

ექიმი მიხ. ტყავაძე და ძმა შალვა, მეუღლით ნინოთი—უაღრესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი მოამაგის ძვირფასი ბიცოლას

თაფლო (ქეთევან) კახიძის

უეცარ გარდაცვალებას.
დასაფლავება ქ. ქუთაისში 6 ნოემბერს. 346

სრ. საქართველოს სოცდაზღვევის -კომიტეტი-

აცხადებს ექიმების კონკურსს

კონკურსის პირობები:

ექიმ კონსულტანტებს-ტერაპევტებს, უნდა ჰქონდეთ მუშაობის სტაჟი არა ნაკლები 10 წლისა—ექიმ კონტროლიორებს-ტერაპევტებს არა ნაკლები 5 წლისა.

უპირატესობა მიეცემათ საზოგადოებრივი, კლინიკური ან საავადმყოფოში მუშაობის სტაჟის მქონე ექიმებს.

ხელფასი დაწესებულია: ექიმ-კონსულტანტისათვის თვეში 225 მანეთის რაოდენობით, შეთავსებით მუშაობის და კერძო პრაქტიკის აკრძალვით; ექიმ-კონტროლიორისათვის—თვეში 100 მანეთის რაოდენობის, შეთავსებით მუშაობის აკრძალვით, ხოლო კერძო პრაქტიკის უფლებით.

განცხადებები შემოტანილი უნდა იქნენ სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის კანცელარიაში (ევანგულოვის ქუჩა № 2, პირველი სართული).

განცხადებების შემოტანის უკანასკნელ დღეთ ითვლება 1927 წ. 20 ნოემბერი.

სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტი.

ნ. 163

აპოლლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

0—5 ნ. 1388

უკრაინის სახკინმრეწვის ახალი სურათი

ალიმ (ყირიმელი მოჯირითე)

პირველად ეკრანზე **ლეონ კუტიური**

მთ. როლში—სოლნცევა (სურათ „აელიტას" გმირი).

გრანდიოზული დადგმა **ჰამბურგი**

რეჟისორი ბალიუზეკ

სეზონის საუკეთესო სურათი

„,სიკვდილის ნავთსადგურში"

დადგმა ა. როომის.

ანონსი: მალე ახალი სურათი „გ ა ძ ც ე მ ი".

ცირკი
„,კოლოს"

ნ. 157 2—1

პარასკევს, 4 და შაბათს, 5 ნოემბერს

განსაკუთრებული სანა ხაობანი

ს. ს. ს. რ. კ. დედა-ქალაქთა ცირკების პროგრამა დამსახ. მსახ. ძმ. ტანტეგის მონაწილეობით.

3 დიდი განყოფილება!! 14 რჩეული №№ !!

კვირას, დღისით სანახაობა და მხიარულება ბავშვებისათვის, დასაწყისი დღის 2 საათზე. მალე ჩამოვა ჩინელების დასი—შანხაიდან—ლიუ-კუმ-ხაი.

დირექცია – ი. ზ. კუდრიავცევი, ადმინისტრატორი მ. ი. ტადე.

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტში

ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ტელეფ. 10—90

მიიღება ფასიანი ავადმყოფები

წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეტებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.

ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში

ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი

25—1 ქვ. 288

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწილებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება: 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი **ჯალაღოვი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 2—1

ქ. თბილ. მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი

ლ. ს. სვიატოპოლუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 11 ნოემბერს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 5 პურის მოედანი, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იაკობ ბოიაჯიანცის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას. შეფასებულს 186 მანეთად, მიხეილ წუწქირიძეს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 10 მაისს 1927 წ. თარიღით, № 1733 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 347

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი აცხადებს

კონკურსს

შემდეგი თანამდებობის დაკავებაზე:

1) სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტში ექიმ-გინეკოლოგის თანამდებობაზე ქალების კონსულტაციისათვის. თვიური ხელფასი—75 მან.

2) ცენტრალურ-კლინიკურ ინსტიტუტში—ექიმი ლაბორანტი, თვიური ხელფასი—100 მან.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ ჯანსახკომისარიატში 20 ნოემბრამდე. მისამართი: საქართვ ჯანსახკომისარიატი, ძნელაძის ქ. № 30. ნ. 146 2—1

საქართ. საბჭ. და სავაჭ. მუშაკ. პროფკავშირის

საანგარიშო მეცნიერებათა კურსები

გადავიდა ძველ ბინაზე:

ჭავჭავაძის ქ. № 9, 69-ე შრომის სკოლის შენობაში

ჩაწერა და ცნობების მიღება საღამოს 5—8 საათამდე

4 - 1—176 კურსების გამგე ა. ინწკირველი

ქ. თბილისის შრომის სასამართ. აღმასრულებელი

გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 9 ნოემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 1 სემიონოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. კოტე ჯავახოვის მოძრავ ქონებას; ერთ ბუფეტის მკაფს შეფასებულს 60 მანეთად, მოქ. ხაჩატუროვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 13 ოქტომბერს 1927 წ. თარიღით, № 3445 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 166

ხელოვნურ კბილების

მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე) შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფობის მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე. 25—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 13 | 25.

ა.-კავკასიის რკ. გზის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1927 წ. 22 ნოემბერს, დილის 10 საათზე.

თბილისის სალიკვიდაციო საწყობში

(გორის ქ. № 34, რკინის გზის ფარგლებში)

სააუქციონო ვაჭრობით გაიყიდება ამიერ-კავკასიის რკ. გზის სხვადასხვა სადგურებზე

მოუკითხავი ტვირთი და ბარგი

სოც. საბჭ. რესპ. კავშირის წესდების მე-94 მუხ. მიხედვით:

1) პირველ ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ სახელმწიფო წარმოებანი და დაწესებულებანი, და აგრეთვე კოოპერატიული ორგანიზაციები.

2) იმ შემთხვევაში, თუ პირველი ვაჭრობა არ შესდგება, ან ყველა ტვირთები არ გაიყიდება, მეორე ვაჭრობა **დაინიშნება 1927 წ. 25 ნოემბრიდან.**

3) მეორე და შემდომ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა მსურველებს.

ის ტვირთები, რომელნიც გაუყიდავი დარჩა წინანდელი, ოქტომბრის ვაჭრობიდან, გაიყიდება ამ ვაჭრობაში, ვაჭრობა დაიწყება ხელმეორედ შეფასებული თანხიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში—მუშაობის საათებში, ხოლო ვაჭრობის დღეებში—ვაჭრობის დაწყებამდე.

დაწვრილებითი ცნობები აღნიშნულია თბილისის სალიკვიდაციო საწყობში გამოკრულ განცხადებაში.

ნ. 164

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს ხაშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისივნე, ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები

ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

222—13—1

ექიმი

ს. ი. ვოლოხი

ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ. № 5 მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლათ. 25—

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი სნეულებანი.** სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს სანაპირო ქუჩა (ყ. ნაბერეჟნაია) № 7, ვერის ხიდთან ტელ. 15-02

ვეძებ

დას ანა მიხეილის ასულს

ვოლსკაიას,

რომელიც დაიკარგა სამოქალაქო ომის დროს. ვთხოვ იმ პირთ ვინც რაიმე იცის მის შესახებ შემატყობინონ შემდეგი მისამართით:

ქ. კალუგა რილეევის პრ. № 39
პეტრე მიხეილის ძე ვოლსკი.

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 62731, ჩ. გ. 355

დავკარგე სალექციო წიგნაკი № 624 გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ თინა არაბიძეს სახელზე, ჩ. გ. 334

დავკარგე საპენსიო წიგნაკი № 4979 დარია ლაჩინოვის სახელზე, ჩ. გ. 353

დავკარგე სიღნაღის რაიონის სამხედრო სააღრიცხვო მაგიდიდან აღებული სამსახურის წიგნაკი ფ. № 7 № 1092 გიორგი ალექსის-ძე ქადაგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 350

დავკარგე განათლების კავშირის წიგნაკი № 30124 გაცემული შორ. მაზრის განათლების კავშირიდან მიხეილ აბესალომის-ძე კახიძის სახელზე ჩ. გ. 350

დავკარგე პროვიზიონის ბილეთი, ხაკტპოს წიგნაკი და პირადობის მოწმობა მარიამ ეგნატეს ასული ჭუმბურიძეს სახელზე, ჩ. გ. 350

დავკარგე მატრიკული № 1037 ქსენია ზაქარაიას სახელზე, ჩ. გ. 351

დავკარგე წითელ არმიელის წიგნაკი, პირადობის მოწმობა რკ. გზის № 4 „ზაკტრან"-ს წიგნაკი და წევრების წიგნაკ. ნიკა მაზანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 349

დავკარგე პარტბილეთი № 0857884 და პირადობის მოწმობ № 71, გაცემული ცაგის პრეზიდიუმის მიერ იოსებ ბერიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 346

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68